

1/8  
1971/3



# სახვტოთა სამკრთაჲი

საქართველოს კვ მენგაღუჩი კოთიჯაჲის გომომხმაროუბა

1971

6

# საბჭოთა სამართალი

№ 6



ნომერი—დეკემბერი

1971 წელი

გამოცემის XVIII წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის საინსტიტუტოს, პროკურატურისა და  
უმაღლესი სასამართლოს ორგანო  
ორთვიური ჟურნალი

## შინაარსი

მოწინავე — კომუნისტური პარტიის ზრუნვა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლის ამაღლებისათვის	3
ვ. ელინიჩევი, ა. დემუროვი — ოქტომბერი და ახალი საერთაშორისო სამართალი	8
გ. ქველიძე — თავისუფლების აღკვეთის აღვილებიდან გათავისუფლებულ პირებზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელების ზოგიერთი საკითხი	13
ოფიციალური მასალა	20
ლ. ისაკაძე — პროფ. ბ. ფურცხვანიძე 70 წლისა	67
გ. ნადარეშიძე — ერთი ძველადმოსავლური იურიდიული კლავზულა ქართული ნას- ყიდობის დოკუმენტებში	70
ვ. ასათიანი — გამოჩენილი რევოლუციონერის ხსოვნა	79
ა. ბორინი — წესიერი კაცი	83

## პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ვ. ლორია — დამხმარე სახელმძღვანელო	87
რეცენზიები პროფ. ივ. სურგულაძის ნაშრომზე სერბულ და ბულგარულ ჟურნალებში	87
ინფორმაცია	91

11904



## СОДЕРЖАНИЕ

Передовая — Зарбота Коммунистической партии в повышении роли Советов депутатов трудящихся . . . . .	3
В. Ельничев, А. Демуров — Октябрь и новое международное право . . . . .	8
Г. Квелидзе — Некоторые вопросы осуществления административного надзора за лицами, освобожденными из мест лишения свободы . . . . .	13
Официальный материал . . . . .	20
Л. Исакадзе — Проф. Б. Пурцхванидзе 70 лет . . . . .	67
Г. Надарейшвили — Об одной древневосточной юридической клаузуле в грузинских купчих грамотах . . . . .	70
В. Асатиани — Памяти выдающегося революционера . . . . .	79
А. Борин — Честный человек . . . . .	83

## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

В. Лория — Учебное пособие . . . . .	87
Рецензии на труд проф. Ив. Сургуладзе в сербском и болгарском журналах . . . . .	89
Информация . . . . .	91

### სარედაქციო კოლეგია

შეკვ. № 4426  
ტირაჟი 21.200  
შე 01725

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ზ. რატანი, ა. ტაკიძე, ს. ქაჯაია, ვ. ქვაჩანია, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი — 99-09-62.

გალეც. წიგნობას 25/XII-71 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/I-72 წ. ქალაქის ნომერ 70 X 108/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი საბეჭდი ფურცელი 8,4, საარტიცხოვ-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კვ ტვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

## კომუნისტური პარტიის ზრუნვა მშრომელთა ღვაწაფაში ს საბჭოების როლის ამაღლებისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობის სრულყოფას.

კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრის საქმეში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლის ამაღლების მიზნით პარტიამ უკანასკნელი წლების მანძილზე დასახა კონკრეტული გზები, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა მთელ რიგ სახელმძღვანელო პარტიულ დოკუმენტებსა და სახელმწიფო-სამართლებრივ აქტებში. ამ მხრივ პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის სადირექტივო ხასიათის მითითებანი, რომლებიც ფორმულირებული იყო სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ საბჭოები, რომელთა საქმიანობაში ყველაზე მკაფიო გამოხატულებას ჰპოვებს სოციალისტური დემოკრატიზმი, ჯერ კიდევ სრულად არ იყენებენ კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს. განსაკუთრებით ეს ნათქვამი იყო ადგილობრივ საბჭოებზე — სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე სოფლებში, დაბებში, რაიონებში, ქალაქებში და ა. შ. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების შემდგომი დემოკრატიზაციის მიზნით ყრილობამ საჭიროდ ჩათვალა საბჭოების სესიების მნიშვნელობის ამაღლება, კერძოდ, მიზანშეწონილად ჩათვალა, რათა პრაქტიკაში შემოღებული ყოფილიყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა — ამ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების სესიებზე, ხოლო სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტებისა — მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების სესიებზე. დასახული იყო საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის გაფართოებისა და შემდგომი გააქტიურების ღონისძიებანი, რის საფუძველზე ყრილობის შემდეგ მოწვეულ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პირველსავე სესიაზე განხილულ იქნა საკითხი უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივი კომისიების რიცხვის გაზრდის შესახებ.

რაც შეეხება ადგილობრივი საბჭოების ცალკეული რგოლების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს, მათ სპეციალურად მიეძღვნა სხვადასხვა პარტიული და ნორმატიული აქტები. მათგან სასოფლო და სადაბო საბჭოებს შეეხება: სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 8 მარტის დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1968 წლის 8 აპრილის ბრძანებულება „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ“, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მოწონებული „სანიშნო დებულება მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“, 1968 წლის 9 აპრილს გამოქვეყნებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მატერიალურ-საფინანსო ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

სასოფლო და სადაბო საბჭოები ყველაზე მრავალრიცხოვანი ხელისუფლების ორგანოებია მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს შორის. მათი სამოქმედო ტერიტორია ბევრად აღემატება ქალაქების ტერიტორიას, ხოლო მოსახლეობა შეადგენს მთელი ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარს. თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სასოფლო და სადაბო საბჭოები წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს, სათანადო დახმარებას უწყევენ რამდენიმე ათეულ ათას კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას, რომლებიც მათს ტერიტორიაზე არიან განლაგებულნი. ისინი უშუალოდ ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობას, ამტკიცებენ სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობის გეგმებს, თვალყურს ადევნებენ კანონმდებლობის ზუსტად განხორციელებას, განსაკუთრებით მიწათსარგებლობის დარგში.

თვალსაჩინო სახლე შეაქვს 1968 წლის 8 აპრილის ბრძანებულებას სასოფლო და სადაბო საბჭოების ურთიერთობის საკითხში იმ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც მათს ტერიტორიაზე არიან განლაგებულნი, მაგრამ უშუალოდ არ ექვემდებარებიან; კერძოდ ბრძანებულება უფლებას ანიჭებს აღნიშნულ საბჭოებს შეაჩერონ კოლმეურნეობათა, სამომხმარებლო საზოგადოების მეპაიეთა, კოლმეურნეობის გამგეობის კრებების, აგრეთვე ზემდგომი დაქვემდებარების ორგანიზაციების ის გადაწყვეტილებანი მიწათსარგებლობის, კეთილმოწყობის, ბუნებისა და კულტურის ძეგლების დაცვის საკითხებზე, რომლებიც კანონს ეწინააღმდეგებიან, თანაც ამის შესახებ უნდა აცნობონ ზემდგომ ორგანოებს. სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლება-მოვალეობათა უფრო ზუსტი რეგლამენტაცია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საქმეა. სწორედ ამის საფუძველზე 1968 წლის 25 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს სსრ კანონი „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოების შესახებ“. ანალოგიური კანონები მიღებულია ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკაშიც.

რაც შეეხება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზემოთ დასახელებულ დადგენილებას, მან დაავალა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებს უზრუნველყონ სასოფლო და სადაბო საბჭოები კეთილმოწყობილი შენობებით, მოწყობილობით, ინვენტარით, ხოლო სსრ კავშირის სახმშენს დაეკისრა ამ შენობებისათვის ასაგებად ტიპური პროექტების შედგენა ადგილობრივი პიორბების გათვალისწინებით. სასოფლო და სადაბო საბჭოებს უფლება მიეცათ საცალო ვაჭრობის ქსელში შეიძინონ მასალები თავიანთი შენობების რემონტისათვის, აგრეთვე საჭირო ინვენტარი. დადგენილება ვალდებულებას აკისრებს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს 1972 წლამდე სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყონ სასოფლო და სადაბო საბჭოები, განსაკუთრებით იქ, სადაც დასახლებული პუნქტები მნიშვნელოვანი მანძილით არიან დაშორებულნი საბჭოს აღმასკომისაგან.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების შემდეგი რგოლის — რაიონული და საქალაქო საბჭოების მუშაობის საკითხებს მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 14 მარტის დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და ამ დადგენილების საფუძველზე მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 19 მარტის ბრძანებულებანი „მშრო-

მელთა დებუტატების რაიონული საბჭოების ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ“ და „მშრომელთა დებუტატების საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ“.

დასახელებულ ბრძანებულებებში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანების განხორციელებაში რაიონული, საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების როლის გაზრდის, აგრეთვე ამ საბჭოების საქმიანობის დემოკრატიული პრინციპების შემდგომი განვითარებისათვის ისინი მინიჭებული უფლებების ფარგლებში უნდა წყვეტდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს, გამომდინარე საერთო-სახელმწიფოებრივი და რაიონის, ქალაქის მშრომელთა ინტერესებიდან. იმ მიზნით, რომ სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო საწარმოები და სხვადასხვა ორგანიზაციები ქალაქებსა და რაიონებში უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ მეურნეობის (ქალაქებში — საქალაქო მეურნეობის) განვითარებაში, რომ გაძლიერდეს რაიონული და საქალაქო საბჭოების დაინტერესება საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის შედეგებით, რაიონისა და ქალაქის ბიუჯეტებს გადაეცემა მათ ტერიტორიაზე განლაგებული რესპუბლიკური და საოლქო (სამხარეო) დაქვემდებარების საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მოგების ნაწილი.

რაიონული საბჭოების უფლება-მოვალეობათა შესახებ ბრძანებულების მე-5 მუხლში მითითებულია: „მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი, რომლებიც მათ მიიღეს მინიჭებული უფლებების ფარგლებში, სავალდებულოა შესასრულონ რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულმა ყველა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, საწარმომ, დაწესებულებამ და სხვა ორგანიზაციებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა და მოქალაქეებმა“, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მათს გადაწყვეტილებებს არ შესასრულებენ ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რაიონული საბჭოსა და მის აღმასკომს შეაქვთ შესაბამის ზემდგომ ორგანოებში წარდგინებანი, რომ ამ ხელმძღვანელებს დაადონ დისციპლინარული სასჯელი, თანამდებობებიდან მათ განთავისუფლებამდეც კი. ასეთ წარდგინებათა განხილვის შედეგები უნდა ეცნობოს საბჭოს ან მის აღმასკომს არაუგვიანეს ერთი თვისა. შესაბამისი ბრძანებულების მიხედვით (15 მუხლი) ანალოგიური უფლებები აქვთ მინიჭებული საქალაქო, ქალაქის რაიონის საბჭოსა და აღმასრულებელ კომიტეტებს ქალაქისა და ქალაქის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა, დაწესებულება-ორგანიზაციათა და თანამდებობის პირთა მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ბრძანებულებების სახით არსებობს საკავშირო ნორმატიული აქტები რაიონების, ქალაქებისა და ქალაქის რაიონების მშრომელთა დებუტატების საბჭოების უფლება-მოვალეობათა შესახებ, — ამ საკითხების უფრო კონკრეტულად რეგულირების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკებიც ქმნიან თავიანთ საკანონმდებლო აქტებს. კერძოდ, საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ 1971 წლის დეკემბერში მიიღო კანონები „მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს შესახებ“ და „მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> აღნიშნულ კანონთა ტექსტები დაბეჭდილია „საბჭოთა სამართლის“ ამავე ნომერში.

ადგილობრივი საბჭოების როლისა და მნიშვნელობის ამაღლების ამოცანების გადაჭრასთან ერთად, რაც, კერძოდ, მათი უფლებების გაფართოებასა და სამართლებრივ რეგლამენტაციაში გამოიხატება, — კომუნისტური პარტიის სპეციალური ზრუნვის საგანს წარმოადგენს საბჭოების კადრების მომზადება, მათი სწავლა და გადამზადება. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება არა საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების შერჩევას და მათთვის მხარის დაჭერას, არამედ საბჭოების აპარატში უკვე მომუშავე პირების იდეურ-პოლიტიკური ღონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1967 წლის ოქტომბერში მიიღო დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაკთა მომზადებისა და გადამზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“<sup>2</sup>.

დადგენილება პირველ ყოვლისა ითვალისწინებს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში, აგრეთვე რესპუბლიკურ პარტიულ სკოლებში საბჭოთა მუშაკების მიღების გაფართოებას და ავალებს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს წარგზავნონ სასწავლებლად სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელო მუშაკების გარდა ადგილობრივი საბჭოების აპარატის მუშაკებიც — აღმასკომების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები, აღმასკომების მდივნები, განყოფილებათა გამგეები.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაკთა მომზადებისა და გადამზადებისათვის, აღნიშნული დადგენილების მიხედვით, უკეთ გამოყენებულ უნდა იქნას საბჭოთა-პარტიული სკოლები. იქ სასწავლებლად უნდა გაიგზავნონ საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე დეპუტატები და ის პირები საბჭოს აქტივისტთა შორის, რომელთა წამოყენება შემდგომში ნავარაუდევია საბჭოთა სამუშაოზე. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაევალოს საკავშირო იურიდიულ დაუსწრებელ ინსტიტუტში გაეხსნა საბჭოთა აღმშენებლობის ფაქულტეტი, სადაც სტუდენტთა შერჩევის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ პირებს, რომლებსაც ექნებათ მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების რეკომენდაციები. გარდა ამისა, დადგენილება ავალებს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მეტი ყურადღება მიაქციონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაკთა მომზადებასა და გადამზადებას, მათი იდეურ-თეორიული ღონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას, რისთვისაც უფრო ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში სემინარებისა და თათბირების მოწყობა გამოცდილების გაზიარებისათვის, ღრმად გააშუქონ პრესაში საბჭოთა აღმშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილება მეურნეობისა და კულტურის, ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის დარგში.

პარტიული და საბჭოთა აპარატის მუშაკების კვალიფიკაციისა და იდეურ-თეორიული მომზადების ამაღლების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ-

<sup>2</sup> იხ. გაზ. „პრავდა“, 1967, 31 ოქტომბერი.

ჩი პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1967 წლის ნოემბერში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო კიდევ ერთი დადგენილება „რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში პარტიული და საბჭოთა მუშაკების გადამზადების მუდმივად მოქმედი კურსების ორგანიზაციის შესახებ“<sup>3</sup>. ასეთი კურსები ეწყობა როგორც პარტიული მუშაკებისათვის — პირველადი პარტიორგანიზაციების განთავისუფლებული მდივნები, პარტიის ქალაქკომებისა და რაიკომების განყოფილებათა გამგეები, — ისე საბჭოთა მუშაკებისათვის — საქალაქო და რაიონული აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეები და აღმასკომების მდივნები, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორთა მოადგილეები, მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორები, სასოფლო და სადაბო საბჭოების თავმჯდომარეები.

დასახელებულ დადგენილებათა შესაბამისად გატარებულმა ღონისძიებებმა უკვე გამოიღო დადებითი შედეგები, რამაც საფუძველი მისცა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში XXIV ყრილობისადმი განცხადებინა: „განმტკიცდა საბჭოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათს აპარატს ემატებიან კვალიფიციური კადრები“<sup>4</sup>.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე აღნიშნული იყო, რომ მშრომელთა დებუტატების საბჭოების როლის ამაღლებისათვის, რაც თავის მხრივ საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებასა და სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას მოასწავებს, — დიდი მნიშვნელობა აქვს თვით დებუტატების მუშაობის გააქტიურებას, მათი ავტორიტეტის ზრდას. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამასთან დაკავშირებით ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი მიუთითებდა: „მომწიფდა იმის საჭიროება, რომ შევიმუშაოთ სპეციალური კანონი, რომელიც განსაზღვრავს დებუტატების სტატუსს — უმაღლესი საბჭოების დებუტატებიდან სადაბო საბჭოების დებუტატებამდე, მათს რწმუნებებსა და უფლებებს, აგრეთვე თანამდებობის პირთა შოგალოებებს დებუტატთა მიმართ. ასეთი კანონის მიღება გააძლიერებს დებუტატთა ავტორიტეტსა და აქტივობას“<sup>5</sup>.

თანამედროვე პირობებში, როგორც ეს აღნიშნულია სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებსა და სხვა პარტიულ-სახელმწიფოებრივ დოკუმენტებში, საბჭოს დებუტატის როლი კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს, უნდა გაიზარდოს მისი უფლებებიც და პასუხისმგებლობაც დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის.

საბჭოების დებუტატები, მშრომელთა დებუტატების ყველა რგოლის საბჭოები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ასრულებენ სოციალისტური საზოგადოებისა და სახელმწიფოს შემდგომი განვითარების საქმეში მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

<sup>3</sup> იხ. გაზ. „პრავდა“, 1967 წ. 13 ნოემბერი.

<sup>4</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 98.

<sup>5</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 99.



## 3. ელენიჩივი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

## ა. დემურაძე,

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურნალისტიკის ფაკულტეტის  
საზღვარგარეთის პრესის კათედრის ასპირანტი

მიმდინარე წელს საყოველთაო შრომითი აღმავლობის სახეიმო ვითარებაში იდღესასწაულა ორმოცდაათი წლისთავი ორდენოსანმა საბჭოთა საქართველომ. იუბილარი რესპუბლიკის მიერ განვილი დიად ნახევარსაუკუნოვან გზას—საქართველოს ისტორიულ მიღწევებს საფუძველი ჩაუყარა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთში. 1921 წელს საქართველოში მომხდარი დიდი ისტორიული ძვრები არა მარტო მუშათა და გლეხთა მასების რევოლუციური ინიციატივის შედეგია, არამედ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შედეგი და მისი ბუნებრივი გაგრძელება.

1921 წლის 14 აპრილს ვ. ი. ლენინი თავის მიმართვაში აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიულთა რესპუბლიკის კომუნისტების მიმართ ამბობდა: „მხურვალედ მივესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობის ნიმუშს... საბჭოთა რესპუბლიკას რუსეთში არ ჰქონდა პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერა არსაიდან... კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს ჰქონდათ პოლიტიკური და მცირედი ზომით სამხედრო მხარდაჭერა რსფსრ-საგან“<sup>1</sup>.

ის უდიდესი სოციალური ცვლილებანი, რომლებიც საქართველოში 50 წლის წინათ დაიწყო, უფრო მეტად გასაგები გახდება, თუ მათ ანალიზს გავუკეთებთ იმ პროგრესული გავლენის გათვალისწინებით, რომელიც მოახდინეს რსფსრ და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებმა, მათ შორის საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ ეროვნებათაშორის და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაზე, მთელ საერთაშორისო სამართლის შინაარსზე.

ბურჟუაზიული საერთაშორისო სამართლის მკვლევარები და დიპლომატები თავიანთ მრავალრიცხოვან გამოცენებში ლაპარაკობენ რაღაც ჩიხზე, რომელშიც თითქოსდა მოემწყვდა საერთაშორისო სამართალი. თავიანთი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის გათანაბრებით საერთაშორისო სამართალთან ბურჟუაზიული იდეოლოგიები საერთაშორისო სამართლის აღსასრულამდე მიდიან. ამასთან დიპლომატიის დასავლეთ თეორეტიკოსებსა და ყვითელი პრესის ურნალისტებს არა სურთ აღიარონ საერთაშორისო სამართალში ის კარდინალური და მაღალპოტენციური ცვლილებები, რომლებსაც დასაწყისი დიდი ოქტომბრის იდეებმა მისცეს.

შევეცადოთ ბურჟუაზიულ მეცნიერებათა ზოგიერთ შრომებზე დაყრდნობით გავარკვიოთ, თუ რამდენად შეესაბამება მათი შეხედულებები ჭეშმარიტებას.

პირველ რიგში ჩვენ მხედველობაში გვაქვს საერთაშორისო სამართლის ესპანელი მკვლევარის, სარაგოზის უნივერსიტეტის პროფესორის ლუის ვარსია არიასის შრომა „თანამედროვე ომი და საერთაშორისო ერთობლიობა“, ინგლისელი პროფესორის გეორგ შვარცენბერგერის ნაშრომი „საერთაშორისო სამართლის ბრწყინვალება და სილატაკე“ და საერთაშორისო სამართლის ცნობი-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 32, გვ. 397.

ლი ამერიკელი მკვლევარის ჯოზეფ კუნცის „ეროვნებათა ცვალებადი სამართალი“.

გარსია არიასი, რომელმაც დაკარგა რეალური სინამდვილის ყოველგვარი შეგრძნება, ცდილობს იცხოვროს თავისი სულიერი წინამორბედების—ესპანელი კონკისტადორების წარმოდგენებით და მოუწოდებს პრევენციული (გამაფრთხილებელი) ატომური ლაშქრობისაკენ სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ<sup>2</sup>. გაცხარებულ მებრძოლ ჯვაროსანს ავიწყდება, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალმა დაჰკმო და აკრძალა აგრესიული ომი როგორც უმძიმესი საერთაშორისო დანაშაული.

შვარცენბერგერი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ „ამჟამად საერთაშორისო სამართალი იმავე დონეზე იმყოფება, რომელზეც ის 1914 წლამდე პერიოდში იმყოფებოდა“<sup>3</sup>.

ინგლისელმა პროფესორმა ვერ შეძლო შეენიშნა ოქტომბრის პროგრესული იდეების გავლენა საერთაშორისო სამართალზე (თუმცა შესაძლოა არ შეენიშნა). სამაგიეროდ ჯოზეფ კუნცი იძულებულია აღიაროს, რომ ძველმა კლასიკურმა საერთაშორისო სამართალმა განიცადა არსებითი ცვლილებები. თუმცა იგი ამ ცვლილებებს უკავშირებს ძირითადად კაცობრიობის ტექნიკურ პროგრესს (მაგნიტურ ნაღმებს, ავიაციას, ატომურ ენერგიას). ძირეულ გარდატეხას საერთაშორისო სამართლის განვითარებაში კუნცი მიაწერს აგრეთვე რაღაც რასობრივ კონფლიქტს შვეკანიანებსა და თეთრკანიანებს შორის (ასე განსაჯეთ—კოლონიების ჩაგრულ ხალხებსა და კოლონიურ სახელმწიფოებს შორის), ღმერთი-პატიმარი რწმენის დაკარგვას და რასაც გნებავთ, გარდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პროგრესული გავლენისა<sup>4</sup>.

ისტორიული ფაქტები... მხოლოდ ისინი წარმოადგენენ უზენაეს და პირუთვნელ მსაჯულებს ამ საქმეში.

1917 წელი. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო იწყებს შეუბუვარ ბრძოლას მშვიდობისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის განხორციელებისათვის.

მშვიდობის შესახებ ლენინური დეკრეტით იმპერიალისტური ომი გამოცხადდა უდიდეს დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ. ყველა მეომარ ხალხს და მათს მთავრობებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ დაეწყონ მოლაპარაკება სამართლიანი და დემოკრატიული მშვიდობისათვის. იგი იძლეოდა სამართლიანი და დემოკრატიული მშვიდობიანობის მკაფიო განსაზღვრას, უსამართლო ტერიტორიულ შენაძენთა გავებას, პირველად აყალიბებდა ამჟამად მოქმედი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს — აგრესიული ომის აკრძალვას. დეკრეტი ხაზს უსვამდა ხალხთა მასების სამართალშემოქმედებით როლს საერთაშორისო ურთიერთობაში. მართალია, დეკრეტში „მშვიდობიანი თანაარსებობა“ არ იყო ნახსენები, მაგრამ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური იდეა მთელი დოკუმენტის ლეიტმოტივს წარმოადგენდა.

ოქტომბრის რევოლუციამდე საერთაშორისო სამართალი საუკუნეების მან-

<sup>2</sup> L. Garcia Arilas. La Guero Moderna y la Organizacion Internacional. Madrid, 1962.

<sup>3</sup> G. Schwarzenberger. The Misery and Grandeur of International Law, London, 1967, The Low of Armed Conflict London, 1968.

<sup>4</sup> Y. Kunz. The Changing Law of Nations. Ohio State Univ. Press, 1968.

ძილზე აშუქებდა სახელმწიფოს უფლებას ომზე, როგორც საერთაშორისო დავის გადაჭრის საშუალებაზე, ე. ი. აღიარებდა სახელმწიფოების უთანხმოებათა გადაჭრის ყველაზე ბარბაროსულ გზას. და ამან ძალიან არ უნდა გავაკვირვოს, რადგანაც საერთაშორისო სამართალი იქმნებოდა და იქმნება თვით სახელმწიფოთა მიერ მათი ბრძოლისა და თანამშრომლობის პროცესში. ომი ყველასათვის ხელსაყრელი იყო.

აგრესიული ომის წინააღმდეგ სსრკ დაუინებულო ბრძოლის შედეგად, მისი მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის ზეგავლენით ჩამოყალიბდა ასეთი ომის აკრძალვის პრინციპი (ანუ თავდაუხსმელობის პრინციპი), სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გავრცელა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა პრინციპი ყველა ხალხზე და ერებზე, და არა მარტო „ცივილიზებულებზე“, როგორც ამას ითვალისწინებდა ძველი საერთაშორისო სამართალი. გავიხსენოთ, რომ ოქტომბრის რევოლუციამ თვითგამორკვევის, დამოუკიდებელ სახელმწიფოს გამოყოფისა და შექმნის უფლება მისცა პოლონეთის, ფინეთის, ბალტიისპირეთისა და კავკასიის ხალხებს.

რსფსრ და საქართველოს სსრ შორის 1921 წლის 21 მაისის საკავშირო მუშურ-გლეხურ ხელშეკრულებაში ორივე მხარე აღნიშნავდა, რომ „ყოფილი რუსეთის იმპერიისადმი საქართველოს სსრ წინანდელი მიკუთვნებულობის ფაქტიდან საქართველოსათვის არ გამომდინარეობს არავითარი ვალდებულება“<sup>5</sup>. რუსეთი და საქართველო გაერთიანდნენ სამხედრო-ეკონომიურ კავშირში როგორც ორი დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო.

იმპერიალისტური რუსეთის კოლონიიდან საქართველო გადაიქცა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, სახელმწიფოდ, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს თავის ბედს.

რსფსრ, საქართველოს სსრ და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების საბჭოთა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკამ მიგვიყვანა ერთა თვითგამორკვევის პრინციპის შინაარსის არსებით შეცვლამდე, რომელიც მიმართული იყო ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

სომხეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ და მეორე მხრივ თურქეთს შორის 1921 წლის 13 ოქტომბრის საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელსაც ხელს აწერდნენ შ. ელიავა და ა. სვანიძე, საქართველომ კაპიტულაციისა და ყოველგვარი ეროვნული პრივილეგიის რეჟიმი ცნო „როგორც შეუთავსებელი ყოველი ქვეყნის თავისუფალ ეროვნულ განვითარებასთან, ისევე როგორც მისი სუვერენული უფლებების სრულ განხორციელებასთან“<sup>6</sup>.

საბჭოთა ქვეყნისა და სპარსეთის ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1921 წლის 26 თებერვალს, წარმოადგენს პირველ თანასწორ-უფლებიან ხელშეკრულებას სპარსეთის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

ხელშეკრულებამ გააუქმა რუსეთსა და სპარსეთს შორის ყველა ის წინანდელი ხელშეკრულება, რომლებიც სპარსელი ხალხის სუვერენულ უფლებებს ზღალავდნენ. რუსეთი უარს აცხადებდა ყველა ვალისა და შემოსავლის გადახ-

<sup>5</sup> Документы внешней политики СССР, т. IV, стр. 130 — 131. საქართველოს სახელმწიფო ხელშეკრულება ხელმოწერილია განათლების სახალხო კომისრის მამია ორბელიანის მიერ.

<sup>6</sup> Документы внешней политики СССР, т. IV, стр. 420 — 429.

დევენებაზე. საბჭოთა მხარემ უსასყიდლოდ გადასცა სპარსელ ხალხს სპარსეთის ბანკის ყველა სააღრიცხვო-სასესხო აქტივები, რკინიგზები და გზატკეცილები და ბევრი სხვა რამ. ანალოგიური ხელშეკრულებები საბჭოთა რუსეთმა დასდო ავღანეთთან, თურქეთთან.

აფასებდა რა უდიდეს სამხედრო და ფინანსურ დახმარებას, რომელიც საბჭოთა სახელმწიფომ აღმოუჩინა თურქეთის ახალგაზრდა რესპუბლიკას, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იუსუფ კემალი ამბობდა მეჯლისზე: „ანატოლიის თურქეთის მნიშვნელობა და პრესტიჟი ევროპაში არსებობს საბჭოთა რუსეთისა და ჩვენი მეგობრობის წყალობით“<sup>7</sup>.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის 1924 წლის 31 მაისის შეთანხმებით გათვალისწინებული იყო ჩინეთსა და მეფის მთავრობას შორის საზღვრების შესახებ ხელშეკრულების გარდა ყველა წინანდელ ხელშეკრულებათა გაუქმება და მათი შეცვლა. საბჭოთა კავშირი უარს აცხადებდა პრევილევებზე რუსი მოსახლეობისა და საბჭოთა მოქალაქეთათვის, აგრეთვე ჩინეთის ხალხის განათლების ფონდის სასარგებლოდ უარს აცხადებდა კონცეფციებზე და რუსეთის ვალის წილზე, რომელიც დაკავშირებულ იყო ბოქსიორთა აჯანყებასთან.

ამრიგად, საბჭოთა რესპუბლიკების, და უწინარეს ყოვლისა რსფსრ, საერთაშორისო ხელშეკრულებები აღმოსავლეთის ქვეყნებთან წარმოადგენს იმ საძირკველს, რომელზეც გაიზარდა ახალი საერთაშორისო სამართლის შენობა.

ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს საერთაშორისო სამართლის არსში, ბიძგი მისცა კლასიკური საერთაშორისო სამართლის ისეთი „კანონიერი“ უფლებების გაუქმების პროცესს, როგორიც არის გამარჯვებულის უფლება, უფლება ინტერვენციებზე, ეგრეთწოდებული „არავის ტერიტორიების“ შექმნის უფლება, რომლებიც სახელმწიფოებრიობის არმქონე ხალხთა კუთვნილებაა, წარსულს ჩაბარდა კოლონიალური უფლების დებულებათა სისტემა.

საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობათა მშვიდობისმოყვარე ნაბიჯები, მიმართული სხვა სახელმწიფოებთან მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობის დასამყარებლად, მათი დიდსულოვნება მეფის რუსეთისადმი კოლონიალურ და ნახევრადკოლონიალურ დამოკიდებულებაში მყოფი ხალხების მიმართ, მზადყოფნა მოძმე ხალხების ინტერესების დასაცავად — ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ ასახულიყო საერთაშორისო სამართალში, არ შეეძლო არ გაემდიდრებინა იგი ახალი პროგრესული პრინციპებითა და ნორმებით.

ოქტომბრის იდეების გავლენა დაეტყო ძველი პრინციპების — სუვერენიტეტის, ჩაურევლობის, თანასწორუფლებიანობის — ტრანსფორმაციასაც. მათი დემოკრატიული შინაარსი უფრო ღრმა გახდა.

გასული ნახევარსაუკუნის დამახასიათებელი თავისებურებაა თანამედროვე სამყაროს მთელი სტრუქტურის რევოლუციური გარდაქმნის პროცესის გაღრმავება — ექსპლოატაციის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის პირობების მოსამზადებლად. ეს გარდაქმნა ვლინდება სოციალიზმის მსოფლიო სისტემად გარდაქმნაში, იმპერიალისტური ბატონობის სფეროს შეზღუდვაში, იმპერიალიზმის კოლონიალური სისტემის რღვევაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გაფართოებაში,

<sup>7</sup> Документы, т. V, М., 1961, стр. 207.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის გავლენის ზრდაში. ბუნებრივია, რომ მსოფლიო არენაზე ძალთა თანაფარდობის მსგავსმა ცვლილებამ გარდუვალად იჩინა თავი საერთაშორისო სამართლის პროგრესულ და დემოკრატიულ განვითარებაზე.

შემოდინიშნულ საერთაშორისო-სამართლებრივ პრინციპებს გარდა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ყალიბდება ახალი პრინციპები: განიარაღების პრინციპი, ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემის პრინციპი. ამ პრინციპების ჩამოყალიბების პროცესიც დაკავშირებულია ოქტომბრის იდეებთან.

ჯერ კიდევ 1916 წელს ვ. ი. ლენინი ნაშრომში „განიარაღების ლოზუნგების შესახებ“ აღნიშნავდა, რომ „განიარაღება არის სოციალიზმის იდეალი“<sup>8</sup>. გენუის კონფერენციის პირველსავე პლენარულ საბჭოთა დელეგაციამ გამოვიდა შეიარაღების საყოველთაო შემცირების წინადადებით და მხადყოფნა გამოთქვა მხარი დაუჭიროს ყოველ წინადადებას, რომლის მიზანიც იქნება მილიტარიზმის ტვირთის შემსუბუქება. საბჭოთა ხელისუფლების რევოლუციურ ღონისძიებათა მნიშვნელობა კი, რომლებიც მიმართულია ხალხთა ფართო მასების პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური უფლებების იურიდიული განმტკიცებისა და ფაქტიური უზრუნველყოფისაკენ, ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის.

1969 წლის მაისში ვენაში ხელმოწერილი საერთაშორისო კონვენცია ხელშეკრულებათა უფლების შესახებ ითვალისწინებს ძალით თავსმოხვეულ ხელშეკრულებათა ბათილობას. არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა ბათილობის აღიარების პრინციპი გარდაიქმნება ჩვენს დროში ფრიად მნიშვნელოვანი ახალი საქმეების დასაწყისად. მისი მნიშვნელობა გასაგებია. საჭიროა მხოლოდ ხაზი გავსვას იმას, რომ ამ ზოგადი საერთაშორისო სამართლის პრინციპის დაბადების სათავე ისევ და ისევ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეობაშია, რომლებმაც გააუქმეს ბურჟუაზიული მთავრობის ყველა არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება.

ცხადია, ამ წერილით სრულიად არ ამოიწურება ოქტომბრის რევოლუციის იდეათა მთელი წრე, რომლებმაც თავისი გავლენა მოახდინეს ოქტომბრის შემდგომ პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის განვითარებაზე, ისევე როგორც არ ამოიწურება ყველა ის ცვლილება, რომლებიც მოხდა საერთაშორისო სამართალში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მსოფლიო არენაზე გამოჩენის დროიდან<sup>9</sup>.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ ბურჟუაზიულ მეცნიერთა ცდებს მიჩქმალონ საბჭოთა რესპუბლიკების როლი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ეს არის საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის ფალსიფიკაცია. ხოლო მსჯელობა რაღაც ჩიხზე, რომელშიც ვითომდა მოემწყვდა საერთაშორისო სამართალი, მოწოდებულია გაამართლოს მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის თვალში იმპერიალისტურ სახელმწიფოთა და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული საგარეო პოლიტიკა.

<sup>8</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 152.

<sup>9</sup> იხ. **Г. И. Тункин**, Теория международного права, изд. «Международные отношения», М., 1970.

# თავისუფლების აღკვეთის აღვილებიდან გათავისუფლებულ პირებზე აღმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელების ზომიერითი საკითხი



## გ. ჰველიძე

თავისუფლების აღკვეთის აღვილებიდან გათავისუფლებულ პირებზე აღმინისტრაციული ზედამხედველობა — რეციდივული დანაშაულის თავიდან აცილების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულება „თავისუფლების აღკვეთის აღვილებიდან გათავისუფლებულ პირებზე მილიციის ორგანოების აღმინისტრაციულ ზედამხედველობის შესახებ“ ვალდებულებას აკისრებს მილიციის ორგანოებს თვალყური ადევნონ თავისუფლების აღკვეთის აღვილებიდან გათავისუფლებული პირების ყოფაქცევას, თავიდან აიცილინონ დანაშაული მათ მხრივ და მოახდინონ მათზე საჭირო აღმზრდელობითი ზემოქმედება.

„თავისუფლების აღკვეთის აღვილებიდან გათავისუფლებულ პირებზე მილიციის ორგანოების აღმინისტრაციულ ზედამხედველობის დებულების“<sup>1</sup> პირველი მუხლით ასეთი ზედამხედველობა მართალია წარმოადგენს იძულებით ღონისძიებას, მაგრამ მიზნად არ ისახავს ზედამხედველობაში მყოფის ადამიანური ღირსების დამცირებასა და კომპრომეტაციას სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ჩვენი რესპუბლიკის გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, რომ მილიციისა და პროკურატურის ორგანოების მიერ მნიშვნელოვანი მუშაობა გაწეული აღმინისტრაციულ ზედამხედველობაზე კანონის ცხოვრებაში გასატარებლად. გახშირდა მაგალითები ამ კანონის დადებითი ზემოქმედებისა პირებზე, რომლებზეც დაწესებულია საჯარო ზედამხედველობა.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა მილიცია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქციის განხორციელებისას მარტო აღმინისტრაციული ზედამხედველობით არ შემოიფარგლება, ამ სამართლებრივი ნორმის დადგენით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ქვეყანაში დანაშაულის თავიდან აცილების საქმეს, რადგანაც ეს შესაძლებლობას აძლევს მილიციის ორგანოებს ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ პირებს, რომლებიც ანტისაზოგადოებრივი ქცევების მტკიცე მატარებელნი არიან.

იქ, სადაც აღმინისტრაციული ზედამხედველობა მოიცავს ყველა გათავისუფლებულ პირს, რომელთა უღირსი საქციელი დანაშაულში გადაზრდის საშიშროებას ჰქმნის, სადაც ზედამხედველობა შემთხვევიდან შემთხვევამდე და ფორმალურად არ ხორციელდება, იქ აშკარად იგრძნობა ამ ღონისძიების პროფილაქტიკური მნიშვნელობა. მაგრამ როგორც დავგანახა საქართველოს სსრ პროკურატურის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ, ამ მნიშვნელოვანსა და საპასუხისმგებლო საქმეში არაერთი სერიოზული ნაკლოვანებანი გვხვდება.

მილიციის ორგანოების მიერ აღმინისტრაციულ ზედამხედველობის დაწესებაზე უმოქმედობა ან მისი არასაკმარისად განხორციელება უნდა განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი პირობა განმეორებითი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობისა.

<sup>1</sup> შემდეგში ამ საკანონმდებლო აქტს მოვიხსენიებთ „დებულებად“.

ამიტომ საპროკურორო ზედამხედველობის ამოცანა ამ ხაზით მილიციის ორგანოების საქმიანობაზე იმაში გამოიხატება, რომ საფუძვლიანად შესწოროს, აღმოფხვრას ადმინისტრაციული ზედამხედველობის პრაქტიკაში შესაძლო შეცდომები და გადააქციოს ის სამართალდარღვევის პროფილაქტიკის უფრო ეფექტურ საშუალებად.

ადმინისტრაციული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი თითოეული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის დროს პროკურორმა უნდა გაარკვიოს, დაწესებულმა საჯარო ზედამხედველობამ რატომ არ უზრუნველყო კონკრეტული დანაშაულის თავიდან აცილება.

ამგვარი შემოწმების პროცესში უნდა დადგინდეს, შეეძლოთ თუ არა მილიციის მუშაკებს ადმინისტრაციული ზედამხედველობის გზით აეცილებინათ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედობა.

როგორც ცნობილია, ადმინისტრაციულ ზედამხედველობას იყენებენ სრულწლოვანი პირის მიმართ, რომელიც ა) სასამართლომ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნო, ბ) თავისუფლება აღკვეთილია მძიმე დანაშაულისათვის ან თავისუფლება აღკვეთილია ორჯერ მეტად რაიმე განზრახ დანაშაულისათვის თუ მისი ყოფაქცევა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოხდის დროს მოწმობს რომ მას სრულებით არ სურს დაადგეს გამოსწორების გზას და ეზიაროს პატიოსან შრომით ცხოვრებას, გ) თავისუფლება აღკვეთილია მძიმე დანაშაულისათვის ან თავისუფლება აღკვეთილია ორჯერ მეტად რაიმე განზრახ დანაშაულისათვის, თუ იგი სასჯელის მოხდის ან სასჯელისაგან ვადამდე პირობითი გათავისუფლების შემდეგ სისტემატურად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს და მიუხედავად მილიციის ორგანოებისაგან მიღებული გაფრთხილებისა განაგრძობს ანტისაზოგადოებრივ ცხოვრებას.<sup>2</sup>

დებულება ადმინისტრაციული ზედამხედველობისა ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც გათავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულების გამოცემამდე, თუ ნასამართლობა მათ მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვთ კანონით დადგენილი წესით.

საპროკურორო ზედამხედველობა, რომელიც მოწოდებულია თავიდან აიცილოს რეციდივისული დანაშაული, უნდა ესწრაფვოდეს იმას, რომ მილიციის ორგანოებმა გამოიყენონ საჯარო ზედამხედველობა ყველა იმათ მიმართ, რომელთა მიმართაც კანონი აწესებს ასეთი ნორმის გამოყენებას.

სამწუხაროდ ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როდესაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გამოსული პირები, რომელთა მიმართაც გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული ზედამხედველობა, მილიციის მხედველობის არის გარეშე რჩებიან, თუმცა თვეების განმავლობაში ისინი მუდმივად ცხოვრობენ თავს ძირითად საცხოვრებელ ადგილას.

მილიციის უზნის ინსპექტორები ყოველთვის არ ატყობინებენ ასეთ პირებზე სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებას, თუმცა მათზე ადმინისტრაციულ ზედამხედველობას ისინი ახორციელებენ; ამის შედეგად შინაგან საქმე-

<sup>2</sup> იხ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულება „თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ პირებზე მილიციის ორგანოების ადმინისტრაციული ზედამხედველობის დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“, „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უწყებები, 1970 წ. № 24.

თა განყოფილებაში არ არის სწორი აღრიცხვა იმ პირებისა, რომლებიც დაბრუნდნენ საპატიმრო ადგილებიდან და ცხოვრობენ მოცემულ რაიონში.

ასეთი ფაქტები გამოაშკარავებულია ქ. სოხუმში, სამტრედიის, ზუგდიდისა და სხვა რაიონებში.

ასე მაგალითად, 1969 წლის 17 ნოემბერს ქ. სოხუმში მხეცურად მოკლეს მოქ. ერზოვი. მკვლელობა ჩაიდინეს ვინმე ბიჩკოვმა, რომელიც ოთხჯერ იყო გასამართლებული მძიმე დანაშაულისათვის და გათავისუფლდა პატიმრობიდან იმავე წლის ივლისში და შჩერბაკოვმა, რომელიც აგრეთვე ორჯერ იყო გასამართლებული მძიმე დანაშაულისათვის.

შრომა-გასწორებითი დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ ბიჩკოვი არსად არ მუშაობდა, ლოთობდა, ცხოვრობდა ქ. სოხუმში ლ-ს ბინაზე, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ ბიჩკოვის მსგავსი პირები. მიუხედავად ამისა, ბიჩკოვი და მისი ამხანაგები ქ. სოხუმის მილიციის მუშაკების მეთვალყურეობის გარეშე დარჩნენ; ბიჩკოვის მიმართ არ გამოიყენეს ადმინისტრაციული ზედამხედველობა.

ქალაქის შინაგან საქმეთა განყოფილება არ აწარმოებდა პატიმრობიდან გათავისუფლებული პირების ზუსტ აღრიცხვას, არ აღინიშნებოდა თუ სად იხდიდნენ ისინი სასჯელს მძიმე დანაშაულისათვის.

ასეთი მაგალითები ცოტა როდია, ხოლო აღნიშნულს სადამდის მიყვავართ თვალსაზრისით შემდეგი მაგალითიდან: 1968 წლის ოქტომბერში პატიმრობიდან დაბრუნდა ლოლუა, რომელიც ოთხჯერ იყო ნასამართლვეი მძიმე დანაშაულისათვის. ზუგდიდის რაიონის მილიციის მუშაკებმა მასზე ადმინისტრაციული ზედამხედველობა არ დაწესეს, თუმცა ლოლუა ეწეოდა ანტისაზოგადოებრივ ცხოვრებას. ორი წლის შემდეგ მან თავის ძმასთან ერთად, რომელიც აგრეთვე პატიმრობიდან დაბრუნდა, ჩაიდინა დანაშაული — მოჰკლა მოქალაქე მაქა-ცარია.

მილიციის ორგანოები მოვალენი არიან სისტემატურად შეასრულონ კანონის მოთხოვნები და აუცილებლად გამოავლინონ მძიმე დანაშაულისათვის ადრე თავისუფლებადაღკვეთილი ყველა პირი ან თავისუფლებადაღკვეთილნი ორჯერ მეტად რაიმე განზრახვი დანაშაულისათვის, თუ ისინი სასჯელის მოხდის ან სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების შემდეგ სისტემატურად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს და სოციალისტური საერთო თანაცხოვრების წესებს. მილიციის მუშაკები ყოველგვარ საშუალებებს უნდა ღებულობდნენ ასეთი პირების ანტისაზოგადოებრივი ცხოვრებისაგან ჩამოსაშორებლად და მათზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის დასაწესებლად.

ზედამხედველობის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი თანმიმდევრობით აკონტროლებენ მილიციის მუშაკები დადგენილი შეზღუდვების დაცვას. შემოწმებამ ცხადყო, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ადმინისტრაციულ ზედამხედველობას იყენებენ ფორმალურად. ზედამხედველობაში მყოფ პირებთან მუშაობა მხოლოდ მათი რეგისტრაციით ამოიწურება. ზოგჯერ უკონტროლობა იქამდე მიდის, რომ მილიციის მუშაკებს არ აშფოთებთ თვით ზედამხედველობაში მყოფი პირის მილიციაში გამოუცხადებლობაც რეგისტრაციისათვის.

ასე მაგალითად შრომა-გასწორებითი დაწესებულებიდან მიღებული დასკვნის საფუძველზე მახარაძის რაიონის მილიციის მუშაკებმა 1970 წლის იანვარში დააწესეს ადმინისტრაციული ზედამხედველობა გოგიტიშვილის მიმართ. ის უნ-



და გამოცხადებულყო თვეში ორჯერ მილიციაში რეგისტრაციისათვის, არ უნდა გასულიყო ქალაქიდან და 23 საათის შემდეგ სახლში უნდა ყოფილიყო.

ოთხი თვის განმავლობაში გოგითიშვილი არც ერთხელ არ გამოცხადებულა რეგისტრაციისათვის. მილიციის მუშაკები მას სახლში აკითხავდნენ, მაგრამ ის არასოდეს არ იყო იქ. ამ ამბავმა არავინ არ შეაშფოთა. თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებული პირების აღრიცხვის ყურნალში ჩაიწერა, რომ გოგითიშვილი გადავიდა ქ. სამტრედიაში. როგორც დადგინდა, გოგითიშვილი ნამდვილად ცხოვრობს ქ. სამტრედიაში, მაგრამ არსად არ მუშაობს და ეწევა ანტისაზოგადოებრივ ცხოვრებას.

უკონტროლობის მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ასეთი დამოდიკებულება ზედამხედველობაში მყოფი პირებისადმი იწვევს მათში დაუსჯელობის გრძნობას და შეიძლება ახალი დანაშაულის ჩადენამდე მიიყვანოს ისინი.

როგორც ჩანს, ადმინისტრაციული ზედამხედველობა — ეს არჩევითი ღონისძიება არის, და ის არ შეიძლება თვითნებურად გამოვიყენოთ ყველა გათავისუფლებულის მიმართ. ის ეხება პირთა ფრიად ვიწრო წრეს, რომელთა მხრიდანაც არის რეალური საფრთხე საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენისა.

ზოგჯერ პრაქტიკაში ამ ღონისძიებებს იყენებენ იმ პირების მიმართაც, რომლებსაც არ ეხება ეს ბრძანებულება ადმინისტრაციულ ზედამხედველობაზე, რამაც შესაძლოა მძიმე შედეგი გამოიწვიოს.

პროკურორებმა მკაცრად უნდა ადევნონ თვალყური იმას, რომ ზედამხედველობაში მყოფი პირების მიმართ მილიციის მუშაკებმა არ გადაამეტონ საზედამხედველო უფლებამოსილება, რაც დაამცირებს მათ ადამიანურ ღირსებასა და კომპრომეტაციას სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ზედამხედველობაში მყოფი პირის მიმართ უსაფუძვლო შეზღუდვებმა მისი ცხოვრების, ოჯახურ მდგომარეობის, სამუშაო ადგილისა და სხვა დამახასიათებელი მდგომარეობის გაუთვალისწინებლივ შესაძლოა გამოიწვიოს ზელოვნურად ისეთი პირობების შექმნა, რაც ზედამხედველობაში მყოფ პირს აიძულებს დაარღვიოს ზედამხედველობის წესები.

„დებულების“ მე-5 მუხლის მიხედვით ზედამხედველობის ქვეშ ასაყვან პირებს ადმინისტრაციულ ზედამხედველობას უწესებენ მათს მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შრომა-გასწორებითი დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ, თუ გათავისუფლების მომენტიდან სამ წელზე მეტი ა რარის გასული.


ეს მოთხოვნა დაარღვიეს ქ. თბილისის კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში, სადაც ადმინისტრაციული ზედამხედველობა დაუწესდა ო-ს თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გათავისუფლების 5 წლის შემდეგ.

ადმინისტრაციული ზედამხედველობა უვადო პროცესი არ არის, ის შეზღუდულია დროით.

„დებულების“ მე-8 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ზედამხედველობა დაწესდება ექვსი თვის ვადით. თუ საჭირო იქნა ადმინისტრაციული ზედამხედველობა ყოველთვის შეიძლება გააგარძელონ კიდევ ექვსი თვით, მაგრამ სულ დიდი იმ ვადით, რომელსაც ითვალისწინებს კანონი ნასამართლობის გასაქარწყლებლად ან მოსახსნელად ამ დანაშაულის გამო.

პროკურორის ფუნქციებში შედის მეთვალყურეობა იმაზე, რომ ადმინისტრაციული ზედამხედველობა დაწესდეს დადგენილ ვადაში.

სერიოზული შეცდომები გვხვდება ადმინისტრაციული ზედამხედველობის



კანონის გამოყენებისას შრომა-გასწორებითი დაწესებულებების საქმიანობაშიც. ზოგჯერ შრომა-გასწორებითი დაწესებულებების ადმინისტრაცია არ ადგენს დასკვნებს ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესების აუცილებლობაზე იმ პირების მიმართ, რომლებიც გასამართლებული იყვნენ მძიმე დანაშაულისათვის და გათავისუფლებდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან სასჯელის ვადის გასვლის გამო, მაგრამ სასჯელის მოხდის პერიოდში სრულებით არ სურდათ დამდგარიყვნენ გამოსწორების გზაზე.

ასე მაგალითად, მძიმე დანაშაულისათვის შეიდი წლით თავისუფლება აღკვეთილი ლისენკო სასჯელის მოხდის პერიოდში სისტემატურად არღვევდა დადგენილ რეჟიმს, რისთვისაც 28-ჯერ იქნა დასჯილი. მიუხედავად ამისა შრომა-გასწორებითი დაწესებულების ადმინისტრაციამ არ შეადგინა დასკვნა ლისენკოს მიმართ ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესების აუცილებლობაზე მისი გათავისუფლების შემდეგ.

ზოგჯერ შრომა-გასწორებითი დაწესებულებების ადმინისტრაცია არ უგზავნის მილიციის ორგანოებს ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესების დასკვნებთან ერთად განაჩენისა და დადგენილების ასლებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გათავისუფლებული პირი არ დაასახელებს არჩეულ საცხოვრებელ ადგილს, მაშინ მილიციის ორგანომ, სადაც ამ პირმა მიმართა პასპორტისა და მუდმივად ჩაწერისათვის, უნდა მოითხოვოს მასზე დასკვნა შესაბამისი შრომა-გასწორებითი დაწესებულებიდან. ზოგჯერ დადგენილი წესი ირღვევა და მილიციის ორგანოები შრომა-გასწორებითი დაწესებულებებიდან ზოგიერთ დასკვნებს არ ითხოვენ.

შრომა-გასწორებითი დაწესებულების ადმინისტრაციისა და სამეთვალყურეო კომისიის უსაფუძვლოდ გამოტანილმა დასკვნამ შესაძლოა გამოიწვიოს მილიციის ორგანოების მხრივ უკანონო ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესება.

ზოგჯერ დასკვნებს აძლევენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გამოსულ ისეთ პირებზე, რომელთა ჩადენილი ქმედობა მძიმე დანაშაულად არ ითვლება.


ზოგჯერ არ იცავენ „დებულების“ იმ ნაწილს სადაც ნათქვამია, რომ ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესების საკითხებს წყვეტს კოლონიის ადმინისტრაცია სამეთვალყურეო კომისიასთან ერთად და არა კომისიის თავმჯდომარე ან შრომა-გასწორებითი დაწესებულების ადმინისტრაცია ერთპიროვნულად.

პრაქტიკაში წამოიჭრება საკითხი: მილიციის ორგანოების მუშაკები ყოველთვის არიან თუ არა ვალდებული დააწესონ ადმინისტრაციული ზედამხედველობა იმ პირებზე, რომელთა მიმართ გამოტანილია შრომა-გასწორებითი დაწესებულების ადმინისტრაციისა და სამეთვალყურეო კომისიის დასკვნა.

ჩვენი აზრით, ამ დასკვნებს სავალდებულო ხასიათი არ უნდა ჰქონდეს მილიციისათვის.

გზავნიან რა მილიციის ორგანოებში დასკვნას, შრომა-გასწორებით დაწესებულების ადმინისტრაცია და სამეთვალყურეო კომისია ამით აყენებს საკითხს მოცემულ პირთა მიმართ ზედამხედველობის დაწესებაზე და ავალდებულებს მილიციას მის განხილვას, მაგრამ წინასწარ არ განსაზღვრავს არსებითად მის დაწყვეტას.

11904



დადგენილება ადმინისტრაციულ ზედამხედველობის დაწესების შესახებ გამოაქვს მილიციას, მას ამტკიცებს მილიციის საქალაქო (რაიონული) განყოფილების უფროსი და სანქციას ადებს პროკურორი. თუ პირი სასამართლოს მიერ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად არის მიჩნეული მასზე გამოტანილ დადგენილებას ზედამხედველობის დაწესებაზე პროკურორის სანქცია არ ესაჭიროება.

აქედან ნათელია, კონკრეტული პირის მიმართ ადმინისტრაციული ზედამხედველობის დადგენა მილიციისა და პროკურატურის პრეროგატივაა. ამიტომ მილიციის ორგანოებს შეუძლიათ შეამოწმონ, თუ ამას საჭიროდ ჩათვლიან, შრომა-გასწორებითი დაწესებულებების ადმინისტრაციის დასკვნის საფუძველიანობა, შეეკითხონ ამა თუ იმ დასაზუსტებელ საკითხებზე და სხვ.

ადმინისტრაციულ ზედამხედველობას აწესებენ მილიციის ორგანოები და ისინი პასუხისმგებელი არიან, რომ ასეთი ღონისძიებანი შეეფარდოთ მხოლოდ მათ, ვისაც ეს ეხება სინამდვილეში კანონის შესაბამისად.

ასე, მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გულრიფშის რაიონში დაბრუნდა განზრახი დანაშაულისათვის სამჯერ ნასამართლევი მარღანია, რომელმაც თავისუფლების აღკვეთის ადგილზე რამდენჯერმე დაარღვია თავისუფლება აღკვეთილთათვის დადგენილი რეჟიმი. შრომა-გასწორებითი დაწესებულების ადმინისტრაციამ ამის საფუძველზე გამოიტანა დასკვნა, რომ თითქოს მას სრულებით არ სურდა დამდგარიყო გამოსწორების გზაზე. მაგრამ მარღანია პატიმრობიდან დაბრუნებისთანავე შეუდგა შრომით საქმიანობას, კეთილსინდისიერად შრომობდა საბჭოთა მეურნეობაში, ეწეოდა საზოგადოებრივ მუშაობას, რითაც კარგი ავტორიტეტი დაიმსახურა კოლექტივში.

ჩვენი აზრით, მილიციის მუშაკები სწორად მოიქცნენ, როდესაც მარღანიას მიმართ არ დააწესეს ადმინისტრაციული ზედამხედველობა. მოცემულ შემთხვევაში მის ქცევაზე ამგვარი ზედამხედველობის დაწესება აუცილებლობით არ იყო გამოწვეული და შესაძლოა აღნიშნულს გამოეწვია მარღანიას კომპრომეტაცია სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამიტომ არ არის გამორიცხული რომ მილიციის ორგანოები არ დაეთანხმონ შრომა-გასწორებითი დაწესებულებების ადმინისტრაციის დასკვნას, თუ ისინი დარწმუნდებიან ამ დასკვნის უსაფუძვლობაში<sup>2</sup>.

ასევე უნდა იქცეოდეს პროკურორიც. ის სანქციას ადებს დადგენილებას ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესებაზე მოცემული პირის მონაცემების, ნასამართლობისა და პირის ქცევების გათვალისწინებით, როგორ თავისუფლების აღკვეთის ადგილზე ყოფნისას, ისე იქიდან გათავისუფლების შემდეგაც.

პროკურორმა თვალყური უნდა ადევნოს, რომ მილიციის მუშაკებმა უსაფუძვლოდ არ თქვან უარი ადმინისტრაციულ ზედამხედველობის დაწესებაზე.

ადმინისტრაციულ ზედამხედველობის დაწესებასა და განხორციელებისას ნაკლოვანებათა აღმოფხვრა მნიშვნელოვან წილად დაკავშირებულია პროკურორის ზედამხედველობის დონეზე.

ადმინისტრაციული ზედამხედველობის უსაფუძვლო დაწესების გამორიცხ-

<sup>2</sup> იხ. Г. Булатов, Л. Кацериков. Административный надзор органов милиции за лицами, освобожденными из мест лишения свободы, «Социалистическая законность», 1968, № 2, стр. 37.

ვის მიზნით პროკურორმა, უპირველეს ყოვლისა, გულდასმით უნდა შეისწავლოს ყველა მასალა, რომელიც საფუძვლად ედება ადმინისტრაციული ზედამხედველობის დაწესებას. ამასთან მიზანშეწონილი იქნება თუ პროკურორი გაესაუბრება ზედამხედველობის ქვეშ ასაყვან პირს.

ბუნებრივია, თუ პროკურორი თავის საზედამხედველო ფუნქციების შესრულებას მხოლოდ ადმინისტრაციული ზედამხედველობის სანქციონირებისათვის წარდგენილ მასალების შემოწმებით შემოფარგლავს, და უგულებელყოფს „დებულების“ სხვა მოთხოვნებს, მაშინ ამ ღონისძიებით რეციდივული დანაშაულის თავიდან აცილება არ მოხდება.

ჩვენი აზრით, თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გათავისუფლებული პირების მიმართ მილიციის ორგანოების მოქმედების კანონიერებაზე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებისას საჭიროა გარკვეულ იქნეს შემდეგი საკითხები:

1. ატარებენ თუ არა მილიციის ორგანოები გადამწყვეტ ღონისძიებებს ადმინისტრაციულ ზედამხედველობის დასაწესებელ პირთა გამოსავლენად;
2. პირები, რომლებზეც დაწესებულია ადმინისტრაციული ზედამხედველობა, ნამდვილად წარმოადგენენ თუ არა იმ სუბიექტებს, რომელიც ჩამოთვლილია „დებულების“ მე-2 მუხლში;
3. რამდენად საფუძვლიანად არის დაწესებული აღნიშნულ პირზე ზედამხედველობა;
4. დაცულია თუ არა ზედამხედველობის დაწესებისა და შეწყვეტის პროცესუალური წესი, ხომ არ არის დარღვეული დადგენილი შეზღუდვები და საზედამხედველო ვადა, აგრეთვე საზედამხედველო ვადის გაგრძელებისა და შეწყვეტის დრო და შეზღუდული უფლების ცვლილება;
5. ხორციელდება თუ არა ფაქტიურად დაწესებული ზედამხედველობა, აკონტროლებენ თუ არა მილიციის მუშაკები მეთვალყურეობაში მყოფი პირების ქცევის წესებს;
6. დაცულია თუ არა „დებულებით“ გათვალისწინებული მოთხოვნები ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევისას ზედამხედველობაში მყოფი პირების ადმინისტრაციულ ან სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემისა.

პროკურორებმა უნდა გააანალიზონ ზედამხედველობაში მყოფი პირების ჩადენილი დანაშაული, გამოავლინონ მიზეზები და პირობები, რაც ხელს უწყობს ამ დანაშაულის ჩადენას.

კანონიერებაზე ზედამხედველობას ახორციელებენ საგამოძიებო და თავისუფლების აღკვეთის ადგილების საზედამხედველო განყოფილებები. საგამოძიებო განყოფილებების პროკურორები ზედამხედველობას უწევენ მილიციის ორგანოების ადმინისტრაციულ ზედამხედველობას, ხოლო თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე საზედამხედველო განყოფილების პროკურორები — შრომაგასწორებითი დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ შედგენილი დასკვნების კანონიერებას და ამ დასკვნების დროულ გადაგზავნას მილიციის იმ ორგანოებში, სადაც ცხოვრობენ ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირები.

ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებული პირების მიმართ საჭირო შემოქმედების მოხდენას, მათ მხრივ დანაშაულის ჩადენის აღკვეთას.



# ოზონიური კასა

## კ ე ნ ო ნ ი

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს შემსახე

#### თავი I.

#### მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შემსახისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები

**მუხლი 1.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო ქალაქში, ქალაქის რაიონში და კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში წყვეტს ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და ქალაქის მშრომელთა ინტერესების შესაბამისად.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო მონაწილეობს საოლქო, რესპუბლიკური და საერთო-საქავერო მნიშვნელობის საკითხთა განხილვაში. რაიონული დაქვემდებარების მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო და ქალაქის რაიონული საბჭო შესაბამისად მონაწილეობენ აგრეთვე რაიონული და საერთო-საქალაქო მნიშვნელობის საკითხების განხილვაში.

**მუხლი 2.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოს ორი წლის ვადით ირჩევენ ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქენი საყოველთაო, თანაწილო და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს არჩევნების მოწყობის წესს განსაზღვრავს დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამისად დებულება აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ.


**მუხლი 3.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო ხელმძღვანელობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე, ამტკიცებს ქალაქის, რაიონის სახალხო-სამეურნეო გეგმასა და ბიუჯეტს, ხელმძღვანელობს უწყვეტ საბჭოსადმი

დაქვემდებარებული მართვის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების შესაბამისად. უზრუნველყოფს კანონების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვას; ხელს უწყობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა განხორციელების, ყველა სამეურნეო ორგანიზაციის მიერ გეგმებისა და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების, ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდისათვის რეზერვების გამოჩახვის, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

**მუხლი 4.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო კოორდინაციას უკეთებს და კონტროლს უწყევს ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობას საბინაო, კომუნალური, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტთა მშენებლობის, სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების დარგში, კეთილმოწყობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და ქალაქის, რაიონის მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში დონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების დარგში; საბჭოსათვის მინიჭებულ უფლებების ფარგლებში კონტროლს უწყევს ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობასა და მათ მიერ კანონმდებლობის დაცვას.

ამ მუხლში მითითებულ საკითხებზე საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო ისმენს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციე-



ბის ხელმძღვანელთა მოხსენებებს; იღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს; საჭირო შემთხვევებში შეაქვს თავისი წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

**მუხლი 5.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს საქმიანობას საფუძვლად უდევს ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, საჯაროობა, დებუტატთა რეგულარული ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე, აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებების და სამმართველოებისა — საბჭოსა და მოსახლეობის წინაშე, მშრომელთა ფართოდ ჩაბმა საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისათვის.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო მუშაობს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქალაქო, ქალაქის რაიონულ ორგანოებთან მჭიდრო კავშირში.

**მუხლი 6.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციით და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, ამ კანონით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით. მშრომელთა დებუტატების ზემდგომი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით. ავტონომიურ რესპუბლიკებში მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კონსტიტუციებით, აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონით მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ და ავტონომიური რესპუბლიკების სხვა საკანონმდებლო აქტებით, აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებებითა და განკარგულებებით.

**მუხლი 7.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი, რომლებშიც მიღებულია მათთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში, სავალდებულოა შესრულონ ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულმა ყველა საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ, აგრეთვე თანამდებობის პირებმა და მოქალაქეებმა

იმ შემთხვევაში, თუ ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა არ შეასრულეს მათი გადაწყვეტილებანი, საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოსა და მისი აღმასრულებელ კომიტეტს შესაბამის ზემდგომ ორგანოებში შეაქვთ წარდგინებანი, რომ ამ ხელმძღვანელებს დააღონ დისციპლინური სასჯელი თანამდებობიდან განთავისუფლებამდე კი. წარდგინებათა განხილვის შედეგები საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოს ან მისი აღმასრულებელ კომიტეტს უნდა ეცნობოს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა.

**მუხლი 8.** დასახლებული პუნქტების გარდაქმნას ქალაქებად ახდენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. ქალაქის ფარგლების დადგენისა და შეცვლის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

ქალაქის რაიონებს ქმნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მშრომელთა დებუტატების საოლქო საბჭოს, რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭოს წინადადებით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დამტკიცებით, ქალაქის მოსახლეობის რიცხვისა და მისი მომსახურების ინტერესების გათვალისწინებით. ქალაქში რაიონების საზღვრების დადგენას და შეცვლას ახდენს საქალაქო საბჭო მშრომელთა დებუტატების შესაბამისი რაიონული საბჭოების აზრის გათვალისწინებით.

ქალაქებისა და ქალაქების რაიონების სახელის დარქმევა და გადარქმევა ხდება სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 9.** საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის დებულების შესაბამისად იმ შენობაზე, სადაც მიმდინარეობს მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს სესია, საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა აღმართება სესიის მთელ პერიოდში, ხოლო რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაზე — მუდმივად.

ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ან აჭარის ასსრ სახელმწიფო დროშის აღმართვა ხდება იმ წესით, რომელიც დადგენილია აფხაზეთის ან აჭარის ასსრ დებულებით სახელმწიფო დროშის შესახებ.

სსრ კავშირის სახელმწიფო დროშის აღმართვა საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაზე ხდება



სსრ კავშირის სახელმწიფო დროშის დებულ-  
ბით დადგენილი წესით.

**მუხლი 10.** მშრომელთა დებუტატების სა-  
ქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო სარგებ-  
ლობა იურიდიული პირის უფლებებით.

მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალა-  
ქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომი-  
ტეტს აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-  
ჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნი-  
მუშის გერბიანი ბეჭედი, ხოლო ავტონომიურ  
რესპუბლიკაში შესაბამისად აფხაზეთის ან აჭა-  
რის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მი-  
ერ დამტკიცებული ნიმუშისა.

**თავი II.**

**მშრომელთა დეპუტატების  
საქალაქო საბჭოს  
უფლება-მოვალეობანი**

**მუხლი 11.** მშრომელთა დებუტატების სა-  
ქალაქო საბჭოს უფლებებსა და მოვალეობებს  
განსაზღვრავს სსრ კავშირის, საქართველოს  
სსრ კანონმდებლობა, ხოლო ავტონომიურ რეს-  
პუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის კან-  
ონმდებლობა იმის შესაბამისად, თუ რესპუბ-  
ლიკური (საქართველოს სსრ, ავტონომიური  
რესპუბლიკის), საოლქო ან რაიონული დაქვემ-  
დებარების ქალაქების რომელ კატეგორიას  
განეუთვნება ქალაქი. დაქვემდებარების კატე-  
გორიებისადმი ქალაქის მიუთვნება ხდება სა-  
ქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენი-  
ლი წესით, ქალაქის მოსახლეობის რიცხვის,  
მისი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტუ-  
რული მნიშვნელობის გათვალისწინებით.

**1. რესპუბლიკური (საქართველოს სსრ,  
აფხაზეთის და აჭარის ასსრ) საოლქო  
დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა  
დეპუტატების საქალაქო საბჭოს  
უფლება-მოვალეობანი**

**მუხლი 12.** დაევგვიან, აღრიცხვისა და ან-  
გარიშვების დარგში მშრომელთა დებუტატე-  
ბის საქალაქო საბჭო

ა) ამტკიცებს საქალაქო მეურნეობის განვი-  
თარებისა და ქალაქის სოციალურ-კულტურუ-  
ლი მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ და  
წლიურ გეგმებს, ორგანიზაციას უკეთებს და  
კონტროლს უწევს მათს შესრულებას: ამტი-  
ცებს პერსპექტიულ და წლიურ საგეგმო დაეა-  
ლებებს, საქალაქო დაქვემდებარების საწარმო-  
ების, დაწესებულებების და ორგანიზაციებისა-  
თვის, აგართვი აღნიშნულ საწარმოთა, დაწესე-  
ბულებებისა და ორგანიზაციათა განლაგების,  
განვითარებისა და სპეციალიზაციის გეგმებს;

ბ) განიხილავს ზემდგომი დაქვემდებარების

აღვილობრივი მრეწველობის, საყოფაცხოვრე-  
ბო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადო-  
ებრივი კვების საწარმოთა, კულტურის, სა-  
ხალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაც-  
ვის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა გან-  
ლაგების, განვითარებისა და სპეციალიზაციის  
გეგმებს, საჭირო შემთხვევებში შეაქვს თავისი  
წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანი-  
ებში;

გ) განიხილავს ქალაქის ტერიტორიაზე გან-  
ლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარ-  
მოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა  
გეგმების პროექტებს იმ ნაწილში, რომელიც  
ეხება საბინაო და კომუნალური მეურნეობის  
განვითარებას, გზების, სოციალურ-კულტურუ-  
ლი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობი-  
ექტთა მშენებლობას, სახალხო მოხმარების სა-  
ქონლისა და ადგილობრივი საშენი მასალების  
წარმოებას, კეთილმოწყობას, ვაჭრობას, საზო-  
გადოებრივ კვებას, სახალხო განათლებას, ჯან-  
მრთელობის დაცვას, კულტურასა და მოსახ-  
ლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა  
საკითხებს, საჭირო შემთხვევებში შეაქვს თა-  
ვისი წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანი-  
ებში, ამტკიცებს ამ საკითხებზე ნაკრებ სა-  
გეგმო მაჩვენებლებს, ამასთან შეაქვს ისინი  
საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და ქა-  
ლაქის სოციალურ-კულტურული მშენებლობის  
გეგმაში;

დ) უზრუნველყოფს შრომითი რესურსების,  
ადგილობრივი საშენი მასალებისა და სათბო-  
ბის გამოყენების ბალანსების, მოსახლეობის  
ფულადი შემოსავლისა და გასავლის ბალანსი-  
სა და სხვა ბალანსების შედგენას, რომლებიც  
საჭიროა ქალაქის მეურნეობის კომპლექსური  
განვითარების დაგეგმვისათვის;

ე) კონტროლს უწევს მინერალური ნედ-  
ლეულის, ტყის, წყლისა და ენერგეტიკული  
რესურსების რაციონალურ გამოყენებას;

ვ) კონტროლს უწევს აღრიცხვისა და ანგა-  
რიშვების მდგომარეობას საქალაქო დაქვემდ-  
ებარების საწარმოებში, დაწესებულებებსა და  
ორგანიზაციებში;

ზ) ეხმარება სახელმწიფო სტატისტიკის ორ-  
განოებს: უზრუნველყოფს საანგარიშგებო მო-  
ნაცემების შედგენასა და წარდგენის წესის  
შესახებ კანონმდებლობის დაცვას.

**მუხლი 13.** საბიუჯეტო-საფინანსო მუშაო-  
ბის დარგში მშრომელთა დებუტატების საქა-  
ლაქო საბჭო

ა) განიხილავს და ამტკიცებს ქალაქის ბიუ-  
ჯეტს შემოსავლის საერთო თანხით, გამოყოფს  
რა ძირითად საშემოსავლო წყაროებს, და გა-  
სავლის საერთო თანხით, გამოყოფს რა ასიგ-  
ნობებს საქალაქო მეურნეობის, სოციალურ-

კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, ქალაქის სახელმწიფო ხელისუფლების და სახელმწიფო მართვის ორგანოების შესახებად;

ბ) ამტკიცებს საქალაქო ბიუჯეტს, მისი შემოსავლისა და გასავლის კვარტალურ განაწილებას, საკასო საბრუნავი სახსრების როდენობას საქალაქო ბიუჯეტის მიხედვით;

გ) ორგანიზაციას უწევს საქალაქო ბიუჯეტის შესრულებას; კონტროლს უწევს საფინანსო დისციპლინის დაცვას, საწარმო-საფინანსო გეგმებისა და ბიუჯეტში გადასახდელების ვალდებულებათა შესრულებას. საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო სახსრების მომპირნობით ხარკვას;

დ) საქალაქო ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებულ შემოსავალს, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადაშეტების თანხებს, რომლებიც წარმოიშობა წლის დამლევისათვის შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან გასავლის ნაწილში მომპირნობის შედეგად, ახმარს ქალაქის მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას, მათ შორის კაპიტალურ დახანდელებს, აღმინისტრაციულ ნაგებობათა მშენებლობასა და სატრანსპორტო საშუალებათა შეძენას საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის, აღმასრულებელი კომიტეტების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების, სასამართლო ორგანოების შენობათა კაპიტალურ რემონტს, მათთვის ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენას (დაუშვებელია საქალაქო ბიუჯეტიდან აღნიშნული სახსრების ამოღება იმ ასიგნობათა გარდა, რომლებიც გამოყენებული არ არის ცენტრალიზებული კაპიტალური დახანდელების გეგმისა და სოციალურ-კულტურული დაწესებულებების ქსელის განვითარების გეგმის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით);

ე) საჭირო შემთხვევებში ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხელახლა ანაწილებს საქალაქო ბიუჯეტის სახსრებს კარიდან კარში, აგრეთვე ხელახლა ანაწილებს ხელფასის ასიგნობებს ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში;

ვ) განიხილავს და ამტკიცებს ანგარიშს საქალაქო ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

ზ) საჭირო შემთხვევებში საქალაქო ბიუჯეტის სახსრებიდან ერთდროულ ფულად დახმარებას უწევს იმ მოქალაქეებს, რომლებიც დაზარალებულნი სტიქიური უბედურებისაგან, კანონმდებლობის დადგენილი წესითა და ოდენობით;

თ) ხელმძღვანელობს მუშაობას სახელმწიფო

და ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსახდელების გამოანგარიშებისა და გადახდებიანობისათვის;

ი) ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსახდელების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-2 მუხლის შესაბამისად ამცირებს განაკვეთებს და აწესებს შეღავათებს ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსახდელების მიხედვით როგორც ცალკეული კატეგორიების დასახეგრი ობიექტებისა და გადახდელების ჯგუფებისათვის, ისე ცალკეულ გადახდელოთათვის; უფლება აქვს არ შემოიღოს ქალაქის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადი; აძლევს შეღავათებს სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად;

კ) კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ცალკეული გადახდელებისათვის აწესებს დამატებით შეღავათებს სახელმწიფო ბაჟის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-3 მუხლისა და მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-4 მუხლის შესაბამისად;

ლ) განიხილავს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის განყოფილებათა კვარტალურ საკასო გეგმებს და იღებს ზომებს მათი შესრულებისათვის; იღებს გადაწყვეტილებებს სსრ კავშირის სახანჯისა და სსრ კავშირის მშენებანკის დაწესებულებათა მიერ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისა და იმ სახლების რემონტისათვის, რომლებიც მოქალაქეთა პირად საკუთრებაშია, ფულადი სახსრების მიცემის შესახებ გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში;

მ) წარმართავს სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალოარების მუშაობას, განსაზღვრავს მათი ქსელის განვითარებასა და განლაგებას;

ნ) წარმართავს სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი ორგანოების მუშაობას, ეხმარება დაზღვევის ყველა სახეობის განვითარების საქმეში; კანონმდებლობის შესაბამისად ცალკეულ მოქალაქეებს აძლევს შეღავათებს სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევისას.

**მუხლი 14.** მრეწველობის დარგში მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭო

ა) ხელმძღვანელობს საქალაქო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებს, უზრუნველყოფს საწარმო-საფინანსო გეგმების შესრულებას, კონტროლს უწევს ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სახსრების გამოყენებას, გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, ამტკიცებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის





შედგება; დადგენილი წესით ანაწილებს მიღებულ მოგებას;

ბ) სახელმწიფო მართვის ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებებს სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაციის, რეორგანიზაციისა თუ ლიკვიდაციის შესახებ, საქალაქო დაქვემდებარების ფირმების, გაერთიანებებისა და ტრესტების შექმნის შესახებ;

გ) ანაწილებს საქალაქო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა პროდუქციას, რომელიც მიღებულია ადგილობრივი ნედლეულისაგან, საწარმოთა საკუთარი დამზადების ნარჩენებისა და ნედლეულისაგან;

დ) ახორციელებს ღონისძიებებს ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოების განვითარებისათვის, ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოთა წარმოების იმ ნარჩენების გამოყენების, რომლებიც ცენტრალიზებული წესით არ ნაწილდება, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებისათვის; წყვეტს ადგილობრივი ნედლეულის, სათბობისა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნარჩენების დამატებით გამოვლენილი რესურსების გამოყენების საკითხებს;

ე) დახმარებას უწევს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ ზემდგომი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებს წარმოების ეფექტიანობის, შრომის ნაყოფიერების გაზიარებაში, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენებაში. მუშათა და მოსამსახურეთა სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაში;

ვ) აძლევს აუცილებლად განსახილველ დასკვნებს იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია მოქმედი სამრეწველო საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების გაფართოებასა და ახალთა მშენებლობასთან; საჭირო შემთხვევებში შეაქვს წინადადებანი ქალაქის ტერიტორიაზე ზემდგომი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაციის, რეორგანიზაციისა ან ლიკვიდაციის შესახებ;

ზ) ხელს უწყობს სამრეწველო საწარმოებს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი ფორმების ათვისებაში, მუშაობის ეკონომიური ანალიზის ჩატარებაში, წარმოების რეზერვების გამოვლენასა და გამოყენებაში და ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში;

თ) იღებს ზომებს ახალი ხალხური მხატვრული სარეწების და ხელოსნობის ორგანიზაციისა და მოქმედი სარეწების განვითარებისათვის; დადგენილი წესით ქალაქის ტერიტორიაზე

მცხოვრებ მოქალაქეებს აძლევს ნებართვებს რეწვისა და ხელოსნობისათვის.

**მუხლი 15.** მშენებლობის, დაგეგმარების, განაშენიანების, მიწათსარგებლობისა და წყალსარგებლობის დარგში მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭო

ა) უზრუნველყოფს ქალაქის გენერალური გეგმის და გარეუბნის ზონის დაგეგმარების პროექტების შემუშავებას, განიხილავს ამ პროექტებს და დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო მართვის შესაბამის ზემდგომ ორგანოებს;

ბ) ამტკიცებს ქალაქის რაიონების, მიკრორაიონებისა და ქალაქთმშენებლობის სხვა კომპლექსების დეტალური დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებს, საინჟინრო ნაგებობათა და კეთილმოწყობის პროექტებს;

გ) ამტკიცებს ქალაქის განაშენიანების წესებს მისი გენერალური გეგმის შესაბამისად;

დ) კონტროლს უწევს ქალაქის ტერიტორიაზე წარმოებულ მშენებლობას; კრძალავს ან შეაჩერებს საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, რომლებიც კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით წარმოებს;

ე) ხელმძღვანელობს საქალაქო დაქვემდებარების სამშენებლო ორგანიზაციებს, უზრუნველყოფს მათ მიერ საწარმოო-საფინანსო ვებების შესრულებას;

ვ) ორგანიზაციას უწევს საბინაო, კომუნალური, საგზაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და სხვა ობიექტების მშენებლობას ადგილობრივი საბჭოებისათვის გამოყოფილი სახსრებით; ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანხმობით წყვეტს საბინაო, კომუნალური, საგზაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მშენებლობისათვის მათ მიერ გამოყოფილი სახსრების ერთობლივი გამოყენების, აგრეთვე საჭირო შემთხვევებში, ამ სახსრების გაერთიანების საკითხებს, გამოღის შემკვეთად ან განსაზღვრავს შემკვეთს მშენებლობის ამ სახეობებში;

ზ) ამტკიცებს საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ფარგლებში საქალაქო დაქვემდებარების მშენებლობებისა და ობიექტების პროექტებსა და სატიტულო სიებს;

თ) აწარმოებს დადგენილი წესით საცხოვრებელი სახლების, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, ჯანმრთელო-

ბის დაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფისა და საქალაქო დაქვემდებარების სხვა ობიექტების რეკონსტრუქციის, გაფართოების, რემონტისა და კეთილმოწყობის სამუშაოებს;

ი) დადგენილი წესით ნიშნავს სახელმწიფო მიმღებ კომისიებს, განიხილავს და ამტკიცებს საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების დამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების აქტებს, აგრეთვე მონაწილეობას იღებს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული სხვა დამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღებაში;

კ) განაგებს ქალაქის ფარგლებში მთელ მიწებს: აძლევს და ჩამოართმევს მიწის ნაკვეთებს და წყვეტს საადგილმამულო დავას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით; ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს მიწების გამოყენებაზე;

ლ) კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით განაგებს წყლის ობიექტებს ქალაქის ტერიტორიაზე, ახორციელებს წყლების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლს;

მ) აძლევს საერთოდ გავრცელებულ სასარგებლო წიაღისეულთა დამუშავების ნებართვას, ახორციელებს კონტროლს სამუშაოთა წარმოების დადგენილი წესის დაცვაზე;

ნ) კონტროლს უწევს ბუნების დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულებას.

**მუხლი 16.** საბინაო, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭო

ა) ხელმძღვანელობს საბინაო მეურნეობას, საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საბინაო მეურნეობის ორგანოებს; ამტკიცებს საბინაო მეურნეობის განვითარების ნაკრებ პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს და კონტროლს უწევს მათს შესრულებას; უზრუნველყოფს საბჭოს გამგებლობაში არსებული საბინაო ფონდის ჯეროვან ტექნიკურ მდგომარეობას, კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს;

ბ) ხელმძღვანელობს კომუნალურ მეურნეობას, ქალაქის კეთილმოწყობას, აგრეთვე საქალაქო დაქვემდებარების კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს; ამტკიცებს კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის განვითარების ნაკრებ პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს და კონტროლს უწევს მათს შესრულებას;

გ) ხელმძღვანელობს ელექტრო-წყალსადენების, საკანალიზაციო, თბო-გაზის ქსელებისა და საქალაქო დაქვემდებარების ნაგებობათა ექსპლუატაციას, განიხილავს და აძლევს დას-

კვნებს ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ აღნიშნული ქსელებისა და ნაგებობების მშენებლობის გეგმების თაობაზე; კონტროლს უწევს გამწმენდი ნაგებობისა და მოწყობილობის მშენებლობასა და ექსპლუატაციას;

დ) კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების საბინაო და კომუნალური მეურნეობის ორგანოების საქმიანობას, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კუთვნილი საბინაო ფონდის, კომუნალური საწარმოებისა და ნაგებობების მდგომარეობასა და სწორ ექსპლუატაციას, კონტროლს უწევს აგრეთვე კოოპერატიული საცხოვრებელი სახლებისა და მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი საცხოვრებელი სახლების მოვლას; იღებს ზომებს მოსახლეობის სათბობით უზრუნველსაყოფად;

ე) დადგენილი წესით ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მონაწილეობას მიაღებინებს ქალაქის კეთილმოწყობისა და გზების მშენებლობის სამუშაოებში; კონტროლს უწევს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის ტერიტორიის კეთილმოწყობას;

ვ) ახორციელებს კონტროლს იმაზე, რომ სათბობითა და სხვა სახის კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფილ იქნეს სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებები, ჩატარდეს მათი შენობების რემონტი;

ზ) აწარმოებს იმ მოქალაქეთა აღრიცხვას, რომლებსაც საცხოვრებელი ფართობი ესაჭიროებათ; კონტროლს უწევს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა, იმ მუშებისა და მოსამსახურეების აღრიცხვის მდგომარეობას, რომლებსაც საცხოვრებელი ფართობი ესაჭიროებათ;

თ) ანაწილებს საბჭოს კუთვნილ საბინაო ფონდს; კონტროლს უწევს საცხოვრებელი ფართობის სწორ განაწილებას, აგრეთვე ამტკიცებს ადმინისტრაციისა და პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების ერთობლივ გადაწყვეტილებებს სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში საცხოვრებელი ფართობის მიცემის შესახებ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა; მოქალაქეებს აძლევს ერთიან ორდერებს საცხოვრებელი ფართობის დასაკავებლად;

ი) აწარმოებს არასაცხოვრებელ შენობების



აღრიცხვის და საწარმოებთან, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან შეთანხმებით ახორციელებს მათს განაწილებას;

კ) გამოაქვს გადაწყვეტილებანი ქალაქის ტერიტორიაზე საბინაო-სამშენებლო და სხვა კოოპერატივების ორგანიზაციის შესახებ, რეგისტრაციაში ატარებს მათს წესდებებს და კონტროლს უწევს ამ კოოპერატივების საქმიანობას;

ლ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელებს არქმევს მოედნებს, ქუჩებს, შესახვევებს, გასასვლელებს, სკვერებს, ბულვარებს, პარკებს და ახდენს სახლების დანომვრას;

მ) უზრუნველყოფს სასაფლაოების, ძმათა სასაფლაოებისა და სხვა დასაკრძალავი ადგილების მოვლას.

**მუხლი 17.** ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო

ა) ხელმძღვანელობს საქალაქო ტრანსპორტს, საქალაქო დაქვემდებარების სატრანსპორტო საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

ბ) კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების იმ სატრანსპორტო საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობას, რომელთაც ქალაქის მოსახლეობის მომსახურება აქვთ დაკისრებული;

გ) ამტკიცებს შიდასაქალაქო ტრანსპორტით სარგებლობის წესებს, ამ ტრანსპორტის მარშრუტებსა და მოძრაობის გრაფიკებს; კონტროლს უწევს მუშაობას ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;

დ) უზრუნველყოფს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ავტომანქანებისა და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვას; კონტროლს უწევს მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი ავტომობილტრანსპორტით სარგებლობის სისწორეს;

ე) კონტროლს უწევს მგზავრთა მომსახურების ორგანიზაციას ვაგზლებში, აეროპორტებსა და ნავმისადგომებში;

ვ) კონტროლს უწევს კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობას ქალაქის მოსახლეობის მომსახურების ხაზით, ეხმარება მათ სატელეფონო და საფოსტო კავშირგაბმულობის, რადიოფიკაციისა და ტელევიზიის განვითარებაში, კავშირგაბმულობის ხაზების შეკეთებასა და დაცვაში.

**მუხლი 18.** ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დარგში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო

ა) ხელმძღვანელობს ქალაქის ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობას, სა-

ზოგადოებრივ კვებას, აგრეთვე საქალაქო დაქვემდებარების სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

ბ) კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას;

გ) ამტკიცებს საქალაქო დაქვემდებარების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და ორგანიზაციათა საქონელბრუნვის საგემო დავალებებს; ამტკიცებს სეზონური წვრილი საცალო ვაჭრობის ქსელის გაშლის გეგმას;

დ) ხელმძღვანელობს ქალაქის ტერიტორიაზე საკომლექტურნო ბაზრებს, ახორციელებს ღონისძიებებს საკომლექტურნო ვაჭრობის განვითარებისათვის, საკომლექტურნო ბაზრების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის, აგრეთვე საკომისიო საწყისებზე სამომხმარებლო კოოპერაციის მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის გაფართოებისათვის; ადგენს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ფარგლებში ერთჯერადი გამოსაღებების ოდენობასა და საკომლექტურნო ბაზრებზე გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთებს; კონტროლს უწევს სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა მუშაობას სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის, შენახვის, გადამუშავებისა და გაყიდვის ხაზით;

ე) კონტროლს უწევს ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვას, ზომა-წონის ხელსაწყობის მდგომარეობას, აგრეთვე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, ორგანიზაციებში, ბაზრებსა და ვაჭრობის სხვა ადგილებში სანიტარული წესების დაცვას;

ვ) იღებს ზომებს საქონელბრუნვაში სამრეწველო და სასურსათო საქონლის ადგილობრივი რესურსების ჩამმისათვის; ახორციელებს ღონისძიებებს მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის, ვაჭრობის ახალი ფორმების დანერგვისათვის.

**მუხლი 19.** საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო

ა) ხელმძღვანელობს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას, საქალაქო დაქვემდებარების საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და ორგანიზაციებს, უზრუნველყოფს საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებას; კონტროლს უწევს ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სახსრების გამოყენებას, ამტკიცებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, მიღებული მოგების დადგენილი წესით განაწილებას;

ბ) კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებ-

ბარების საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას, საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხსა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მიერ გაწეულ მომსახურებისას პრეისკურანტების სწორ გამოყენებას;

გ) სახელმწიფო მართვის ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით გამოაქვს გადაწყვეტილებები საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციების, საქალაქო დაქვემდებარების ფირმების, გაერთიანებებისა და ტრესტების ორგანიზაციის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის თაობაზე;

დ) ახორციელებს ღონისძიებებს მომსახურების კულტურის ასამაღლებლად; ორგანიზაციას უწევს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ფორმებისა და სახეობების დანერგვას.

**მუხლი 20.** სახალხო განათლების დარგში მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭო

ა) ხელმძღვანელობს სახალხო განათლების, ბავშვთა სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდის საქმეს; უზრუნველყოფს საყოველთაო-სავალდებულო სწავლებას; ახორციელებს სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვას;

ბ) კონტროლს უწევს იმ საბავშვო სასლემების, ბავშვთა სკოლამდელ და სკოლის გარეშე დაწესებულებათა მუშაობას, რომლებიც ქალაქის ბიუჯეტზე არ იმყოფებიან;

გ) იღებს ზომებს სკოლების, საბავშვო სასლემების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის;

დ) ანაწილებს დადგენილი წესით საყოველთაო სწავლების ფონდს, კონტროლს უწევს მის გამოყენებას;

ე) წყვეტს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით ისეთ საკითხებს, როგორც არის მოქალაქეთათვის შედავათების მიცემა სკოლა-ინტერნატებში, სკოლებთან არსებულ ინტერნატებში ბავშვთა შენახვისათვის, აგრეთვე გაგრძელებული დღის სკოლებში (გუგუფებში) ბავშვთა კვების საფასურის გადახდისას.

ვ) უზრუნველყოფს უდღემამოდ დარჩენილ ბავშვთა მოწყობას საბავშვო სასლემებში, სკოლა-ინტერნატებში, სკოლებთან არსებულ ინტერნატებში და მოქალაქეთა ოჯახებში აღსაზრდელად; წყვეტს შვილად აყვანის საკითხებს, აგრეთვე არასრულწლოვანებზე მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხებს, იცავს არასრულწლოვანთა უფლებებს; ორგანიზაციას უწევს მუშაობას არასრულწლოვანთა უზედამხედველობის აღსაკვეთად;

ზ) იღებს ზომებს სკოლის გარეთ ბავშვთა დასვენების ორგანიზაციისათვის მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შეიბუშავენს და ახორციელებს ღონისძიებებს ბავშვთა უმეტესწილად აღზრდისა და არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად.

**მუხლი 21.** კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისა და მეცნიერების დარგში მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭო

ა) ხელმძღვანელობს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, საქალაქო დაქვემდებარების კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, იღებს ზომებს მათი მატერიალურ-ფინანსური ბაზის განსამტკიცებლად, კონტროლს უწევს კულტურის სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობას მათი დაქვემდებარების მიუხედავად;

ბ) კონტროლს უწევს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კულტფონდების სახსრების გამოყენებას და საჭირო შემთხვევებში მათთან შეთანხმებით ახორციელებს ღონისძიებებს აღნიშნული სახსრების ცენტრალიზებულად გამოყენებისათვის; იღებს ზომებს ხალხური შემოქმედებისა და მხატვრული თვითშემოქმედების განვითარებისათვის; ორგანიზაციას უყვითებს საერთო-საქალაქო ღონისძიებათა ჩატარებას კულტურის დარგში;

გ) ხელმძღვანელობს მოსახლეობის კინომომსახურებას. იღებს ზომებს კინოქსელის გაფართოებისათვის;

დ) ხელს უწყობს მეცნიერების განვითარებას; ეხმარება მუშაობაში ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, უშაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს;


ე) ხელს უწყობს ახალი სამოქალაქო წესჩვეულებების დანერგვას ყოფა-ცხოვრებაში;

ვ) უზრუნველყოფს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ისტორიული, ისტორიულ-რევოლუციური და მემორიალური კომპლექსებისა და ძეგლების, მხედრული და შრომითი დიდების, კულტურის, ხელოვნების, არქიტექტურის, არქეოლოგიური ძეგლებისა და ნაკრძალების აღრიცხვასა და დაცვას;

ზ) ხელს უწყობს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ მუშაობას.

**მუხლი 22.** ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭო

ა) ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ქალაქში, საქალაქო დაქვემდებარების ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს, იღებს ზომებს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციისათვის;



ბ) ახორციელებს კონტროლს ზემდგომი დაქვემდებარების ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაობაზე;

გ) ახორციელებს ქალაქის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების შენახვის სანიტარული წესებისა და ქალაქში ჯეროვანი სანიტარული მდგომარეობის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს; იღებს ზომებს მოსახლეობაში სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზაციისათვის; ხელმძღვანელობს სავეტერინარო ზედამხედველობის საქმეს;

დ) უზრუნველყოფს ქალაქის საწარმოო, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში, ეზოებში, ქუჩებზე და მოედნებზე ხმაურის თავიდან აცილების, მისი ინტენსიურობის შემცირებისა და აღმოფხვრის ღონისძიებათა გატარებას;

ე) ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს ატმოსფერული ჰაერის, წყლების, ნიადაგისა და ბუნებრივი ვარდამოს დაცვის წესების შესრულებაზე, მათ შორის სანიტარული მოთხოვნების დაცვაზე ამ დარგში;

ვ) უზრუნველყოფს ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების, აგრეთვე მათი ლიკვიდაციის ღონისძიებათა განხორციელებას; ეპიდემიური ინფექციური დაავადებების გაჩენის ან გავრცელების საშიშროების შემთხვევაში დადგენილი წესით შემოიღებს ქალაქის ტერიტორიაზე შრომის, სწავლის, მოძრაობისა და გადაზიდვა-გადმოზიდვის განსაკუთრებულ პირობებსა და რეჟიმებს, რომლებიც ითვალისწინებენ ამ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილებას და ლიკვიდაციას;

ზ) მონაწილეობას იღებს ადგილების კურორტად ცნობის, კურორტების სანიტარული დაცვის ზონების საზღვრების დადგენისა და მათი რეჟიმის განსაზღვრის საკითხთა გადაწყვეტაში;

თ) ორგანიზაციის უქვემდებარება და ბავშვთა დაცვას; უზრუნველყოფს გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარებას ბავშვებსა და მოზარდებს შორის, კონტროლს უწევს ბავშვებისა და მოზარდებისათვის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციას;

ი) წარმართავს წითელი ჯვრის საქართველოს სსრ საზოგადოების საქმიანობას;

კ) ხელმძღვანელობს უწევს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეს; ორგანიზაციის უქვემდებარებას სეერთო-საქალაქო სპორტულ ღონისძიებათა ჩატარებას;

ლ) ხელმძღვანელობს უწევს სასამართლოს მიერ არაქმედუნარიანად ან შეზღუდულ ქმედუნარიანობის მქონედ მიჩნეულ სრულწლოვან

პირებზე მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეს;

მ) ამტკიცებს ქალაქის ტერიტორიაზე სპორტულ შენობათა და ნაგებობათა განლაგების გეგმებს მათი დაქვემდებარების მიუხედავად;

ნ) იღებს ზომებს მასობრივი დასვენების ქალაქგარე ზონების განვითარებისათვის, მათი აღჭურვისა და კეთილმოწყობისათვის, კონტროლს უწევს ამ ზონების გამოყენებას.

**მუხლი 23.** შრომისა და კადრების მომზადების დარგში მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭო

ა) აწარმოებს შრომითი რესურსების აღრიცხვას და აწესრიგებს მათს განაწილებას ქალაქის ტერიტორიაზე, ახორციელებს მათი რაციონალური გამოყენების ღონისძიებებს; ორგანიზაციის უწევს მოქალაქეთა შრომით მოწყობას;

ბ) ახორციელებს კონტროლს შრომის კანონმდებლობის შესრულებაზე, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვაზე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

გ) ამტკიცებს იმ ახალგაზრდათა შრომითი მოწყობის გეგმებს, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ამთავრებენ, და უზრუნველყოფს, რომ ეს გეგმები შეასრულოს ყველა საწარმო, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ;

დ) პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებს დახმარებას უწევს მუშაობაში და მოსწავლეებით მათ დაკომპლექტებაში; ახორციელებს კონტროლს მასობრივი პროფესიების კადრების მომზადებასა და გადაზიდვაზე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

ე) უზრუნველყოფს მუშების ორგანიზებული შეგროვების გეგმების შესრულებას და ახორციელებს კონტროლს იმაზე, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეასრულონ ვალდებულებანი საწარმოებსა და მშენებლობებზე წარგზავნილი მუშებისათვის საჭირო საწარმოო და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის;

ვ) ხელს უწყობს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას, შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებასა და მისი ნაყოფიერების ამაღლებას, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას;

ზ) გეგმავს ქალაქისათვის საჭირო სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა დარგების მუშაკების კონტინგენტს. უზრუნველყოფს ამ კადრების სწორად

განაწილებას, გამოყენებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;

თ) ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით განსაზღვრავს მათი მუშაობის დაწყების დროს; ადგენს მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის დღეებსა და საათებს.

**მუხლი 24.** სოციალური უზრუნველყოფის დარგში მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭო

ა) ხელმძღვანელობს სოციალური უზრუნველყოფის საქმეს; უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი პენსიებისა და დახმარების დროულად და სწორად დანიშვნასა და გადახდას, მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებისა და უპირატესობების მიცემას;

ბ) ხელმძღვანელობს საქალაქო დაქვემდებარების სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებს და კონტროლს უწევს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა მუშაობას;

გ) აღძრავს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შუამდგომლობებს საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიების დაწესების შესახებ;

დ) ახორციელებს ღონისძიებებს ინვალიდების, სამხედრო მოსამსახურეთა, დაღუპულ მემორათა და პარტიზანთა ოჯახების წევრების შრომითი მოწყობისათვის, ორგანიზაციის უწევს ინვალიდთა პრივილეგიულ სწავლებას; უზრუნველყოფს ისეთი წარმოებების ორგანიზაციას, რომლებშიც შესაძლებელია ინვალიდთა შრომის გამოყენება;

ე) განიხილავს სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებში მოქალაქეთა ვაგზავნასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ვ) წყვეტს იმ სრულწლოვან პირებზე მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების საკითხებს, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებანი და შესარულით თავიანთი მოვალეობანი, იღებს ზომებს მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად;

ზ) ახორციელებს კონტროლს საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ორგანოების მუშაობაზე;

თ) ეხმარება მუშაობაში უსინათლოთა და ყურ-მუნჯთა საქალაქო საზოგადოებებს.

**მუხლი 25.** სახალხო კონტროლის განხორციელების, სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის, სახელმწიფო, საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის დარგში მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭო

ა) ქმნის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტს და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას; იღებს ზომებს ქალაქის ტერიტორიაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში მშრომელთა მონაწილეობის კოორდინაციისათვის;

ბ) უზრუნველყოფს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონების, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონების და სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების სხვა აქტების დაცვას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და კანონით უზრუნველყოფილი ინტერესების დაცვას; ორგანიზაციის უკეთეს მოსახლეობისათვის კანონმდებლობის ასნა-განმარტების და იურიდიული დახმარების გაწევის საქმეს; ებრძვის ზემდგომებს, მფლანგველობას და კუთხურობას ქალაქის მეურნეობებში.

გ) საჭირო შემთხვევებში აუქმებს საბჭოსადმი დაქვემდებარებული მართვის ორგანოების, აგრეთვე საქალაქო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და განკარგულებებს; აუქმებს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კანონმდებლობას ეწინააღმდეგებიან;

დ) შეაჩერებს საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, კეთილმოწყობის, მიწათსარგებლობის, განაშენიანების, ბუნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა იმ ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულებას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონმდებლობას, და ამის შესახებ აცნობებს შესაბამის ზემდგომ ორგანოებს;

ე) უზრუნველყოფს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად და სწორად განხილვასა და გადაწყვეტას; ამოწმებს, თუ როგორ განიხილავენ მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და



საჩივრებს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ისმენს ამ საკითხებზე მათი ხელმძღვანელობის ანგარიშებს;

ვ) იღებს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით გადაწყვეტილებებს, რომლებიც თვალისწინებენ მათი დარღვევისათვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას დადგენილ ფარგლებში;

ზ) თვალყურს ადევნებს თავის ტერიტორიაზე განლაგებულ შრომა-გასწორების დაწესებულებათა საქმიანობას იმ უფლებების ფარგლებში, რომლებიც მინიჭებული აქვს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში, აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონმდებლობით;

თ) ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმებისა და ამხანაგური სასამართლოების საქმიანობას;

ი) ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა დაქვემდებარებულ ორგანოებს; უზრუნველყოფს საპასპორტო სისტემის წესების დაცვას;

კ) ხელმძღვანელობს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების მუშაობასა და საქალაქო არქივს;

ლ) ხელს უწყობს მუშაობაში სასამართლოს, პროკურატურის და იუსტიციის სხვა ორგანოებს;

მ) ხელმძღვანელობს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საქმეს ქალაქის ტერიტორიაზე და ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების მუშაობას;

ნ) იღებს ზომებს სტიქიურ უბედურებათა თავიდან აცილებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციისათვის; საჭირო შემთხვევებში სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლაში და მისი შედეგების სალიკვიდაციოდ ჩაბაბს საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე მოსახლეობას;

ო) ორგანიზაციას უწყევს სამუშაოებს მდინარეებზე, ტბებსა, ზღვისპირა უბნებში, წყალსაცავებსა და სხვა წყალსაცავებში ადამიანთა სიცოცხლის დასაცავად;

პ) კონტროლს უწყევს რელიგიური კულტების შესახებ კანონმდებლობის დაცვას.

**მუხლი 26.** თავდაცვითი მუშაობის დარგში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო

ა) უზრუნველყოფს საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ სსრ კავშირის კანონის შესრულების ყველა თანამდებობის პირის და მოქალაქის, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ;

ბ) ხელმძღვანელობს სამოქალაქო თავდაცვას ქალაქის ტერიტორიაზე;

გ) ხელს უწყობს ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ჩატარებას, აგრეთვე სასწავლო შეკრებებისა და დაწყებითი სამხედრო მომზადების ორგანიზაციასა და ჩატარებას;

დ) კონტროლს უწყევს თადარიგში დათხოვნილ და სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა რიგებიდან დემობილიზებულ მოქალაქეთა შეღავათებისა და უპირატესობების შესახებ კანონმდებლობის დაცვას;

ე) ეწევა მუშაობას მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის, საბრძოლო ტრადიციების პროპაგანდისათვის; ავითარებს მშრომელთა კოლექტივების სამეფო კავშირურობისათვის სამხედრო ნაწილებთან; ხელს უწყობს თავდაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობას.

**მუხლი 27.** საქალაქო საბჭო კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში ხელმძღვანელობს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობას, რომელთა ტერიტორიაც შედის ქალაქის საბჭოს მიერ გაერთიანებული ტერიტორიის შემადგენლობაში, ამტკიცებს სოფლებისა და დაბების განვითარების ძირითად საგეგმო მანქანებლებს; განსაზღვრავს სასოფლო და სადაბო ბიუჯეტებს შემოსავლისა და გასავლის საერთო თანხით, საკასო საბრუნავი სახსრების რაოდენობას ამ ბიუჯეტისათვის; ამტკიცებს სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან ანარიცხების რაოდენობას სოფლისა და დაბის ბიუჯეტებისათვის; გამიჯნავს ქალაქის ბიუჯეტის შემოსავალსა და გასავალს სასოფლო და სადაბო ბიუჯეტებს შორის, აგრეთვე ანორციელებს სხვა უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც გათვალისწინებულია სასოფლო და სადაბო საბჭოების მიმართ საქართველოს სსრ კანონით „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს შესახებ“, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონებით მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს შესახებ.

**მუხლი 28.** რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, აფხაზეთის და აჭარის ასსრ) და საოლქო დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო ამ კანონით გათვალისწინებული საკითხების გარდა წყვეტს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, ავტონომიურ რესპუბლიკებში კი — აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონმდებლობით მის გამგებლობაში გადაცემულ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებსაც.

**მუხლი 29.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭო განიხილავს და აღძრავს შუამდგომლობებს სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების და საქართველოს სსრ ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ.

**2. რაიონული დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დებუტატების საპალაქო საბჭოს უფლებამოსილების**

**მუხლი 30.** რაიონული დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭო

ა) ამტკიცებს საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და ქალაქის სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს და კონტრაქტს უწევს მათს შესრულებას; ამტკიცებს პერსპექტიულ და წლიურ საგეგმო დავალებებს, საქალაქო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე აღნიშნულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა განლაგების, განვითარებისა და სპეციალიზაციის გეგმებს;

ბ) განიხილავს ქალაქის ტერიტორიაზე ზემდგომი დაქვემდებარების ადგილობრივი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა, კულტურის, სახალხო განათლების და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა და ორგანიზაციათა განლაგების, განვითარებისა და სპეციალიზაციის გეგმებს, საჭირო შემთხვევებში შეაქვს თავისი წინადადებები შესაბამის ზემდგომ ორგანოებში;

გ) განიხილავს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა გეგმების პროექტებს იმ ნაწილში, რომელიც ეხება საბინაო და კომუნალური მეურნეობის განვითარებას, გზების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, კეთილმოწყობასა და მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, საჭირო შემთხვევებში შეაქვს თავისი წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში, ამტკიცებს ამ საკითხებზე ნაკრებ საგეგმო მაჩვენებლებს, ამასთან, შეაქვს ისინი საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და ქალაქის სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმაში;

დ) ამტკიცებს ქალაქის ბიუჯეტს და ორგა-

ნიზაციას უწევს მის შესრულებას: საჭირო შემთხვევებში ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხელახლა ანაწილებს საბიუჯეტო სახსრებს კარიდან კარში (გარდა ხელფასის ასიგნობებისა); ამტკიცებს ანგარიშს ქალაქის ბიუჯეტის შესრულების შესახებ; საქალაქო ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებულ შემოსავალს, აგრეთვე გასაჯღვე შემოსავლის გადამატების თანხებს, რომლებიც წარმოიშობა წლის დამლევისათვის შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან გასავლის მოჭირბოვების შედეგად, ახმარს ქალაქის მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას, მათ შორის კაპიტალურ დაბანდებებს, ადმინისტრაციულ ნაგებობათა მშენებლობასა და რემონტს და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის ინვენტარის, მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენას (დაუშვებელია საქალაქო ბიუჯეტიდან აღნიშნული სახსრების ამოღება იმ ასიგნობათა გარდა, რომლებიც გამოყენებული არ არის ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების გეგმისა და სოციალურ-კულტურული დაწესებულებების ქსელის განვითარების გეგმის შესრულებლობასთან დაკავშირებით);

ე) ადგილობრივი ვადასახადებისა და გამოსახადების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-2 მუხლის შესაბამისად აძლევს შედგავთებს ადგილობრივი ვადასახადებისა და გამოსახადების მიხედვით აგრეთვე რაიონული საფინანსო ორგანოების წინასწარი დასკვნით, სასოფლო-სამეურნეო ვადასახადზე სასოფლო-სამეურნეო ვადასახადის შესახებ სსრ კავშირის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად;

ვ) განიხილავს ქალაქის გენერალურ გეგმას და დადგენილი წესით წარუდგენს მას დასამტკიცებლად სახელმწიფო მართვის შესაბამის ზემდგომ ორგანოებს; განაგებს მთელ მიწებს ქალაქის ფარგლებში;

ზ) ხელმძღვანელობს საქალაქო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებს, ქალაქის საბინაო და კომუნალური მეურნეობას, კეთილმოწყობას, საქალაქო ტრანსპორტს, სახელმწიფო და კომპერაციულ ვაჭრობას და საზოგადოებრივ კვებას, საქალაქო დაქვემდებარების საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

თ) ხელმძღვანელობს ქალაქის ტერიტორიაზე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, სახალხო განათლების საქმეს;

ი) უზრუნველყოფს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონების, ხოლო ავტონომიურ





რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონების, სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების სხვა აქტების დაცვას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და კანონით უზრუნველყოფილი ინტერესების დაცვას; ებრძვის ზედმეტობებს, მფლანგველობას, კუთხურობას ქალაქის მეურნეობებში; ორგანიზაციას უკეთებს მოსახლეობისათვის კანონმდებლობის ასნა-განმარტების და იურიდიული დახმარების გაწევის საქმეს;

კ) საჭირო შემთხვევებში აუქმებს საბჭოსათვის დაქვემდებარებული მართვის ორგანოების, აგრეთვე საქალაქო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და განკარგულებებს; შეაჩერებს საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, კეთილმოწყობის, მიწათსარგებლობის, განაშენიანების, ბუნების და კულტურის ძეგლთა დაცვის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა იმ ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულებას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონმდებლობას და ამის შესახებ აცნობებს შესაბამის ზემდგომ ორგანოებს;

ლ) შეუძლია განახორციელოს ამ კანონის 12-26 და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული სხვა უფლებები და მოვალეობები სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

**მუხლი 31.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭო რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა, ვარდა ამ კანონით გათვალისწინებული საკითხებისა, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის „მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭოს შესახებ“, კანონით გათვალისწინებული საკითხებისა, გადაწყვეტს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებსაც, რომლებიც მის გამგებლობასა მიკუთვნებული სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე აფხაზეთის ან აჭარის ასსრ კანონმდებლობით.

**მუხლი 32.** რაიონული დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დებუტატების საქალა-

ქო საბჭოების საქმიანობის ხელმძღვანელობას კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში ახორციელებს მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო.

**თავი III.  
მშრომელთა დებუტატების  
ქალაქის რაიონული საბჭოს  
უფლება-მოვალეობანი**

**მუხლი 33.** მშრომელთა დებუტატების ქალაქის რაიონული საბჭო

ა) ამტკიცებს სარაიონო მეურნეობის განვითარებისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, ორგანიზაციასა და კონტროლს უწევს მათს შესრულებას; ამტკიცებს პერსპექტიულ და წლიურ საგეგმო დავალებებს რაიონული დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე აღნიშნულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა განლაგების, განვითარებისა და სპეციალიზაციის გეგმებს;

ბ) განიხილავს რაიონის ტერიტორიაზე ზემდგომი დაქვემდებარების ადგილობრივი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების, კულტურის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა განლაგების, განვითარებისა და სპეციალიზაციის გეგმებს, საჭირო შემთხვევებში შეაქვს თავისი წინადადებები შესაბამის ზემდგომ ორგანოებში;

გ) განიხილავს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა გეგმების პროექტებს იმ ნაწილში, რომელიც ეხება საბინაო და კომუნალური მეურნეობის განვითარებას, გზების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტთა მშენებლობას, სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების, კეთილმოწყობას, ვაჭრობას, საზოგადოებრივ კვებას, სახალხო განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას, კულტურასა და მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, საჭირო შემთხვევებში შეაქვს თავისი წინადადებები შესაბამის ზემდგომ ორგანოებში; ამტკიცებს ამ საკითხებზე ნაკრებ საგეგმო მაჩვენებლებს; ამასთან, შეაქვს ისინი რაიონული მეურნეობის განვითარებისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმაში;

დ) ამტკიცებს რაიონის ბიუჯეტს და ორგანიზაციას უწევს მის შესრულებას; საჭირო შემთხვევებში ბიუჯეტის შესრულების პრო-

ცესში ხელახლა ანაწილებს საბიუჯეტო სახსრებს კარიდან კარში, აგრეთვე ხელახლა ანაწილებს ხელფასის ასიგნებებს ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში; ამტკიცებს ანგარიშს რაიონის ბიუჯეტის შესრულების შესახებ; რაიონის ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებულ შემოსავალს, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადაშვებისთანხებებს, რომელიც შეიქმნა წლის დამლევისათვის შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან გასავლის მოპოვებით ხარჯის შედეგად, ახმარს რაიონული მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას, მათ შორის კაპიტალურ დაბანდებებს, აღმინისტრაციულ ნაგებობათა მშენებლობასა და რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის სატრანსპორტო საშუალებების შეძენას, აღმასრულებელი კომიტეტის, განყოფილებებისა და სამმართველოების, სასამართლო ორგანოების შენობების კაპიტალური რემონტის ჩატარებას, მათთვის ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენას (დაუშვებელია რაიონის ბიუჯეტიდან აღნიშნული სახსრების ამოღება იმ ასიგნობათა გარდა, რომლებიც გამოყენებული არ არის ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების გეგმისა და სოციალურ-კულტურული დაწესებულებების ქსელის განვითარების გეგმის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით);

ე) ხელმძღვანელობს მუშაობას სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების გამოანგარიშებისა და გადახდებისათვის; ამცირებს განაკვეთებს და აწესებს შეღავათებს ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების მიხედვით როგორც ცალკეული კატეგორიების დასაბეგარი ობიექტებისა და გადახდელთა ჯგუფებისათვის, ისე ცალკეული გადახდელისათვის ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-2 მუხლის შესაბამისად; აძლევს შეღავათებს სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად; კანონით გათვალისწინებული წესით ცალკეული გადახდელისათვის ადგენს დამატებით შეღავათებს სახელმწიფო ბაჟის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-3 მუხლისა და მოსახლეობის სამშემოსავლო გადასახადის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-4 მუხლის შესაბამისად;

ვ) ხელმძღვანელობს რაიონული დაქვემდებარების საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარ-

მოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას, რაიონის საბინაო და კომუნალურ მეურნეობასა და კეთილმოწყობას, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის საქმეს;

ზ) ქმნის სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტს და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას; იღებს ზომებს რაიონის ტერიტორიაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში მშრომელთა მონაწილეობის კოორდინაციისათვის; უზრუნველყოფს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების სხვა აქტების დაცვას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და კანონით უზრუნველყოფილი ინტერესების დაცვას; ებრძვის ზედმეტობებს, მფლანგველობასა და კუთხოვრობას რაიონის მეურნეობებში; ორგანიზაციას უკეთებს მოსახლეობისათვის კანონმდებლობის ახსნა-განმარტებისა და იურიდიული დახმარების გაწევის საქმეს;

თ) საჭირო შემთხვევაში აუქმებს საბჭოსათვის დაქვემდებარებული მართვის ორგანოების ხელმძღვანელების, აგრეთვე საქალაქო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და განკარგულებებს; შეაჩერებს საბინაო, კომუნალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, კეთილმოწყობის, მიწათსარგებლობის განაწესების, ბუნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა იმ ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულებას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონმდებლობას, და ამის შესახებ აცნობებს შესაბამის ზემდგომ ორგანოს;

ი) შეუძლია განახორციელოს უფლებები და მოვალეობები, რომლებიც ამ კანონის 12-26 და 29-ე მუხლებით არის გათვალისწინებული, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებსაც ახორციელებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო საერთო-საქალაქო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისა და საქალაქო მეურნეობის განვითარებაში ერთიანობის უზრუნველყოფის ხაზით.



**მუხლი 34.** ქალაქის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭო ამ კანონით გათვალისწინებული საკითხების გარდა წყვეტს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებსაც, რომლებიც მის გამგებლობას მიეკუთვნება სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის ან აჭარის ასსრ კანონმდებლობით.

**მუხლი 35.** მშრომელთა დეპუტატების ქალაქის რაიონული საბჭოების საქმიანობის ხელმძღვანელობას კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში ახორციელებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო ამტკიცებს ქალაქის რაიონების განვითარების ძირითად საეკონომიკურ მანქანებლებს, ადგენს მშრომელთა დეპუტატების ქალაქის რაიონული საბჭოების ბიუჯეტებს. შემოსავლის საერთო თანხით და გასავლის საერთო თანხით თითოეული საქალაქო რაიონისათვის, ადგენს ამ ბიუჯეტების მიხედვით საკასო საბრუნავი სახსრების რაოდენობას, ამტკიცებს ქალაქის რაიონულ ბიუჯეტში სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხის ოდენობას, აწარმოებს ქალაქის ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის გამოყენების საქალაქო ბიუჯეტსა და ქალაქის რაიონულ ბიუჯეტს შორის, ახორციელებს კონტროლს ქალაქის რაიონული ბიუჯეტების შესრულების მსვლელობაზე, აგრეთვე წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მშრომელთა დეპუტატების ქალაქის რაიონული საბჭოების საქმიანობის წარმართვასა და კოორდინაციასთან საქალაქო მეურნეობის განვითარების მილიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო წყვეტს საქალაქო მეურნეობის განვითარების, ქალაქის დაეგმარებისა და განაშენიანების, საქალაქო ტრანსპორტის მუშაობისა და ქალაქის სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს მშრომელთა დეპუტატების ქალაქის რაიონული საბჭოების აზრის გათვალისწინებით.

**თ ა ვ ი IV**

**მშრომელთა დეპუტატების  
საქალაქო, ქალაქის რაიონული  
საბჭოს მუშაობის ორგანიზაცია**

**1. მშრომელთა დეპუტატების  
საქალაქო, ქალაქის რაიონული  
საბჭოს სენია**

**მუხლი 36.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს სესიებს იწვევს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წე-

ლიწადში არანაკლებ ექვსჯერ, ესე იგი ორ თვეში ერთხელ მაინც, ხოლო მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესიებს იმ ქალაქებში, რომელთაც აქვთ რაიონული დაყოფა, იწვევენ წელიწადში არანაკლებ ოთხჯერ, ე. ი. სამ თვეში ერთხელ.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს სესია შეიძლება მოიწვიონ აგრეთვე ქალაქის, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატების საერთო რიცხვის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

**მუხლი 37.** ახლად არჩეული მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს პირველ სესიას იწვევს წინა მოწვევის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა არჩევნების შემდეგ და მას ხსნის ერთ-ერთი ასაკით უხუცესი დეპუტატი. საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შემდგომ სესიებს ხსნის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

**მუხლი 38.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს პირველ სესიას ახლად შექმნილ ქალაქში, რაიონში, იწვევს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა ქალაქის, რაიონის შექმნის დღიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოეწყობა ახლად შექმნილი ქალაქის, ქალაქის რაიონის საბჭოს არჩევნები, — არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს არჩევნების დღიდან.

**მუხლი 39.** ახლად შექმნილი რესპუბლიკური (საქართველოს სსრ და ასსრ) დაქვემდებარების ქალაქის საქალაქო საბჭოს პირველ სესიას იწვევს შესაბამისად საქართველოს სსრ უმდღესი საბჭოს პრეზიდიუმის, აფხაზეთის ან აჭარის ასსრ უმდღესი საბჭოს პრეზიდიუმი.

**მუხლი 40.** სესიის გაძღოლისათვის საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო დეპუტატთაგან ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს.

**მუხლი 41.** საბჭოს სესიის ოქმს ხელს აწერენ სესიის თავმჯდომარე და მდივანი.

**მუხლი 42.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას სესიის მოწვევის თარიღისა და ჩატარების ადგილის შესახებ, აგრეთვე საკითხებს, რომლებსაც საბჭოს წარუდგენენ განსახილველად, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დეპუტატებს აცნობს და მოსახლეობას აუწყებს სესიის გახსნამდე არა უგვიანეს ათი დღისა.

**მუხლი 43.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს სესია უფ-

ლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს დებუ-  
ტატა საერთო რიცხვის სულ ცოტა ორი მე-  
სამედი.

მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალა-  
ქის რაიონული საბჭოს მუშაობაში სათათბი-  
რო ხმის უფლებით შეუძლიათ მონაწილეობა  
მიიღონ ზემდგომი საბჭოების დებუტატებმა,  
აგრეთვე სესიაზე მოწვეულმა ქვემდგომი საბ-  
ჭოების დებუტატებმა, საწარმოების, დაწესე-  
ბულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მე-  
ურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების წარ-  
მომადგენლებმა.

**მუხლი 41.** საკითხები მშრომელთა დებუტა-  
ტების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს  
სესიის განსახილველად შეაქვთ საბჭოს აღმას-  
რულებელ კომიტეტს, მუდმივ კომისიებსა და  
დებუტატებს.

წინადადებები საქალაქო, ქალაქის რაიონუ-  
ლი საბჭოს სესიის დღის წესრიგთან დაკავ-  
შირებით შეიძლება წარმოადგინონ საზოგადო-  
ებრივი ორგანიზაციების საქალაქო, რაიონულ-  
მა ორგანოებმა.

სესიის დღის წესრიგს და მუშაობის წესს  
ამტკიცებს საქალაქო, ქალაქის რაიონული საბ-  
ჭო. სესიის დღის წესრიგში ამა თუ იმ საკით-  
ხის შეტანა ხდება საბჭოს გადაწყვეტილებით,  
რომელიც მიღებულია საბჭოს დებუტატების  
საერთო რიცხვის ხმათა უბრალო უმრავლესობით.

**მუხლი 45.** მშრომელთა დებუტატების სა-  
ქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს სესიაზე  
შეიძლება განხილულ იქნეს და გადაწყდეს  
ყველა საკითხი, რომელიც საბჭოს გამგებლო-  
ბას განეკუთვნება. ამასთანავე მხოლოდ სე-  
სიაზე შეიძლება განხილულ იქნეს და გა-  
დაწყდეს შემდეგი საკითხები:

ა) დებუტატთა რწმუნებების ცნობა; დებუ-  
ტატთა რწმუნების მოხსნა დებუტატთა პირა-  
დი განცხადებების საფუძველზე;

ბ) აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა და  
მისი შემადგენლობის შეცვლა; მუდმივი კო-  
მისიების შექმნა, არჩევა და მათი შე-  
მადგენლობის შეცვლა;

გ) ანგარიშები აღმასრულებელი კომიტეტისა  
და მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ;

დ) აღმასრულებელი კომიტეტის განყოფი-  
ლებებისა და სამმართველოების შექმნა, მათი  
ხელმძღვანელების თანამდებობაზე დამტკიცე-  
ბა და განთავისუფლება;

ე) აღმასრულებელი კომიტეტის, მისი გან-  
ყოფილებებისა და სამმართველოების სტრუქ-  
ტურისა და შტატების დამტკიცება საქართვე-  
ლოს სსრ-ში მიღებული ნორმატივებისა და ამ  
აღმასკომისათვის დადგენილი ადმინისტრაცი-

ულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობის  
შესაბამისად;

ვ) სახალხო კონტროლის საქალაქო, რაიონ-  
ული კომიტეტის შექმნა, მისი შემადგენლო-  
ბის დამტკიცება, სახალხო კონტროლის კომი-  
ტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე და-  
ნიშვნა და განთავისუფლება;

ზ) აღმასრულებელ კომიტეტთან ადმინისტ-  
რაციული და სამეურნეო კომისიების, არა-  
სრულწლოვანთა საქმეების კომისიების შექმნა;  
თ) რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამარ-  
თლოს თავმჯდომარის დამტკიცება;

ი) საქალაქო, რაიონული მეურნეობის გან-  
ვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშე-  
ნებლობის ნაერები პერსპექტიული და წლიური  
გეგმების დამტკიცება;

კ) ამომრეჩველთა განაწესების შესრულების  
ლონისტიგბათა გეგმების დამტკიცება;

ლ) გადაწყვეტილებათა მიღება დებუტატთა  
შეკითხვების გამო;

მ) ქალაქის, რაიონის ბიუჯეტისა და მისი  
შესრულების ანგარიშის დამტკიცება;

ნ) აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვე-  
ტილებათა დამტკიცება საქალაქო, ქალაქის  
რაიონული ბიუჯეტის შესრულებისას დამატე-  
ბით მიღებული შემოსავლის, აგრეთვე ვასა-  
ვალზე შემოსავლის გადამტების იმ თანხების  
გამოყენების შესახებ, რაც იქმნება წლის დამ-  
ღვეს შემოსავლის გადაჭარბებით შესრულე-  
ბის ან ვასავლის ნაწილში მომჭირნეობის შე-  
დეგად;

ო) ქალაქის გენერალური გეგმის პროექტი-  
სა და საგარეუბნო ზონის დაგეგმარების პრო-  
ექტის განხილვა და მათი წარდგენა დასამტ-  
კიცებლად სახელმწიფო მართვის შესაბამის  
ზემდგომ ორგანოებში.

**მუხლი 46.** მშრომელთა დებუტატების სა-  
ქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს გადაწყ-  
ვეტილებებს იღებენ დია კენჭისყრით საბჭოს  
დებუტატთა საერთო რიცხვის ხმების უბრალო  
უმრავლესობით და მათ ხელს აწერენ საბჭოს  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და  
მდივანი.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს გადა-  
წყვეტილებებს აღმასრულებელი კომიტეტის  
შემადგენლობის არჩევის ან შეცვლის შესახებ  
ხელს აწერენ საბჭოს სესიის თავმჯდომარე და  
მდივანი.

**მუხლი 47.** მშრომელთა დებუტატების სა-  
ქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს გადაწყ-  
ვეტილებებს საბჭოს აღმასრულებელი კომი-  
ტეტი ატყობინებს დაინტერესებულ ორგანიზა-  
ციებს, თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს  
შვიდი დღის ვადაში.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს გა-



დაწყვეტილებებში მოცემული წინადადებები და რეკომენდაციები ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მისამართით უნდა განიხილონ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და განხილვის შედეგები შეატყობინონ საბჭოს ათი დღის ვადაში.

**მუხლი 48.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (საოლქო და რაიონული დაქვემდებარების), აგრეთვე ქალაქის რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებები შეუძლია გააუქმოს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომმა საბჭომ და შეაჩეროს ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

რესპუბლიკური დაქვემდებარების (საქართველოს სსრ, აფხაზეთის და აჭარის ასსრ) ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებები შეუძლიათ გააუქმონ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა და შეაჩეროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა.

**მუხლი 49.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს მშრომელთა დეპუტატების ქვემდგომი საბჭოების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

**მუხლი 50.** რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, აფხაზეთის და აჭარის ასსრ) და საოლქო დაქვემდებარების ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ადმინისტრაციულ ზასუხისმგებლობას მათი დარღვევისათვის, ძალაში შედიან პრესაში გამოქვეყნებიდან 15 დღის შემდეგ და მოქმედებენ გადაწყვეტილებაში მითითებული ვადის განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს საბჭოს უფლებამოსილების ვადისა.

გადაუდებელ შემთხვევებში (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ეპიზოოტია) გადაწყვეტილება შეიძლება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მისი გამოქვეყნების დღიდან.

**2. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი**

**მუხლი 51.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არის საბჭოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო, რომელსაც ირჩევენ დეპუტატთა რიცხვიდან შემ-

დეგი შემადგენლობით — საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, მდივანი და 7-დან 15-მდე წევრი.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო.

**მუხლი 52.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (საოლქო, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის) და ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ ანგარიშვალდებულია მისი ამრჩევი საბჭოს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

რესპუბლიკური დაქვემდებარების (საქართველოს სსრ და ასსრ) ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ ანგარიშვალდებულია მისი ამრჩევი საბჭოს, აგრეთვე შესაბამისად საქართველოს სსრ, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების წინაშე.

**მუხლი 53.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე ხელმძღვანელობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს, სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მართვის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს და წყვეტს საკითხებს, რომლებიც საბჭოს გამგებლობას განეკუთვნება, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც ამ კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად განხილულ უნდა იქნეს და გადაწყდეს მხოლოდ საბჭოს სესიებზე.

**მუხლი 54.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იწვევს საბჭოს სესიებს და უზრუნველყოფს მათს მომზადებას; ორგანიზაციას უწევს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე საბჭოს გადაწყვეტილებათა პროექტების წინასწარ განხილვას მოსახლეობის მიერ.

**მუხლი 55.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში კოორდინაციას უწევს საბჭოს მდმივე კომისიების მუშაობას, ჩაბამს მათ იმ საკითხებს მომზადებაში, რომლებსაც განიხილავენ საბჭოს სესიებზე და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე, აცნობს კომისიებს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის გეგ-

მებს, ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს, განაზოგადებს და აერცვლებს მუდმივი კომისიების გამოცდილებებს, უზრუნველყოფს მათთვის ტექნიკური მომსახურების გაწევას, განიხილავს კომისიების მიერ წარმოდგენილ წინადადებებს.

**მუხლი 56.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საჭირო დახმარებას უწევს დეპუტატებს მათ მიერ დეპუტატის მოვალეობათა შესრულებაში, ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშის მომზადებასა და ჩაბარებაში, ინფორმაციას აწვდის დეპუტატებს საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების მსვლელობის შესახებ, იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიიღეს საბჭოს სესიებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების გამო და საბჭოს სესიათა შორის პერიოდში გაწეული მუშაობის ძირითადი საკითხების შესახებ.

**მუხლი 57.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წარადგენს საბჭოს დასამტკიცებლად ქალაქის, რაიონის მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ დაწლიურ გეგმებს, ქალაქის, რაიონის ბიუჯეტსა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

აღმასრულებელი კომიტეტი მოახსენებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოს, ქალაქის, რაიონის მეურნეობის განვითარების, სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

**მუხლი 58.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წარადგენს საბჭოს დასამტკიცებლად ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმებს და ორგანიზაციას უკეთებს მათ შესრულებას, აცნობებს დეპუტატებსა და მოსახლეობას, თუ როგორ სრულდება განაწესები.

**მუხლი 59.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ხელმძღვანელობს უწევს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებს, საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს; საბჭოს სესიებს შორის პერიოდში ნიშნავს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელთა მოვალეობის შემსრულებლებს და გადაყენებს მოვალეობის შესრულებისაგან აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა და სამმართველოების ხელმძღვანელებს, რაც შემდგომ უნდა დამტკიცდეს მორიგ სესიაზე.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა და სამმართველოთა სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს, საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს (თანამდებობათა იმ სისის შესაბამისად, რომელსაც საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამტკიცებს სახელმწიფო მართვის ზემდგომ ორგანოსთან შეთანხმებით).

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია განსახილველად მიიღოს საკითხები, რომლებიც მისი განყოფილებებისა და სამმართველოების გამგებლობაშია.

**მუხლი 60.** ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ზემდგომი დაქვემდებარების იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა, საბინაო და კომუნალური მეურნეობის ორგანოთა, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და კულტურის იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების თანამდებობაზე დანიშვნა და განთავისუფლება, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქალაქის, რაიონის მოსახლეობის მომსახურებისათვის, ხდება მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების შესაბამის საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

**მუხლი 61.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებს იღებენ აღმასრულებელი კომიტეტის მთელი შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით და მათ ხელს აწერენ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებებს ხელს აწერს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს იწვევენ საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ ორჯერ თვეში.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.



მიტეტის საერთო შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.

**მუხლი 62.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სსდომებში სათათბირო ხმის უფლებით შეუძლიათ მიიღოს მონაწილეობა მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებმა და წევრებმა, საბჭოს დებუტატებმა, საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებმა, რომლებიც არ შედიან მის შემადგენლობაში, აგრეთვე საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სსდომაზე მოწვეულმა საწარმოების, დაწესებულებების და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

**მუხლი 63.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო (საოლქო) და რაიონული დაქვემდებარების (ქალაქის) და ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები და განკარგულებები შეუძლიათ შესაბამისად გააუქმონ მშრომელთა დებუტატების საქალაქო, რაიონულმა საბჭომ და ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

რესპუბლიკური დაქვემდებარების (საქართველოს სსრ, ასსრ), ქალაქის მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები და განკარგულებები შეუძლიათ გააუქმონ მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭომ და შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა.

**მუხლი 64.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წელიწადში ერთხელ მაინც ანგარიშს აბარებს თავისი მუშაობის შესახებ მის ამრჩევ საბჭოს, აგრეთვე მშრომელთა კრებებს საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილებზე.

**მუხლი 65.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს უფლებამოსილების ვასლის შემდეგ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ინარჩუნებს თავის უფლებამოსილებას ახლად არჩეული მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს მიერ ახალი აღმასრულებელი კომიტეტის შექმნამდე.

**მუხლი 66.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები იქმნება საქართველოს სსრ კანონმდებლობის, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონმდებლობის შესაბამისად და ისინი

იმყოფებიან ბიუჯეტზე ან სამეურნეო ანგარიშზე.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, მის განყოფილებათა და სამმართველოთა სტრუქტურასა და შტატებს განსაზღვრავენ საქართველოს სსრ-ში მიღებული ნორმატივებისა და ამ აღმასკომისათვის დადგენილი ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რიცხვის შესაბამისად. შტატებს განსაზღვრავენ დადგენილი წესით, ხელფასის ფონდის ფარგლებში.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა და სამმართველოთა კომპეტენციის განსაზღვრავენ დებულებები, რომლებსაც ამტკიცებენ საქართველოს სსრ, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, შესაბამისად.

**მუხლი 67.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან როგორც საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე სახელმწიფო მართვის შესაბამის ზემდგომ დარგობრივ ორგანოს.

**მუხლი 68.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელები განყოფილებებისა და სამმართველოების კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ ბრძანებებს საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და ამ გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების შესასრულებლად, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების და სახელმწიფო მართვის ზემდგომი ორგანოების აქტების საფუძველზე.

**მუხლი 69.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებენ საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე მშრომელთა კრებებს საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილებზე.

**მუხლი 70.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ახორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს აღმასრულებელ კომიტეტთან საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს მიერ შექმნილი ადმინისტრაციული, სამეთვალყურეო, აგრეთვე არასრულწლოვანთა

საქმეების კომისიების საქმიანობაზე. აღნიშნული კომისიების კომპეტენციას განსაზღვრავენ დებულებები, რომლებსაც ამტკიცებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო აღმასრულებელ კომიტეტთან ქმნის აგრეთვე სხვა კომისიებს, რომელთა საქმიანობას ადგენს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობა, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონმდებლობა.

მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს თავისი საქმიანობის საკითხებზე შეუძლია შექმნას სხვა კომისიებიც, რომელთა ამოცანები განისაზღვრება მათი შექმნისთანავე.

**მუხლი 71.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სამართლებების არჩევნების, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას.

**მუხლი 72.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს და იძლევა განკარგულებებს მისთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 73.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იღებს ზომებს მოსახლეობის ფართო მასების მისაზიდად სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მონაწილეობისათვის როგორც უშუალოდ, ისე ქუჩის, კვარტალის, საბინაო კომიტეტების, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების, ამხანაგური სასამართლოების, ქალთა საბჭოების, მშობელთა კომიტეტებისა და სხვა საზოგადოებრივი თვითმომქმედი ორგანოების მეშვეობით, ყოველმხრივ დახმარებას უწევს მათ მუშაობაში.

**მუხლი 74.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს და ორგანიზაციას უწევს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობას, საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულებას, იძლევა განკარგულებებს.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე არის საქალაქო, რაიონული ბიუჯეტის კრედიტების განმკარგულებელი და საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის მიმდინარე ანგარიშის განმკარგულებელი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში.

**მუხლი 75.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები განაგებენ, თანახმად მოვალეობის განაწილებისა, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგებს, აღმასკომის შესაბამისი განყოფილებებისა და სამმართველოების საქმიანობას, ორგანიზაციას უწევენ საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებების შესრულებას ამ დარგებში.

**მუხლი 76.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ორგანიზაციას უწევს მასალების მომზადებას საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად, უზრუნველყოფს საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა თავის დროზე დაყვანას დაინტერესებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციებამდე, ბასუხისმგებელია საქმის წარმოების, აღრიცხვისა და ანგარიშებისათვის.

მდივნის არყოფნის დროს (ავადმყოფობა, შვებულება და სხვ.) მის მოვალეობას აკისრებენ აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთ წევრს.

**8. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიები**

**მუხლი 77.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო იმისათვის, რომ შეისწავლოს, წინასწარ განიხილოს და მოამზადოს საკითხები, რომლებიც საბჭოს გამგებლობას მიეკუთვნება, და აქტიურად შეუწყოს ხელი მისი გადაწყვეტილებების განხორციელებას, ქმნის მუდმივ კომისიებს თავისი უფლებამოსილების ვადით.



მუდმივი კომისიები მოწოდებული არიან თავიანთი საქმიანობით ხელი შეუწეონ საბჭოს შეუფერხებელ და ეფექტიან მუშაობას.

**მუხლი 78.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიების ძირითადი ამოცანებია:

წინადადებების შემუშავება საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად;

დასკვნების მომზადება საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეტანილ საკითხებზე;

მონაწილეობა ორგანიზატორულ მუშაობაში საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების პრაქტიკულად განხორციელებისათვის;

კონტროლის გაწევა იმაზე, თუ როგორ ახორციელებენ საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს, აგრეთვე, როგორ იცავენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობას, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასსრ კანონმდებლობას საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

**მუხლი 79.** მუდმივი კომისიებს ირჩევს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო შესაბამისი საბჭოს დეპუტატთაგან თავმჯდომარისა და კომისიის წევრების შემადგენლობით. თითოეული კომისიის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო. მუდმივი კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნენ დეპუტატები, რომლებიც შედიან საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში, აგრეთვე დეპუტატები — სახალხო მისამართლენი და ქალაქის, რაიონის პროკურორი.

ყოველი მუდმივი კომისია თავის წევრთაგან ირჩევს კომისიის მდივანს და საჭირო შემთხვევაში — კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

**მუხლი 80.** მუდმივი კომისიები ბასუხის-მგებლნი და ანგარიშვალდებული არიან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს წინაშე.

მუდმივი კომისიები თავისი საქმიანობის შესახებ პერიოდულად ანგარიშს აბარებენ საბჭოს.

**მუხლი 81.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო ქმნის სამანდატო კომისიას, საეგვმო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიას, ახალგაზრდობის საქმეთა კომისიას, აგრეთვე ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგების მუდმივი კომისიებს.

**მუხლი 82.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს სამანდატო კომისია

ა) ამოწმებს საბჭოს დეპუტატთა რწმუნებებს და საბჭოს განსახილველად წარადგენს წინადადებებს არჩეული დეპუტატების რწმუნებათა ცნობის შესახებ ან ცალკეული დეპუტატების არჩევნების გაუქმების შესახებ;

ბ) ამზადებს და საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შეაქვს წინადადებები გასულ დეპუტატთა ნაცვლად საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მოწყობის საკითხებზე;

გ) იძლევა დასკვნებს დეპუტატთა ხელშეუხებლობასთან და გაწვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აგრეთვე დეპუტატთა განცხადებებზე დეპუტატის მოვალეობის შესრულებისაგან მათი განთავისუფლების შესახებ.

**მუხლი 83.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს საეგვმო-საბიუჯეტო კომისია

ა) განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ ქალაქის, რაიონის მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს და იძლევა მათზე თავის დასკვნას;

ბ) განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ რსაბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ ქალაქის, რაიონის ბიუჯეტს, ანგარიშს მისი შესრულების შესახებ და იძლევა მათზე თავის დასკვნას;

გ) განიხილავს და ათანხმებს საბჭოს სხვა მუდმივი კომისიათაგან შემოსულ შენაშენებსა და წინადადებებს ქალაქის, რაიონის მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების გამო, ქალაქის, რაიონის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის შესახებ.

დ) ეწევა მუშაობას შიდასამეურნეო რეზერვებისა და ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლის გამოვლენისა და სახელმწიფო სახსრების ხარჯვისას ეკონომიის რეკომენდაციების მოძიებისათვის;

ე) ახორციელებს კონტროლს ქალაქის, რაიონის მეურნეობის განვითარებისა და სოცია-



ლურ-კულტურული მშენებლობის გეგმებისა და ქალაქის, რაიონის ბიუჯეტის შესრულებაზე;

ვ) მონაწილეობას იღებს საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეტანილი სხვა საეკვიპო და საბიუჯეტო-საფინანსო საკითხების მომზადებაში.

**მუხლი 84.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისია

ა) მონაწილეობას იღებს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე;

ბ) იძლევა დასკვნებს საქალაქო საბჭოს იმ გადაწყვეტილებათა პროექტებზე, რომლებიც ითვალისწინებენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მათი დარღვევისათვის;

გ) მონაწილეობას იღებს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური კანონიერების დაცვის შემოწმებაში, მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებების, საჩივრების განხილვის და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის საქმეთა მდგომარეობის შემოწმებაში;

დ) დახმარებას უწევს მუშაობაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობით სახალხო რაზმებს და ამხანაგურ სასამართლოებს. მონაწილეობს მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის ორგანიზაციაში.

**მუხლი 85.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისია

ა) ამზადებს და საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეაქვს გადაწყვეტილებათა პროექტები და სხვა წინადადებები ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების, პროფესიული სწავლების, შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის, სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში მისი მონაწილეობის საკითხებზე;

ბ) წინასწარ განიხილავს მისთვის დასკვნისათვის გადაცემულ საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა პროექტებს კომისიის გამგებლობაში მყოფ საკითხებზე და ამზადებს შესაბამის დასკვნებს;

გ) მონაწილეობას იღებს კომისიის გამგებლობაში მყოფ საკითხებზე ქალაქის, რაიონის მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების, ქალა-

ქის, რაიონის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის წინასწარ განხილვაში.

**მუხლი 86.** სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგების მიხედვით შექმნილი მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიები

ა) მონაწილეობას იღებენ საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეტანილი სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის შესაბამისი დარგების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების მომზადებაში;

ბ) წინასწარ განიხილავენ ქალაქის, ქალაქის რაიონული მეურნეობის განვითარებისა და რაიონული მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების, ქალაქის, რაიონის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის შესაბამისი განყოფილებებს. შეაქვთ მათთან დაკავშირებით თავიანთი შენიშვნები და წინადადებები;

გ) ეწევიან მუშაობას ადგილობრივი მრეწველობის, საბნაო, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის განვითარებისათვის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის დამატებითი რეზერვებისა, და შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით, ამზადებენ ამ საკითხებზე წინადადებებს და შეაქვთ ისინი საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად;

დ) ამოწმებენ თავიანთი რწმუნებების ფარგლებში საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას, შემოწმების შედეგების მიხედვით წარადგენენ წინადადებებს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა განსახილველად, ხოლო უჭირბო შემთხვევებში შეაქვთ წინადადებები საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად.

**მუხლი 87.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიებს მათი გამგებლობისათვის განკუთვნილ საკითხებზე უფლება აქვთ თავიანთ სტრუქტურულ მოდერნიზაციულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებზე და განცხადებებზე და მისცენ მათ რეკომენდაციები.

მუდმივი კომისიების რეკომენდაციების განხილვა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის

განყოფილებებისა და სამმართველოების, ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა მიერ სავალდებულოა. განხილვის შედეგების ან მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს მუდმივ კომისიას არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა ან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში.

მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ საჭირო შემთხვევებში საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს მოსთხოვონ შესაბამისი მასალები და საბუთები.

**მუხლი 88.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოს შეუძლია შექმნას დროებითი კომისიები. დროებითი კომისიების ამოცანებს საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო განსაზღვრავს მათი შექმნისთანავე.

#### 4. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატი

**მუხლი 89.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დებუტატის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის დღიდან და მთავრდება ახალი მოწვევის საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს არჩევნების დღეს.

**მუხლი 90.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დებუტატი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საბჭოს მუშაობაში, შეასრულოს მისი დავალებანი, მუდმივი კავშირი იქონიოს ამომრჩევლებთან, ინფორმაცია მიაწოდოს მათ საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესახებ; მიადღწიოს იმას, რომ განხორციელდეს ამომრჩეველთა განწყობები და წინადადებები, აწარმოოს მოქალაქეთა მიღება და დახმარება აღმოუჩინოს მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების გადაწყვეტაში, განუმარტოს მოსახლეობას კანონები.

ამომრჩევლებთან ერთობლივ მუშაობისათვის საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დებუტატებს, რომლებიც არჩეული არიან მოსაზღვრე საარჩევნო ოლქებიდან, შეუძლიათ გაერთიანდნენ დებუტატთა ჯგუფებში. დებუტატთა ჯგუფების ხელმძღვანელებს ამტკიცებს საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო.

**მუხლი 91.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დებუტატს უფლება აქვს საბჭოს, მისი აღმასრუ-

ლებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების განსახილველად შეიტანოს წინადადებანი დებუტატის საქმიანობისა წამოჭრილ საკითხებზე.

**მუხლი 92.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დებუტატს ან დებუტატთა ჯგუფს უფლება აქვს შეკითხვით მიმართონ სესიაზე აღმასრულებელ კომიტეტს, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების, ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ნებისმიერ საკითხზე, რომელიც განეკუთვნება საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს კომპეტენციას.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებსაც ეხება დებუტატის შეკითხვა, ვალდებული არიან პასუხი გასცენ შეკითხვას საბჭოს სესიაზე, ხოლო, თუ უფრო მეტი დროა საჭირო პასუხის მოსამზადებლად— იმ ვადაში, რომელიც საბჭომ დაადგინა, ამასთან აუცილებლად უნდა გაკეთდეს განცხადება ამის შესახებ სესიაზე. დებუტატის შეკითხვაზე გაცემული პასუხის მიხედვით საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო იღებს გადაწყვეტილებას.

**მუხლი 93.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დებუტატს შეუძლია დებუტატობის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართოს აღმასკომის განყოფილებებისა და სამმართველოების, აგრეთვე ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, რომლებიც ვალდებული არიან არა უგვიანეს ათი დღის ვადისა პასუხი გასცენ დებუტატის მიმართვას და ხელი შეუწყონ მას სადებუტატო მოვალეობათა შესრულებას.

**მუხლი 94.** მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დებუტატი საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის ან მუდმივი კომისიების დავალებით მონაწილეობს ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის შემოწმებაში და შეაქვს თავისი წინადადებები შემოწმების შედეგების თაობაზე.

**მუხლი 95.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის, აფხაზეთის და აჭარის ასსრ კონსტიტუციების შესაბამისად მშრომელთა დებუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს

დეპუტატი ვალდებულია ანგარიში ჩაბაროს ამომრჩევლებს თავისი მუშაობისა და საბჭოს მუშაობის შესახებ.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატის მიერ ანგარიშის ჩაბარება ხდება წელიწადში ორჯერ მაინც. ამომრჩეველთა მთხოვნით დეპუტატის მიერ ანგარიშის ჩაბარება შეიძლება მოეწყოს ნებისმიერ დროს.

**მუხლი 96.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატი სესიისა და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის დროს, რომლის შემადგენლობაშიცაა იგი არჩეული, თავისუფლდება თავისი საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობისაგან, ამასთან ენახება საშუალო გამომუშევება (ხელფასი) მუდმივ სამუშაო ადგილზე.

**მუხლი 97.** საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატს, დეპუტატის მოვალეობის შესრულებისას უფლება აქვს უფასოდ იმგზავროს ქალაქის ტრანსპორტით (მეტრო, ავტობუსი, ტრამვაი, ტროლეიბუსი).

**მუხლი 98.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება ადმინისტრაციის ინიციატივით დაითხოვონ საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან ან გარეცხონ კოლმეურნეობიდან, აგრეთვე საბჭოს ტერიტორიაზე მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან დააპატიმრონ ისე, თუ ამაზე არ იქნა საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს, ხოლო სესიების შორის პერიოდში — მისი აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობა.

**მუხლი 99.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატს ეძლევა დადგენილი ნიმუშის მოწმობა.

**მუხლი 100.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატი, რომელიც ვერ გააპართლებს მისთვის გამოცხადებულ ნდობას, შეიძლება ნებისმიერ დროს ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით გაიწვიონ კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 101.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატი იმ შემთხვევაში, თუ მას მუდმივად საცხოვრებლად ქალაქის ფარგლებს გარეთ უხდება გასვლა, ან სხვა მიზეზების გამო არ შეუძლია შეასრულოს დეპუტატის მოვალეობანი თავის საარჩევნო ოლქში, განცხადებით მიმართავს საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოს იმის შესახებ, რომ იხსნის დეპუტატის რწმუნებებს.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო მორიგ სესიაზე განიხილავს დეპუტატის განცხადებას და მიიღებს გადაწყვეტილებას, რასაც აუწყებს ამ ოლქის ამომრჩევლებს.

**მუხლი 102.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატის რწმუნებანი ვალდებულნი არიან იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლები დეპუტატს გაიწვივენ, აგრეთვე საბჭოს გადაწყვეტილებით დეპუტატის რწმუნებების მოხსნის შესახებ.

**მუხლი 103.** იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატი გავიდა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შემადგენლობიდან, საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ორი თვის ვადისა დეპუტატის საბჭოს შემადგენლობიდან გასვლის შემდეგ შესაბამის საარჩევნო ოლქში ნიშნავს ახალი დეპუტატის არჩევნებს.

**5. მოსახლეობის მონაწილეობა**

**მშრომელთა დეპუტატების საპალატო, პალატის რაიონული საბჭოს მუშაობაში**

**მუხლი 104.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო უზრუნველყოფს მოქალაქეთა ფართო მონაწილეობას ადგილობრივი და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში.

**მუხლი 105.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას თავისი საქმიანობის, მუდმივი კომისიების, აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაობის შესახებ მშრომელთა წინაშე საბჭოს დეპუტატების, აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაკთა რეგულარული გამოსვლების გზით. აგრეთვე პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით.

ქალაქში, რაიონში, სახელმწიფო, საგეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველაზე დიდნიშნელოვანი საკითხები საქალაქო, ქალაქის რაიონულ საბჭოს გააქვს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მშრომელთა კრებების, აგრეთვე მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილებზე გამართული კრებების განსახილველად.

**მუხლი 106.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭო წარმართავს ქალაქის ნებაყოფლობითი საზოგადოებების საქმიანობას და ხელმძღვანელობს მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმომქმედების ორგანოების მუშაობას.

წელთა მოხსენებებს, იღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს; საჭირო შემთხვევებში შეაქვს თავისი წინადადებები შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

**მუხლი 5.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს საქმიანობას საფუძვლად უდევს ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, საჯაროობა, დეპუტატთა რეგულარული ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე, აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებების და სამმართველოებისა — საბჭოსა და მოსახლეობის წინაშე, მშრომელთა ფართოდ ჩაბმა საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისათვის.

რაიონული საბჭო მუშაობს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რაიონულ ორგანოებთან მჭიდრო კავშირში.

**მუხლი 6.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციით და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, ამ კანონით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით. ავტონომიურ რესპუბლიკებში რაიონული საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციით, აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონით მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს შესახებ და ავტონომიური რესპუბლიკების სხვა საკანონმდებლო აქტებით, აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებებითა და განკარგულებებით.

**მუხლი 7.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი, რომლებიც მიღებულია მათთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში, სავალდებულოა შესრულონ რაიონის ტერიტორიაზე ვანლაგებულმა ყველა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, საწარმომ, დაწესებულებაში და სხვა ორგანიზაციებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა და მოქალაქეებმა.

იმ შემთხვევაში, თუ ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა არ შესრულეს

ეს გადაწყვეტილებანი, რაიონულ საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს შესაბამის ზემდგომ ორგანოებში შეაქვთ წარდგინებანი, რომ ამ ხელმძღვანელებს დაადონ დისციპლინური სასჯელი თანამდებობიდან განთავისუფლებაშიც კი. წარდგინებთა განხილვის შედეგები რაიონულ საბჭოს ან მის აღმასრულებელ კომიტეტს უნდა ეცნობოს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა.

**მუხლი 8.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო კანონით მინიჭებულ უფლებების ფარგლებში ხელმძღვანელობს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადამბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების საქმიანობას.

**მუხლი 9.** რაიონების შექმნა, გაუქმება, საზღვრების შეცვლა, სახელის დარქმევა და დადარქმევა, აგრეთვე მათი ადმინისტრაციული ცენტრების დადგენა და გადატანა ხდება საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, მიიღება რა მხედველობაში ტერიტორიის სამეურნეო-ეკონომიური და ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებანი, მოსახლეობის რაოდენობა და მისი მომსახურების ინტერესები, შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აზრის გათვალისწინებით. რაიონის, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, შემადგენლობაში შეაქვთ სასოფლო საბჭოები, დაბები და რაიონული დაქვემდებარების ქალაქები.

**მუხლი 10.** საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის დებულების შესაბამისად იმ შენობაზე, სადაც მიმდინარეობს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესია, საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა ადამართება სესიის მთელ პერიოდში, ხოლო რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაზე — მუდმივად.

ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ან აჭარის ასსრ სახელმწიფო დროშის აღმართვა ხდება იმ წესით, რომელიც დადგენილია აფხაზეთის ან აჭარის ასსრ დებულებით სახელმწიფო დროშის შესახებ.

სსრ კავშირის სახელმწიფო დროშის აღმართვა რაიონულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაზე ხდება სსრ კავშირის სახელმწიფო დროშის შესახებ დებულებით დადგენილი წესით.

**მუხლი 11.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის



მიერ დამტკიცებული ნიმუშის გერბიანი ბეჭედი, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამისად აფხაზეთის ან აჭარის ასრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიმუშისა.

**თავი II.**

**აზრომელთა დეპუტატების რაიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციის**

**მუხლი 12.** დაეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშების დარგში მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო

ა) ამტკიცებს რაიონული მეურნეობის განვითარებისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, ორგანიზაციის უქეთებს და კონტროლს უწევს მათს შესრულებას; განიხილავს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საწარმოო-საფინანსო გეგმებს; ამტკიცებს სოფლების, დაბებისა და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების განვითარების ძირითად საგეგმო მაჩვენებლებს; ამტკიცებს რაიონული დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა პერსპექტიულ და წლიურ საგეგმო დავალებებს, აგრეთვე აღნიშნულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა განლაგების, განვითარებისა და სპეციალიზაციის გეგმებს;

ბ) განიხილავს ზემდგომი დაქვემდებარების სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიმღებ საწარმოთა და პუნქტების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოთა, ადგილობრივი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა, კულტურის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა განლაგების, განვითარებისა და სპეციალიზაციის გეგმებს, საჭირო შემთხვევებში შეაქვს თავისი წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში;

გ) განიხილავს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა გეგმების პროექტებს იმ ნაწილში, რომელიც ეხება საბინაო და კომუნალური მეურნეობის განვითარებას, ზვების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტთა მშენებლობას, სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი საშენი მასალების წარმოებას, კეთილმოწყობას, ვაჭრობას, საზოგადოებრივ კვებას, სახალხო განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას, კულტურასა და მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ

სხვა საკითხებს, საჭირო შემთხვევებში თავისი წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში, ამტკიცებს ამ საკითხებზე ნაკრებ საგეგმო მაჩვენებლებს, ამასთან შეაქვს ისინი რაიონული მეურნეობის განვითარებისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმაში;

დ) უზრუნველყოფს შრომითი რესურსების, ადგილობრივი საშენი მასალებისა და სათბობის გამოყენების ბალანსების, მიწის ბალანსის, მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის ბალანსისა და სხვა ბალანსების შედგენას, რომლებიც საჭიროა რაიონის მეურნეობის კომპლექსური განვითარების დაეგმვისათვის;

ე) კონტროლს უწევს მინერალური ნედლეულის, ტყის, წყლის და ენერგეტიკული რესურსების რაციონალურ გამოყენებას;

ვ) აცნობს სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოებს კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, აგრეთვე რაიონული დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დაწესებულ საგეგმო მაჩვენებლებს;

ზ) კონტროლს უწევს აღრიცხვისა და ანგარიშების მდგომარეობას რაიონული დაქვემდებარების საწარმოებში, დაწესებულებასა და ორგანიზაციებში;

თ) ეხმარება სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს; უზრუნველყოფს საანგარიშგებო მონაცემების შედგენისა და წარდგენის წესის შესახებ კანონმდებლობის დაცვას.

**მუხლი 13.** საბიუჯეტო-საფინანსო მუშაობის დარგში მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო

ა) განიხილავს და ამტკიცებს რაიონის ბიუჯეტს შემოსავლის საერთო თანხით, გამოყოფს რა ძირითად სამემოსავლო წყაროებს, და გასავლის საერთო თანხით, გამოყოფს რა ასიგნებებს რაიონული მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, რაიონის სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების შესახად;

ბ) ამტკიცებს რაიონულ ბიუჯეტს, მისი შემოსავლისა და გასავლის კვარტალურ განაწილებას, საკასო საბრუნავი სახსრების რაოდენობას რაიონული ბიუჯეტის მიხედვით;

გ) გამოიწვევს რაიონის ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავალს რაიონულ, სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) ბიუჯეტებს შორის;

დ) განსაზღვრავს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, სასოფლო და სადაბო ბიუჯეტებს შემოსავლის საერთო თანხის და გასავლის

საერთო თანხის ფარგლებში თვითღირსი ქალაქის, სასოფლო და სადაბო საბჭოს მიხედვით, აგრეთვე სალაროს საბრუნავი ნაღდი ფულის როდენობას ამ ბიუჯეტის მიხედვით; ამტკიცებს სახელმწიფო გადასახადებებიდან და შემოსავლებიდან ანარიცხების როდენობას რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, სასოფლო და სადაბო ბიუჯეტებისათვის;

ე) ორგანიზაციის უწყევს რაიონის ბიუჯეტის შესრულებას; კონტროლს უწყევს სასოფლო, სადაბო, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) ბიუჯეტების შესრულების მსგელოზს, საფინანსო დისციპლინის დაცვას, საწარმო-საფინანსო გეგმებისა და ბიუჯეტში გადასახდლების ვალდებულებათა შესრულებას, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო სახსრების მომჭირნობით ხარჯვას;

ვ) რაიონის ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებულ შემოსავალს, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხებს, რომლებიც წარმოიშობა წლის დამლევისათვის შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან გასავლის ნაწილში მოჭირნების შედეგად ახმარს რაიონის მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას. მათ შორის კაპიტალურ დაბანდებებს, აღმინისტრაციულ ნაგებობათა მშენებლობასა და სატრანსპორტო საშუალებათა შექენას რაიონული, სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის, აღმასრულებელი კომიტეტების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების, სასამართლო ორგანოების შენობათა კაპიტალურ რემონტს, მათთვის ინვენტარისა და მოწყობილობის შექენას (დაუშვებელია რაიონის ბიუჯეტიდან აღნიშნული სახსრების ამოღება იმ ასიგნობათა გარდა, რომლებიც გამოყენებული არ არის ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების გეგმისა და სოციალურ-კულტურული დაწესებულებების ქსელის განვითარების გეგმის შესრულებლობისთან დაკავშირებით);

ზ) საჭირო შემთხვევებში ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხელახლა ანაწილებს რაიონული ბიუჯეტის სახსრებს კარიდან კარში, აგრეთვე ხელახლა ანაწილებს ხელფასის ასიგნობებს ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში;

თ) განიხილავს და ამტკიცებს ანგარიშს რაიონის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

ი) საჭირო შემთხვევებში რაიონის ბიუჯეტის სახსრებიდან ერთდროულ ფულად დახმარებას უწყევს იმ მოქალაქებს, რომლებიც დაზარალდნენ სტიქიური უბედურებისაგან,

კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით;

კ) ხელმძღვანელობს მუშაობას სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსადებების გამონგარიშებისა და გადახდევინებისათვის;

ლ) ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსადებების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-2 მუხლის შესაბამისად ამცირებს განაკვეთებს და აწესებს შეღავათებს ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსადებების მიხედვით როგორც ცალკეული კატეგორიების დასაბგარი კომიტეტებისა და ვადახდელთა ჯგუფებისათვის; უფლება აქვს არ შემოიღოს რაიონის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადი;

მ) კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ცალკეული ვადახდლებისათვის აწესებს დამატებით შეღავათებს სახელმწიფო ბაჟის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-3 მუხლისა და მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-4 მუხლის შესაბამისად; დადგენილი წესით სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ათავისუფლებს იმ მოქალაქეთა მეურნეობებს, რომლებიც ნაკლებად დასახლებული პუნქტებიდან სახლდებიან დიდ სოფლებში;

ნ) კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-8 და მე-9 მუხლებს შესაბამისად სტიქიური უბედურების გამო დაზარალებულ კოლმეურნეობებს უგრძელებს საშემოსავლო გადასახადის ვადას მიმდინარე წლის ფარგლებში, აგრეთვე შუამდგომლობს შესაბამისი ზემდგომ ორგანოების წინაშე, — კიდევ უფრო გაუგრძელონ ვადა ასეთ კოლმეურნეობებს ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლონ ისინი გადასახადისაგან შესაბამისი ბიუჯეტის ხარჯზე;

ო) გინიხილავს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის განყოფილებათა კვატალურ საკასო გეგმებს და იღებს ზომებს მათი შესრულებისათვის; განიხილავს კოლმეურნეობათა განაკვეთებს და ამტკიცებს კაპიტალური მშენებლობისათვის, ტექნიკის შექენისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების სხვა ღონისძიებებისათვის მათი გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმებს; კონტროლს უწყევს იმას, თუ რამდენად სწორად იყენებენ კრედიტებს; ანაწილებს სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბ-



კოებს შორის სსრ კავშირის სახანჯისა და სსრ კავშირის მშენებანკის ფულადი სესხის ლიმიტებს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისა და იმ სახლების რემონტისათვის, რომლებშიც მოქალაქეთა პირად საკუთრებაშია;

ბ) წარმართავს სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალოარების მუშაობას, განსაზღვრავს მათი ქსელის განვითარებასა და განლაგებას;

გ) წარმართავს სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი ორგანოების მუშაობას, ეხმარება მათ დაზღვევის ყველა სახეობის განვითარების საქმეში; კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევისას ცალკეულ მოქალაქეებს აძლევს შეღავათებს;

დ) კონტროლს უწევს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის სწორად ჩატარებას;

ე) კონტროლს უწევს სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში) საბჭოების მიერ მათთვის მინიჭებული საბიუჯეტო უფლებების დაცვასა და სწორად გამოყენებას, აგრეთვე მათთან საბიუჯეტო საფინანსო მუშაობის მდგომარეობას.

**მუხლი 14.** სოფლის მეურნეობის დარგში

შრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო

ა) ხელმძღვანელობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას; კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს უმტკიცებს სახელმწიფო შესყიდვის საგემო დავალებებს; განიხილავს კოლმეურნეობათა წლიურ ანგარიშებს;

ბ) უზრუნველყოფს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ გეგმებისა და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა დროულად შესრულებას; ნათესებისა და ნარგავების დაცვის, მიწების მელიორაციის განვითარების და მათი სასოფლო-სამეურნეო ათვისების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებას;

გ) ახორციელებს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ეკონომიური მუშაობის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, შიდასამეურნეო ანგარიშსწორების დაწესების კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მატერიალური დაინტერესების პრინციპების დაცვის ღონისძიებებს; მონაწი-

ლობს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზაციის განსაზღვრავს;

დ) ორგანიზაციის უწევს მოწინავე გამოცდილების და მეცნიერების მიღწევათა პრობანდასა და დანერგვას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში; ეხმარება კოლმეურნეებისათვის და საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის აგროტექნიკური და ზოოტექნიკური სწავლების მოწყობაში;

ე) რეგისტრაციაში ატარებს კოლმეურნეობათა წესდებებს, აგრეთვე წესდებათა ცვლილებებსა და დამატებებს, მათი რეგისტრაციის განიხილავს სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების მიერ წარმოდგენილ შენიშვნებსა და წინადადებებს;

ვ) კონტროლს უწევს კოლმეურნეობათა წესდებების, კოლმეურნეობების საქმეთა მართვის დემოკრატიული საფუძვლების დაცვას, კოლმეურნეთა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების სწორ შეხამებას;

ზ) განიხილავს და წყვეტს კოლმეურნეთა საჩივრებს კოლმეურნეობიდან გარიცხვის შესახებ;

თ) რეგისტრაციაში ატარებს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ საკოლმეურნეობათა შორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა დებულებებს, წესდებებს, აგრეთვე დებულებათა, წესდებათა ცვლილებებსა და დამატებებს;

ი) ახორციელებს კონტროლს საკოლმეურნეობათა შორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობისადმი; ეხმარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დამხმარე საწარმოებისა და სარეწების, აგრეთვე სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების ფილიალების (საამქროების) შექმნასა და განვითარებაში;

კ) ხელს უწყობს დამამზადებელ ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შორის სახელმეურნეო ურთიერთობათა განმტკიცებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის გაყიდვის, გადამუშავებისა და გასაღების დარგში;

ლ) კონტროლს უწევს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების სწორად გამოყენებასა და შენახვას;

მ) ხელმძღვანელობს რაიონში ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელებას; კონტროლს უწევს პირუტყვის დაავადებათა თვიდან აცილებისა და დაავადებათა ლიკვი-



დაციის ღონისძიებათა ჩატარებას; საჭირო შემთხვევებში აწესებს კარანტინს;

ნ) ახორციელებს კონტროლს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებების და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებთან, დაავადებებთან და სარეველებთან ბრძოლის სავალდებულო ღონისძიებების შესრულებაზე, აგრეთვე უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვაზე მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენებისას და მცენარეთა კარანტინის წესების დაცვაზე.

**მუხლი 15.** მიწათსარგებლობის, წყალსარგებლობის, სატყეო მეურნეობისა და ბუნების დაცვის დარგში მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო

ა) ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს რაიონში მთელი მიწების გამოყენებაზე;

ბ) აძლევს და ჩამოართმევს მიწის ნაკვეთებს და წყვეტს საადგილმამულო დავას სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით; იძლევა დასკვნებს მიწის ნაკვეთების მიცემისა და ჩამოართმევის თაობაზე, რასაც აწარმოებენ ზემდგომი ორგანოები;

გ) აძლევს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მიწათმოსარგებლებს მიწათსარგებლობის უფლების სახელმწიფო აქტებს;

დ) იღებს გადაწყვეტილებებს კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე მოქალაქეებისათვის დროებით სარგებლობაში მიწის ნაკვეთების მიცემის შესახებ სასოფლო-სამეურნეო მიზნით იმ წესითა და პირობებით, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის კანონმდებლობით;

ე) კონტროლს უწევს მიწათმოსარგებლების მიერ მიწების ნაყოფიერების გადიდების, მათი მორწყვისა და ამოზრობის, სარწყავი და მელიორირებული მიწების სწორი და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა, ნიადაგის ეროზიის, მეწყერის, დამლაშობისა და დაჭაობების წინააღმდეგ ბრძოლის, მინდორსაცავი ტყის ნარგავთა ზოლის შექმნის ღონისძიებათა განხორციელებას;

ვ) ორგანიზაციას უწევს მიწათმოწყობის სამუშაოებს; იძლევა დასკვნებს მიწათმოწყობის იმ სამუშაოთა გეგმების თაობაზე, რომლებიც ტარდება რაიონის ტერიტორიაზე;

ზ) განასაზღვრავს საჭირო შემთხვევებში გეოლოგიური გადაღებების, საძიებო, გეოდეზი-

ური და სხვა საძიებო სამუშაოთა დაწყების ვადებსა და ადგილს, რომლებსაც განახორციელებენ შესაბამისი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები რაიონის ტერიტორიაზე;

თ) აძლევს საერთოდ გავრცელებულ სასარგებლო წიაღისეულთა დამუშავების ნებართვას, ახორციელებს კონტროლს სამუშაოთა წარმოების დადგენილი წესის დაცვაზე და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მიწის ნაკვეთების გავარგისებაზე;

ი) კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით განაგებს წყლის ობიექტებს რაიონის ტერიტორიაზე, ახორციელებს წყლების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლს; კონტროლს უწევს საირიგაციო და სამელიორაციო ნაგებობათა მშენებლობასა და ექსპლუატაციას;

კ) კონტროლს უწევს ტყეების გაწვენების, დაცვისა და სწორად გამოყენების, ტყის მელიორაციისა და ტყის მოწყობის ღონისძიებათა განხორციელებას;

ლ) ახორციელებს კონტროლს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა მიერ ბუნების დაცვის შესახებ კანონმდებლობის გატარებასა და ბუნებრივი რესურსებისა და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და აღდგენის ღონისძიებათა შესრულებაზე; კონტროლს უწევს ნადირობისა და თევზჭერის დადგენილი წესების დაცვას.

**მუხლი 16.** მრეწველობის დარგში მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო

ა) ხელმძღვანელობს რაიონული დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებს, უზრუნველყოფს საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებას, კონტროლს უწევს ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სახსრების გამოყენებას, გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, ამტკიცებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს; მიღებულ მოგებას; დადგენილი წესით ანაწილებს;

ბ) სახელმწიფო მართვის ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებებს რაიონული დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაციის, რეორგანიზაციისა თუ ლიკვიდაციის შესახებ;

გ) ანაწილებს რაიონული დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა პროდუქციას, რომელიც წარმოებულა ადგილობრივი ნედლეულისაგან, საწარმოთა საკუთარი დამზადების ნარჩენებისა და ნედლეულისაგან;

დ) ახორციელებს ღონისძიებებს ადგილობ-



რივი ნედლეულის ბაზაზე სახალხო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოების განვითარებისათვის, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა წარმოების იმ ნარჩენების გამოყენებით, რომლებიც ცენტრალიზებული წესით არ ნაწილდება, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებისათვის; წყვეტს ადგილობრივი ნედლეულის, სათბობისა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნარჩენების დამატებით გამოვლენილი რესურსების გამოყენების საკითხებს;

ე) დახმარებას უწევს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ ზემდგომი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებს წარმოების ეფექტიანობის, შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენებაში, მუშათა და მოსამსახურეთა სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაში;

ვ) აძლევს აუცილებლად განსახილველ დასკვნებს იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია მოქმედი სამრეწველო საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების ვაფართოებისა და ახალთა მშენებლობასთან; საჭირო შემთხვევებში შეაქვს წინადადებანი რაიონის ტერიტორიაზე ზემდგომი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაციის, რეორგანიზაციისა თუ ლიკვიდაციის შესახებ.

ზ) ხელს უწყობს სამრეწველო საწარმოებს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი ფორმების ათვისებაში, მუშაობის ეკონომიური ანალიზის ჩატარებაში, წარმოების რეზერვების გამოვლენასა და გამოყენებაში და ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში;

თ) იღებს ზომებს ახალი ხალხური მხატვრული სარეწების ორგანიზაციისა და მოქმედი სარეწების, აგრეთვე ხელოსნობის განვითარებისათვის; დადგენილი წესით რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს აძლევს ნებართვებს რეწვისა და ხელოსნობისათვის;

ი) იღებს ზომებს თევზჭერის, ნადირობისა და სხვა სარეწების განვითარებისათვის.

**მუხლი 17.** მშენებლობის, დაგეგმარებასა და განაშენიანების დარგში მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო

ა) განიხილავს რაიონული დაგეგმარების სქემას და დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო მართვის შესაბამის ზემდგომ ორგანოებს; დადგენილი წესით ამტკიცებს ან ათანხმებს დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებს;

ბ) კონტროლს უწევს რაიონის ტერიტორიაზე წარმოებულ მშენებლობას; კრძალავს ან

შეაჩერებს საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, რომელიც კონომდებლობის მოთხოვნათა დარღვევით წარმოებს;

გ) ხელმძღვანელობს რაიონული დაქვემდებარების სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციებს, უზრუნველყოფს მათ მიერ საწარმო-საფინანსო გეგმების შესრულებას;

დ) ორგანიზაციას უწევს საბინაო, კომუნალურ, საგზაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას, ვანათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და სხვა ობიექტების მშენებლობას ადგილობრივი საბჭოებისათვის გამოყოფილ სახსრებით; რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების თანხმობით წყვეტს საბინაო, კომუნალური, საგზაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, მშენებლობისათვის, ვანათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მშენებლობისათვის მათ მიერ გამოყოფილი სახსრების ერთობლივი გამოყენების, აგრეთვე ხაჭირო შემთხვევებში, ამ სახსრების გაერთიანების საკითხებს, გამოდის შემკვეთად ან განსაზღვრავს შემკვეთს მშენებლობის ამ სახეობებში;

ე) ამტკიცებს საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ფარგლებში რაიონული დაქვემდებარების მშენებლობებისა და ობიექტების პროექტებსა და სატიტულო სიებს;

ვ) აწარმოებს დადგენილი წესით საცხოვრებელი სახლების, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, ჯანმრთელობის დაცვის, ვანათლების, სოციალური უზრუნველყოფისა და რაიონული დაქვემდებარების სხვა ობიექტების რეკონსტრუქციის, ვაფართოების, რემონტისა და კეთილმოწყობის სამუშაოებს;

ზ) დადგენილი წესით ნიშნავს სახელმწიფო მიმღებ კომისიებს, განიხილავს და ამტკიცებს საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების დამთავრებული ობიექტების საექსპლოატაციოდ მიღების აქტებს, აგრეთვე მონაწილეობს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სხვა დამთავრებული ობიექტების საექსპლოატაციოდ მიღებაში.

**მუხლი 18.** საგზაო მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო

ა) ხელმძღვანელობს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტს რაიონის ტერიტორიაზე; ხელს



უწყობს საერთო-სახელმწიფოებრივი, რესპუბლიკური და საოლქო მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობასა და სწორ ექსპლოატაციას;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობას მიიღებინებს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის სამუშაოებში; კონტროლს უწევს მუშახელისა და მექანიზმების რაციონალურად გამოყენებას გზათა მშენებლობასა და რემონტში;

გ) ხელმძღვანელობს რაიონული დაქვემდებარების სატრანსპორტო საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

დ) კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების სატრანსპორტო საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობას რაიონის მოსახლეობის მომსახურების დარგში;

ე) ამტკიცებს ადგილობრივი ტრანსპორტის მარშრუტებსა და მოძრაობის გრაფიკებს; კონტროლს უწევს მუშაობას ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხაზით;

ვ) უზრუნველყოფს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ავტომანქანებისა და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვას; კონტროლს უწევს მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი ავტომობილტრანსპორტით სარგებლობის სისწორეს;

ზ) კონტროლს უწევს მგზავრთა მომსახურების ორგანიზაციის ვაგზლებში, აერობორტებსა და ნავმისადგომებზე;

თ) კონტროლს უწევს კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობას რაიონის მოსახლეობის მომსახურების ხაზით, ეხმარება მათ სატელეფონო და საფოსტო კავშირგაბმულობის, რადიოეკვიპისა და ტელევიზიის განვითარებაში, კავშირგაბმულობის ხაზების შეკეთებასა და დაცვაში.

**მუხლი 19.** საბინაო კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო

ა) ხელმძღვანელობს საბინაო და კომუნალური მეურნეობას, აგრეთვე დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობას, რაიონული დაქვემდებარების კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, უზრუნველყოფს მათ მიერ საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებას;

ბ) კონტროლს უწევს იმ საბინაო ფონდის,

კომუნალურ საწარმოთა და ნაგებობათა მდგომარეობასა და სწორ ექსპლოატაციას, რომელიც საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ეკუთვნის; კონტროლს უწევს აგრეთვე კოოპერატიული საცხოვრებელი სახლებისა და მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი საცხოვრებელი სახლების მოვლა-პატრონობას; იღებს ზომებს მოსახლეობის სათბობით უზრუნველსაყოფად;

გ) აწვდილობს საბჭოს კუთვნილ საბინაო ფონდს; კონტროლს უწევს საცხოვრებელი ფართობის სწორ განაწილებას სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სახლებში; დადგენილ შემთხვევებში მოქალაქეებს აძლევს ერთიან ორდერებს საცხოვრებელი ფართობის დასაკავებლად;

დ) გამოატქვს გადაწყვეტილებანი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ორგანიზაციის შესახებ; რეგისტრაციაში ატარებს მათ წესდებებს და ახორციელებს კონტროლს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საქმიანობაზე;

ე) იღებს ზომებს რაიონის დასახლებული პუნქტების ელექტროფიკაციის, კანალიზაციის, წყალმომარაგებისა და გაზომომარაგებისათვის; ახორციელებს რაიონული დაქვემდებარების ელექტრო-წყალსადენების, საკანალიზაციო, თბო-გაზის ქსელებისა და ნაგებობათა ექსპლოატაციის ხელმძღვანელობას, განიხილავს და იძლევა დასკვნებს ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ აღნიშნული ქსელებისა და ნაგებობების მშენებლობის გეგმების თაობაზე; კონტროლს უწევს გამწმენდი ნაგებობებისა და მოწყობილობების მშენებლობასა და ექსპლოატაციას;

ვ) დადგენილი წესით, ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მონაწილეობას მიიღებინებს დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის სამუშაოებში; კონტროლს უწევს რაიონში განლაგებული ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის ტერიტორიის კეთილმოწყობას;

ზ) ახორციელებს კონტროლს იმაზე, რომ სათბობითა და სხვა სახის კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფილ იქნეს სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებები, ჩატარდეს მათი შენობების რემონტი და შეიქმნას საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები ამ დაწესებულებების მუშაობისათვის; რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს მკა-



თი თანხმობით მონაწილეობას მიაღებინებს აღნიშნულ ღონისძიებათა შესრულებაში;

თ) იღებს ზომებს მწვანე ნარგავთა დაცვისა და მათი ფართობის გადიდებისათვის, ხელს უწყობს საზოგადოებრივ ინიციატივას რაიონის დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისა და გამწვანების საქმეში;

ი) კონტროლს უწევს ქვემდგომი საბჭოების აღმასკომების, აგრეთვე, მიუხედავად დაქვემდებარებისა, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას იმ მოქალაქეთა აღრიცხვისათვის, რომლებსაც სჭირდებათ საცხოვრებელი ფართობი;

კ) უზრუნველყოფს სასაფლაოების, ძმათა სასაფლაოების და სხვა დასაკრძალავი ადგილების მოვლას.

**მუხლი 20.** ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დარგში მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო

ა) ხელმძღვანელობს რაიონის ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობას, საზოგადოებრივ კვებას, აგრეთვე რაიონული დაქვემდებარების სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

ბ) კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას;

გ) ამტკიცებს რაიონული დაქვემდებარების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა და ორგანიზაციათა საქონელბრუნვის სავეგმო დავალებებს; რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის წარდგინებით სასოფლო და სადაბო საბჭოების მიხედვით ამტკიცებს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა საცალო საქონელბრუნვის გეგმებს;

დ) იღებს ზომებს სამომხმარებლო კოოპერაციის მეშვეობით საკომისიო საწყისებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის გასაფართოებლად;

ე) კონტროლს უწევს სამომხმარებლო საზოგადოებათა წესდებების და სამომხმარებლო კოოპერაციის საქმეების მართვის დემოკრატიული საფუძვლების დაცვას;

ვ) ახორციელებს საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარების, საკოლმეურნეო ბაზრების მშენებლობისა და კეთილმოწყობის ღონისძიებებს; ადგენს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ფარგლებში ერთჯერადი გამოსაღებების ოდენობასა და საკოლმეურნეო ბაზრებზე გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთებს;

ზ) კონტროლს უწევს სახელმწიფო ვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების მუშაობას სოფლის მეურნეობის

პროდუქტების, გარეული ხილისა და კენკრის შესყიდვის, შენახვის, გადამუშავებისა და გაყიდვის ხაზით;

თ) კონტროლს უწევს ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვას, ზომა-წონის ხელსაწყობის მდგომარეობას, აგრეთვე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, ორგანიზაციებში, ბაზრებსა და ვაჭრობის სხვა ადგილებში სანიტარული წესების დაცვას;

ი) იღებს ზომებს საქონელბრუნვაში სამრეწველო და სასურსათო საქონლის ადგილობრივი რესურსების ჩაბმისათვის; ახორციელებს ღონისძიებებს მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის, ვაჭრობის ახალი ფორმების დანერგვისათვის.

**მუხლი 21.** საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო:

ა) ხელმძღვანელობს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას, რაიონული დაქვემდებარების საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და ორგანიზაციებს, უზრუნველყოფს საწარმო-საფინანსო გეგმების შესრულებას; კონტროლს უწევს ძირითადი ფონდების და საბრუნავი სახსრების გამოყენებას, ამტკიცებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, მიღებული მოგების დადგენილი წესით განაწილებას;

ბ) კონტროლს უწევს ზემდგომი დაქვემდებარების საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობას. საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხსა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მიერ გაწეული მომსახურებისას პრეისკურანტების სწორ გამოყენებას;

გ) სახელმწიფო მართვის ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით გამოაქვს გადაწყვეტილებები რაიონული დაქვემდებარების საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების ორგანიზაციის, რეორგანიზაციისა თუ ლიკვიდაციის თაობაზე;

დ) ახორციელებს ღონისძიებებს მომსახურების კულტურის ასამაღლებლად; ორგანიზაციის უწევს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ფორმებისა და სახეობების დანერგვას.

**მუხლი 22.** სახალხო განათლების დარგში მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო

ა) ხელმძღვანელობს სახალხო განათლების, ბავშვთა სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის საქმეს; უზრუნველყოფს საყოველთაო-სავალდებულო სწავლებას; ახორციელებს სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვას;

ბ) კონტროლს უწევს იმ საბავშვო სახლე-

ბის, ბავშვთა სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობას, რომლებიც რაიონულ ბიუჯეტზე არ იმყოფებიან;

გ) იღებს ზომებს სკოლების, საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის;

დ) ანაწილებს დადგენილი წესით საყოველთაო სწავლების ფონდს, კონტროლს უწევს მის გამოყენებას;

ე) წყვეტს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით მოქალაქეთათვის შეღავათების მიცემის საკითხებს სკოლა-ინტერნატებში, სკოლებთან არსებულ ინტერნატებში ბავშვთა შენახვის, აგრეთვე გახანგრძლივებულადლის სკოლებში (ჯგუფებში) ბავშვთა კვების საფასურის გადახდისას;

ვ) უზრუნველყოფს უდღემამოდ დარჩენილ ბავშვთა მოწყობას საბავშვო სახლებში, სკოლა-ინტერნატებში, სკოლებთან არსებულ ინტერნატებში და მოქალაქეთა ოჯახებში აღსაზრდელად; წყვეტს შვილად აყვანის საკითხებს, ხელმძღვანელობს არასრულწლოვანებზე მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეს; იცავს არასრულწლოვანთა უფლებებს, ორგანიზაციისა უწევს მუშაობას არასრულწლოვანთა უზედამხედველობის აღსაკვეთად;

ზ) ზომებს იღებს სკოლის გარეთ ბავშვთა დასვენების ორგანიზაციისათვის მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს ბავშვთა უმთვალესობისა და არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად.

**მუხლი 23.** კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისა და მეცნიერების დარგში მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო

ა) ხელმძღვანელობს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, რაიონული დაქვემდებარების კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, იღებს ზომებს მათი მატერიალურ-ფინანსური ბაზის განსამტკიცებლად, კონტროლს უწევს კულტურის სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობას მათი დაქვემდებარების მიუხედავად;

ბ) იღებს ზომებს კულტურის დაწესებულებათა საქირო კომპლექსის ორგანიზაციისათვის თვითეულ დიდ დასახლებულ პუნქტში;

გ) კონტროლს უწევს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების კულტურულ-სახსრების გამოყენებას და საქირო შემოხვევებში მათთან შეთანხმებით ახორციე-

ლებს ღონისძიებებს აღნიშნული სახსრების ცენტრალიზებულად გამოყენებისათვის;

დ) ხელმძღვანელობს მოსახლეობის კინომოსახურებას, იღებს ზომებს კინოქსელის გაფართოებისათვის;

ე) იღებს ზომებს ხალხური შემოქმედებისა და მხატვრული თვითმოქმედების განვითარებისათვის; ორგანიზაციას უკეთებს საერთოსარაიონო ღონისძიებებს კულტურის დარგში;

ვ) ხელს უწყობს მეცნიერების განვითარებას; ეხმარება მუშაობაში რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს;

ზ) ხელს უწყობს ახალი სამოქალაქო წესჩვეულებების დანერგვას ყოფა-ცხოვრებაში;

თ) უზრუნველყოფს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ისტორიული, ისტორიულ-რევოლუციური და მემორიალური კომპლექსებისა და ძეგლების, მხედრული და შრომითი დიდების, კულტურის, ხელოვნების, არქიტექტურის, არქეოლოგიური ძეგლებისა და ნაქრძალების აღრიცხვას და დაცვას;

ი) ხელს უწყობს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ მუშაობას.

**მუხლი 24.** ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო:

ა) ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის დაცვის საქმეს რაიონში, რაიონული დაქვემდებარების ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს, იღებს ზომებს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციისათვის;

ბ) ახორციელებს კონტროლს ზემდგომი დაქვემდებარების ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაობაზე;

გ) ახორციელებს საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების შენახვის სანიტარული წესებისა და დასახლებულ პუნქტებში ჯივანი სანიტარული მდგომარეობის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს; იღებს ზომებს მოსახლეობაში სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზაციისათვის;

დ) უზრუნველყოფს დასახლებული პუნქტების საწარმოო, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში, ეზოებში, ქუჩებსა და მოედნებზე ხმაურის თავიდან აცილების, მისი ინტენსიურობის შემცირებისა და აღმოფხვრის ღონისძიებათა გატარებას;

ე) ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს ატმოსფერული ჰაერის, წყლების, ნიადაგისა და ბუნებრივი ვარგისის დაცვის წესების შესე-



რულეაზე, მათ შორის სანიტარული მოთხოვნების დაცვაზე ამ დარგში;

ვ) უზრუნველყოფს ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების, აგრეთვე მათი ლიკვიდაციის ღონისძიებათა განხორციელებას; ებიდემიური ინფექციური დაავადებების გაჩენის ან გავრცელების საშიშროების შემთხვევაში დადგენილი წესით შემოიღებს რაიონის ტერიტორიაზე შრომის, სწავლის, მოძრაობისა და გადაზიდვა-გადმოზიდვის განსაკუთრებულ პირობებსა და რეჟიმებს, რომლებიც ითვალისწინებენ ამ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილებას და ლიკვიდაციას;

ზ) ორგანიზაციას უწევს დედათა და ბავშვთა დაცვას: უზრუნველყოფს გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარებას ბავშვებსა და მოზარდებს შორის, კონტროლს უწევს ბავშვებისა და მოზარდებისათვის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციას;

თ) მონაწილეობას იღებს ადგილების კურორტად ცნობის, კურორტების სანიტარული დაცვის ზონების საზღვრების დადგენისა და მათი რეჟიმის განსაზღვრის საკითხთა გადაწყვეტაში;

ი) ხელმძღვანელობას უწევს სასამართლოს მიერ არაქმედუნარიანად ან შეზღუდულ ქმედუნარიანობის მქონედ მიჩნეულ სრულწლოვან პირებზე მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეს;

კ) წარმართავს წითელი ჯვრის საქართველოს სსრ საზოგადოების საქმიანობას;

ლ) ხელმძღვანელობას უწევს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეს; ორგანიზაციას უკეთებს საერთო-სარაიონო სპორტულ ღონისძიებათა ჩატარებას;

მ) ამტკიცებს რაიონის ტერიტორიაზე სპორტულ შენობათა და ნაგებობათა განლაგების გეგმებს მათი დაქვემდებარების მიუხედავად;

ნ) იღებს ზომებს მასობრივი დასვენების ზონების განვითარებისათვის, მათი აღჭურვისა და კეთილმოწყობისათვის, კონტროლს უწევს ამ ზონების გამოყენებას.

**მუხლი 25.** შრომისა და კადრების მომზადების დარგში მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო:

ა) აწარმოებს შრომითი რესურსების აღრიცხვას და აწესრიგებს მათს განაწილებას რაიონის ტერიტორიაზე, ახორციელებს მათი რაციონალური გამოყენების ღონისძიებებს; ორგანიზაციას უწევს მოქალაქეთა შრომის მოწყობას;

ბ) ახორციელებს კონტროლს შრომის კანონმდებლობის შესრულებაზე, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვა-

ზე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

ვ) ამტკიცებს იმ ახალგაზრდა შრომითი მოწყობის გეგმებს, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ამთავრებენ, და უზრუნველყოფს, რომ ეს გეგმები შეასრულოს ყველა საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ.

დ) დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებს, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებს, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებს მუშაობაში და მოსწავლეებით მათ დაკომპლექტებაში; ახორციელებს კონტროლს მასობრივ პროფესიათა კადრების მომზადებასა და გადამზადებაზე კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში;

ე) უზრუნველყოფს მუშების ორგანიზებული შეგროვებისა და ჩასახლების გეგმების შესრულებას; ახორციელებს კონტროლს იმაზე, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეასრულონ ვალდებულებანი ორგანიზებული შეგროვების წესით ჩამოსული მუშებისა და ჩასახლებელი მოსახლეობისათვის საჭირო საწარმოო და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის;

ვ) ხელს უწყობს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას, შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებას და მისი ნაყოფიერების ამაღლებას, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას;

ზ) გეგმავს რაიონისათვის საჭირო სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა დარგების მუშაკების კონტიგენტს. უზრუნველყოფს ამ კადრების სწორ განაწილებას, გამოყენებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;

თ) ადგენს რაიონის მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის დღეებსა და საათებს.

**მუხლი 26.** სოციალური უზრუნველყოფის დარგში მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო:

ა) ხელმძღვანელობს სოციალური უზრუნველყოფის საქმეს; უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი პენსიებისა და დახმარებების დროულად და სწორად დანიშვნასა და გადახდას, მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებისა და უპირატესობების მიცემას.



ბ) ახორციელებს კონტროლს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდსა და კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში კოლმეურნეობათა სახსრების ანარიცხების დროულად შეტანაზე; ქმნის კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ საბჭოს და კონტროლს უწევს მის საქმიანობას;

გ) აღძრავს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შუამდგომლობებს პერსონალური პენსიების დანიშვნის შესახებ;

დ) ახორციელებს ღონისძიებებს ინვალიდების, სამხედრო მოსამსახურეთა, დაღუპულ მეომართა და პარტიზანთა ოჯახების წევრების შრომათი მოწყობისათვის, ორგანიზაციას უწევს ინვალიდთა პროფესიულ სწავლებას; უზრუნველყოფს ისეთ წარმოებების ორგანიზაციას, რომლებშიც შესაძლებელია ინვალიდთა შრომის გამოყენება;

ე) განიხილავს სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებში მოქალაქეთა გაგზავნასთან დაკავშირებულ საკითხებს: კონტროლს უწევს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებების მუშაობას;

ვ) ხელმძღვანელობს იმ სრულწლოვან პირებზე მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეს, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებანი და შესაძლონი თავიანთი მოვალეობანი, იღებს ზომებს მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად;

ზ) ახორციელებს კონტროლს საეკიმო-შრომათი ექსპერტიზის ორგანოების მუშაობაზე;

თ) ახორციელებს კონტროლს იმაზე, რომ სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა სწორად დაუნიშნონ და მისცენ დახმარება იმ პირებს, რომლებსაც არა აქვთ პენსიის მიღების უფლება;

ი) ეხმარება მუშაობაში უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებებს.

**მუხლი 27.** სახალხო კონტროლის განხორციელების, სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის, სახელმწიფო, საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის დარგში მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო:

ა) ქმნის სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტს და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას; იღებს ზომებს რაიონის ტერიტორიაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის


განხორციელებაში მშრომელთა მონაწილეობის კოორდინაციისათვის;

ბ) უზრუნველყოფს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონების და სახელმწიფო ხელისუფლების შემდგომი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების სხვა აქტების დაცვას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და კანონით უზრუნველყოფილი ინტერესების დაცვას; ორგანიზაციას უკეთებს მოსახლეობისათვის კანონმდებლობის ახსნა-განმარტების და იურიდიული დახმარების გაწევს საქმეს; ებრძვის ზედმეტობებს, მფლანგველობასა და კუთხურობას რაიონის მეურნეობებში;

გ) საჭირო შემთხვევებში აუქმებს საბჭოებისადმი დაქვემდებარებული მართვის ორგანოების, აგრეთვე რაიონული დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და განკარგულებებს; აუქმებს კოლმეურნეთა საერთო კრებების (რწმუნებულთა კრებების, სამომხმარებლო საზოგადოებების მეპაიეთა საერთო კრებების (რწმუნებულთა კრებების), რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობათა, რაიკოოპკავშირისა და სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციასა და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების საბჭოების, საბინაო-სამშენებლო კოოპერაციების იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კანონმდებლობას ეწინააღმდეგებიან;

დ) შეაჩერებს მიწათსარგებლობის, დასახლებული ბუნქტების განაშენიანების, კეთილმოწყობის, საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, ბუნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე შემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა იმ ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულებას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონმდებლობას და ამის შესახებ აცნობებს შესაბამის შემდგომ ორგანოს;

ე) უზრუნველყოფს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად და სწორად განხილვასა და გადაწყვეტას; ამოწმებს, თუ როგორ განიხილავენ მოქალა-



ქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში, ისმენს ამ საკითხებზე მათ ხელმძღვანელთა ანგარიშებს;

ვ) იღებს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით გადაწყვეტილებებს, რომლებიც ითვალისწინებენ მათი დარღვევისათვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას დადგენილ ფარგლებში;

ზ) ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა დაქვემდებარებულ ორგანოებს; უზრუნველყოფს საპასპორტო სისტემის წესების დაცვას;

თ) თვალყურს ადევნებს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ შრომა-გასწორების დაწესებულებათა საქმიანობას იმ უფლებების ფარგლებში, რომლებიც მინიჭებული აქვს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონმდებლობით;

ი) ხელმძღვანელობს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების მუშაობასა და რაიონულ არქივს;

კ) ხელს უწყობს მუშაობაში სასამართლოს, პროკურატურის და იუსტიციის სხვა ორგანოებს;

ლ) ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმებისა და ამხანაგური სასამართლოების საქმიანობას;

მ) ხელმძღვანელობს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საქმეს რაიონის ტერიტორიაზე, ახორციელებს კონტროლს ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების მუშაობაზე;

ნ) იღებს ზომებს სტიქიურ უბედურებათა თავიდან აცილებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციისთვის; საჭირო შემთხვევებში სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლაში და მისი შედეგების სალიკვიდაციოდ ჩააბამს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებს, აგრეთვე მოსახლეობას;

ო) ორგანიზაციას უწყევს სამუშაოებს მდინარეებზე, ტბებსა, ზღვისპირა უბნებში, წყალსაცავებსა და სხვა წყალსატევებში ადამიანთა სიცოცხლის დასაცავად;

პ) კონტროლს უწყევს რელიგიური კულტების შესახებ კანონმდებლობის დაცვას.

**მუხლი 28.** თავდაცვითი მუშაობის დარგში მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო:

ა) უზრუნველყოფს საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ სსრ კავშირის კანონის შესრულებას ყველა თანამდებობის პირის

და მოქალაქის, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ;

ბ) ხელმძღვანელობს სამოქალაქო თავდაცვას რაიონის ტერიტორიაზე;

გ) ხელს უწყობს ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ჩატარებას, აგრეთვე სასწავლო შეიქმნებისა და დაწყებითი სამხედრო მომზადების ორგანიზაციასა და ჩატარებას;

დ) კონტროლს უწყევს თადარიგში დათხოვნილ და სსრ კავშირის შეირაღებულ ძალთარიგებიდან დემობილიზებულ მოქალაქეთა შედევთებისა და უპირატესობების შესახებ კანონმდებლობის დაცვას;

ე) ეწევა მუშაობას მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის; საბრძოლო ტრადიციების პროპაგანდისათვის; ავითარებს მშრომელთა კოლექტივების სამეფო კავშირ-ურთიერთობას სამხედრო ნაწილებთან; ხელს უწყობს თავდაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობას.


**მუხლი 29.** მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო განიხილავს და აღძრავს შუამდგომლობებს სსრ კავშირის, ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების, „გმირი ღვდის“ საპატიო წოდების მინიჭების და საქართველოს სსრ ჯილდოებით დაჯილდოების, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ.

**მუხლი 30.** მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭო, გარდა იმ საკითხებისა, რომლებსაც ითვალისწინებს ეს კანონი, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე კანონები აფხაზეთის და აჭარის ასსრ მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს შესახებ, გადაწყვეტს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებსაც, რომლებიც სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონმდებლობამ მის გამგებლობას მიაკუთვნა.

**თავი III**  
**მშრომელთა დეპუტატების**  
**რაიონული საბჭოს**  
**მუშაოების ორგანიზაცია**  
**1. მშრომელთა დეპუტატების**  
**რაიონული საბჭოს სესია**

**მუხლი 31.** მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს სესიას იწვევს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წელიწადში არანაკლებ ექვსჯერ ესე იგი ორ თვეში ერთხელ.





მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესია შეიძლება მოიწვიონ რაიონული საბჭოს დეპუტატების საერთო რიცხვის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

**მუხლი 32.** ახლად არჩეული მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს პირველ სესიის იწვევს წინა მოწვევის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა არჩევნების შემდეგ და მას ხსნის ერთ-ერთი ასაკით უხუცესი დეპუტატი. რაიონული საბჭოს შემდგომ სესიებს ხსნის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

სესიის გაძღოლისათვის რაიონული საბჭო დეპუტატთაგან ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს პირველ სესიას ახლად შექმნილ რაიონში იწვევენ არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა რაიონის შექმნის დღიდან. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოეწოება ახლად შექმნილი რაიონის საბჭოს არჩევნები, — არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა შესაბამისი რაიონული საბჭოს არჩევნების დღიდან.

ახლად შექმნილი რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, აფხაზეთის და აჭარის ასსრ) დაქვემდებარების რაიონული საბჭოს პირველ სესიას იწვევს შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმი, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

**მუხლი 33.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას სესიის მოწვევის თარიღისა და ჩატარების ადგილის შესახებ, აგრეთვე საკითხებს, რომლებსაც საბჭოს წარუდგენენ განსახილველად, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დეპუტატებს აცნობებს და მოსახლეობას აუწყებს სესიის გახსნამდე არა უგვიანეს ათი დღისა.

**მუხლი 34.** საბჭოს სესიის ოქმს ხელს აწერენ სესიის თავმჯდომარე და მდივანი.

**მუხლი 35.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესია უფლებამოსილია, თუ მას ეცხრება რაიონული საბჭოს დეპუტატების საერთო რიცხვის სულ ცოტა ორი მესამედი.

რაიონული საბჭოს სესიის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ შემდგომი საბჭოების დეპუტატებმა. აგრეთვე სესიაზე მოწვეულმა ქვე-

მდგომი საბჭოების დეპუტატებმა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

**მუხლი 36.** საკითხები მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესიის განსახილველად შეაქვთ რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მუდმივ კომისიებსა და დეპუტატებს.

წინადადებები რაიონული საბჭოს სესიის დღის წესრიგთან დაკავშირებით შეიძლება წარმოადგინონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაიონულმა ორგანოებმა.

სესიის დღის წესრიგსა და მუშაობის წესს ამტკიცებს რაიონული საბჭო.

სესიის დღის წესრიგში ამა თუ იმ საკითხის შეტანა ხდება რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულია საბჭოს დეპუტატების საერთო რიცხვის ხმათა უბრალო უმრავლესობით.

**მუხლი 37.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესიაზე შეიძლება განხილულ იქნეს და გადაწყდეს ყველა საკითხი, რომლებიც რაიონული საბჭოს გამგებლობას განეკუთვნება: ამასთან მხოლოდ სესიებზე შეიძლება განხილულ იქნეს და გადაწყდეს შემდეგი საკითხები;

ა) დეპუტატთა რწმუნებების ცნობა; დეპუტატთა რწმუნებების მოხსნა დეპუტატთა პირადი განცხადებების საფუძველზე;

ბ) აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა და მისი შემადგენლობის შეცვლა; მუდმივი კომისიების შექმნა, არჩევა და მათი შემადგენლობის შეცვლა;

გ) ანგარიშები აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ;

დ) აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნა, მათი ხელმძღვანელების თანამდებობაზე დამტკიცება და განთავისუფლება;

ე) აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების სტრუქტურისა და შტატების დამტკიცება საქართველოს სსრ-ში მიღებული ნორმატივებისა და ამ აღმასკომისათვის დადგენილი აღმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობის შესაბამისად;

ვ) სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის შექმნა, მისი შემადგენლობის დამტკიცება, სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნა და განთავისუფლება;

ზ) აღმასრულებელ კომიტეტთან აღმინისტრაციული და სამეთვალყურეო კომისიების,



არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შექმნა;

თ) რაიონული სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის დამტკიცება;

ი) რაიონის მეურნეობის განვითარებისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრები პერსპექტიული და წლიური გეგმების დამტკიცება: კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის სახელმწიფო შესყიდვის საგეგმო დავალებათა დამტკიცება;

კ) ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმების დამტკიცება;

ლ) გადაწყვეტილებათა მიღება დებუტატთა შეკითხვების გამო;

მ) რაიონის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება;

ნ) აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა დამტკიცება რაიონული ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავლის აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადაშვების იმ თანხების გამოყენების შესახებ, რაც იქმნება წლის დამლევის შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან გასავლის ნაწილში მომჭირნეობის შედეგად;

ო) რაიონული დაგეგმარების სქემის განხილვა და მისი დასამტკიცებლად წარდგენა სახელმწიფო მართვის შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

**მუხლი 38.** მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებებს იღებენ ღია კენჭისყრით რაიონული საბჭოს დებუტატთა საერთო რიცხვის ხმების უბრალო უმრავლესობით და მათ ხელს აწერენ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებებს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობის არჩევის ან შეცვლის შესახებ ხელს აწერენ საბჭოს სესიის თავმჯდომარე და მდივანი.

**მუხლი 39.** მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც ითვალისწინებენ აღმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მათი დარღვევისათვის ძალაში შედიან პრესაში გამოქვეყნებიდან 15 დღის შემდეგ და მოქმედებენ იმ ვადის განმავლობაში, რომელიც მითითებულია გადაწყვეტილებაში, მაგრამ არა უმეტეს საბჭოს უფლებამოსილების ვადისა.

გადაუდებელ შემთხვევებში (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ეპიზოტია) გადაწყვეტილება შეიძლება სამოქმედოდ შემოდებულ იქნას მისი გამოქვეყნების დღიდან.

**მუხლი 40.** მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებებს რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ატყობინებს დაინტერესებულ ორგანიზაციებს. თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს შვიდი დღის ვადაში.

რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებებში მოცემული წინადადებები და რეკომენდაციები რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მისამართით უნდა განიხილოს ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და განხილვის შედეგები შეატყობინონ საბჭოს ათი დღის ვადაში.

**მუხლი 41.** მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებები შეუძლია გააუქმოს მშრომელთა დებუტატების ზემდგომი საბჭომ და შეაჩეროს ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტმა.

რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონის მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს გადაწყვეტილებები (საქართველოს სს რესპუბლიკაში, აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკებში) შეუძლიათ გააუქმონ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა და შეაჩეროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა.

**მუხლი 42.** მშრომელთა დებუტატების რაიონულ საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს მშრომელთა დებუტატების ქვემდგომი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

**2. მშრომელთა დავუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი**

**მუხლი 43.** მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო, რომელსაც ირჩევენ დებუტატთა რიცხვიდან შემდეგი შემადგენლობით — საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, მდივანი და 3-დან 9-მდე წევრი.

რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს რაიონული საბჭო.

**მუხლი 44.** რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების რაიონის მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ ანგარიშვალდე-

მულია მისი ამრჩევი საბჭოს, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოების წინაშე.

რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონის (აფხაზეთის და აჭარის ასსრ) რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ ანგარიშვალდებულია მისი ამრჩევი საბჭოს, აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების წინაშე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ ანგარიშვალდებულია მისი ამრჩევი საბჭოს, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს წინაშე.

**მუხლი 45.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ხელმძღვანელობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას რაიონის ტერიტორიაზე რაიონული საბჭოს, სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მართვის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს და წყვეტს საკითხებს, რომლებიც საბჭოს გამგებლობას განეკუთვნება, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც ამ კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად განხილულ უნდა იქნეს და გადაწყდეს მხოლოდ საბჭოს სესიებზე.

**მუხლი 46.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იწვევს საბჭოს სესიებს და უზრუნველყოფს მათს მომზადებას; ორგანიზაციას უწევს უმწინვენილოვანეს საკითხებზე საბჭოს გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვას მოსახლეობის მიერ;

**მუხლი 47.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში კოორდინაციას უწევს საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობას, ჩაბაძს მათ იმ საკითხების მომზადებაში, რომლებსაც განიხილავს საბჭოს სესიებზე და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე, აცნობს კომისიებს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის გეგმებს, ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს, განაზოგადებს და ავრცელებს მუდმივი კომისიების გამოცდილებას, უზრუნველყოფს მათთვის ტექნიკური მომსახურების გაწევას, განიხილავს კომისიების მიერ წარდგენილ წინადადებებს.

**მუხლი 48.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საჭირო დახმარებას უწევს დეპუტატებს მათ მიერ დეპუტატის მოვალეობათა შესრულებაში,

ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშის მომზადებასა და ჩაბარებაში, ინფორმაციას აწვდის დეპუტატებს საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების მსვლელობის შესახებ, იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიიღეს საბჭოს სესიებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების გამო და საბჭოს სესიათა შორის პერიოდში გაწეული მუშაობის ძირითადი საკითხების შესახებ.

**მუხლი 49.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წარადგენს საბჭოს დასამტკიცებლად რაიონის მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, რაიონის ბიუჯეტსა და მისი შესრულების ანგარიშს.

აღმასრულებელი კომიტეტი მოახსენებს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს რაიონის მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების, და ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

**მუხლი 50.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წარადგენს საბჭოს დასამტკიცებლად ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმებს და ორგანიზაციას უკეთებს მათს შესრულებას, აცნობებს დეპუტატებსა და მოსახლეობას, თუ როგორ სრულდება განაწესები.

**მუხლი 51.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ხელმძღვანელობს უწევს სასოფლო, სადაზო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობას და ეხმარება მათ თავიანთი საქმისნობის ორგანიზაციაში, შეისწავლის და განაზოგადებს ქვემდგომი საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების გამოცდილებას.

**მუხლი 52.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ხელმძღვანელობს უწევს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებს, რაიონული დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს; საბჭოს სესიებს შორის პერიოდში ნიშნავს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელთა მოვალეობის შემსრულებლებს და ვადაყენებს მოვალეობის შესრულებისაგან აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებს, რაც შემდგომ უნდა დამტკიცდეს მორიგ სესიებზე.

რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომი-



ტეტი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა და სამმართველოთა სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს, რაიონული დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს (თანამდებობათა იმ სიის შესაბამისად, რომელსაც რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამტკიცებს სახელმწიფო მართვის ზემდგომ ორგანოსთან შეთანხმებით).

რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია განსახილველად მიიღოს საკითხები, რომლებიც მისი განყოფილებებისა და სამმართველოების გამგებლობაშია.

**მუხლი 53.** ზემდგომი დაქვემდებარების ვაკრობის, სასოგადოებრივი კვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და კულტურის იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების თანამდებობაზე დანიშვნა და განთავისუფლება, რომლებიც განლაგებულია რაიონის ტერიტორიაზე და რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მისი მოსახლეობის მომსახურებისათვის, ხდება მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

**მუხლი 54.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს რაიონის ტერიტორიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, რაიონული, (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას.

**მუხლი 55.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს და იძლევა განკარგულებებს მისთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 56.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს იწვევენ საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ ორჯერ თვეში.

რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომი-

ტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება აღმასრულებელი კომიტეტის საერთო შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.

რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებმა და წევრებმა, საბჭოს დეპუტატებმა, საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებმა, რომლებიც არ შედიან მის შემადგენლობაში, აგრეთვე საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მოწვეულმა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებების და სხვა სახელმწიფო და სასოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებს იღებენ აღმასრულებელი კომიტეტის მთელი შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით და მათ ხელს აწერენ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებებს ხელს აწერს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

**მუხლი 57.** რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი შეიძლება გააუქმოს მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა საბჭომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ.

რესპუბლიკური (აფხაზეთის და აჭარის ასსრ) დაქვემდებარების რაიონის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი შეიძლება გააუქმოს მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა საბჭომ, აფხაზეთის ან აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი შეიძლება გააუქმოს მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა საბჭომ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

**მუხლი 58.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს გააუქმოს მშრომელთა დეპუტატების ქვემდგომი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი და შეაჩეროს მშრომელთა დეპუტატების ქვემდგომი საბჭოების გადაწყვეტილებანი.

**მუხლი 59.** მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იღებს ზომებს მოსახლეობის ფართო მასების მისაზიადად სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მონაწილეობისათვის და როგორც უშუალოდ, ისე სასოფლო, სადაბო, ქუჩის, კვარტალის, საბინაო კომიტეტების, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების, ამხანაგური სასამართლოების, ქალთა საბჭოების, მშობელთა კომიტეტებისა და სხვა საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანოების მეშვეობით, ყოველმხრივ დახმარებას უწევს მათ მუშაობაში.

**მუხლი 60.** მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს და ორგანიზაციას უწევს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობას, რაიონული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულებას, იძლევა განკარგულებებს.

რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე არის რაიონული ბიუჯეტის კრედიტების განმკარგულებელი და რაიონული საბჭოს აღმასკომის მიმდინარე ანგარიშის განმკარგულებელი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში.

**მუხლი 61.** მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები განაგებენ, თანახმად მოვალეობათა განაწილებისა, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგებს, აღმასკომის შესაბამისი განყოფილებების და სამმართველოს საქმიანობას, ორგანიზაციას უწევენ საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებების შესრულებას ამ დარგებში.

**მუხლი 62.** მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შდივანი ორგანიზაციას უწევს მასალების მომზადებას რაიონული საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად უზრუნველყოფს საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა თავის დროზე დაყვანას დაინტერესებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციებამდე, პასუხისმგებელია საქმის წარმოების, აღრიცხვისა და ანგარიშგებისათვის.

მდივნის არყოფნის დროს (ავადმყოფობა, შვებულება და სხვ.) მის მოვალეობას აკისრებენ აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთ წევრს.

**მუხლი 63.** მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი წელიწადში ერთხელ მაინც აბარებს ანგარიშს თავისი მუშაობის შესახებ მის ამრჩევ საბჭოს, აგრეთვე მშრომელთა კრებებს კოლმეურნოებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, სხვა ორგანიზაციებში და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილებზე.

**მუხლი 64.** მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს უფლებამოსილების გასვლის შემდეგ რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ინარჩუნებს თავის უფლებამოსილებას ახლად არჩეული რაიონული საბჭოს მიერ ახალი აღმასრულებელი კომიტეტის შექმნამდე.

**მუხლი 65.** მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები იქმნება საქართველოს სსრ კანონმდებლობის, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონმდებლობათა შესაბამისად და ისინი იმყოფებიან ბიუჯეტზე ან სამეურნეო ანგარიშზე.

რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების სტრუქტურა და შტატები განისაზღვრება საქართველოს სსრ-ში მიღებული ნორმატივებისა და ამ აღმასკომისათვის დადგენილი აღმინისტრაციულ-სამმართველო ბერსონლის რაოდენობის შესაბამისად. შტატები განისაზღვრება დადგენილი წესით, ხელფასის ფონდის ფარგლებში.

რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მის განყოფილებათა და სამმართველოთა კომპეტენციას განსაზღვრავენ დებულებები, რომლებსაც ამტკიცებს, შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები.

**მუხლი 66.** მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები თვითნებ საქმიანობაში ექვემდებარებიან როგორც რაიონულ საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე სახელმწიფო მართვის შესაბამის შემდგომ დარგობრივ ორგანოს.

**მუხლი 67.** მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელები განყოფილებებისა და სამმართველოების კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ ბრძანებებს რაიონული საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და ამ გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების



შესასრულებლად, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების და სახელმწიფო მართვის ზემდგომი ორგანოების აქტების საფუძველზე.

**მუხლი 68.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებენ საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე მშრომელთა კრებებს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, სხვა ორგანიზაციებში და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილებზე.

**მუხლი 69.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ახორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს აღმასრულებელ კომიტეტთან რაიონული საბჭოს მიერ შექმნილი ადმინისტრაციული, სამეთვალყურეო და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების საქმიანობაზე, აღნიშნული კომისიების კომპეტენციას განსაზღვრავენ დებულებები, რომლებსაც ატკიცებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები.

რაიონული საბჭო აღმასრულებელ კომიტეტთან ქმნის აგრეთვე სხვა კომისიებს, რომელთა საჭიროებას ადგენს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობა, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონმდებლობა.

რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს თავისი საქმიანობის საკითხებზე შეუძლია შექმნას სხვა კომისიებიც, რომელთა ამოცანები განისაზღვრება მათი შექმნისთანავე.

**3. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიები**

**მუხლი 70.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო იმისათვის, რომ შეისწავლოს, წინასწარ განიხილოს და მოამზადოს საკითხები, რომლებიც საბჭოს გამგებლობას განეკუთვნება, და აქტიურად შეუწყოს ხელი მისი გადაწყვეტილებების განხორციელებას, ქმნის მუდმივ კომისიებს თავისი უფლებამოსილების ვადით.

მუდმივი კომისიები მოწოდებული არიან თავიანთი საქმიანობით ხელი შეუწყონ საბჭოს შეუფერხებელ და ეფექტიან მუშაობას.

**მუხლი 71.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიების ძირითადი ამოცანებია:

წინადადებების, შემუშავება რაიონული საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად;

დასკვნების მომზადება რაიონული საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეტანილ საკითხებზე;

მონაწილეობა ორგანიზატორულ მუშაობაში რაიონული საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების პრაქტიკულად განხორციელებისათვის;

კონტროლის გაწევა იმაზე, თუ როგორ ახორციელებენ რაიონული საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს, აგრეთვე როგორ იცავენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობას, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონმდებლობას რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

**მუხლი 72.** მუდმივ კომისიებს ირჩევს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო საბჭოს დეპუტატთა რიცხვიდან კომისიის თავმჯდომარისა და წევრების შემადგენლობით.

მუდმივი კომისიის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს რაიონული საბჭო.

ყოველი მუდმივი კომისია თავის წევრთაგან ირჩევს კომისიის მდივანს და საჭირო შემთხვევაში — კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

მუდმივი კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნენ დეპუტატები, რომლებიც შედიან რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში, აგრეთვე დეპუტატები — რაიონის სახალხო მოამართლენი და პროკურორი.

**მუხლი 73.** მუდმივი კომისიები პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი არიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს წინაშე.

მუდმივი კომისიები თავისი საქმიანობის შესახებ პერიოდულად ანგარიშს აბარებენ საბჭოს.

**მუხლი 74.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო ქმნის სამანდატო კომისიას, საგემო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიას, ახალგაზრდობის საქმეთა კომისიას, აგრეთვე ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგების მუდმივ კომისიებს.

**მუხლი 75.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სამანდატო კომისია

ა) ამოწმებს საბჭოს დეპუტატთა რწმუნებებს და საბჭოს განსახილველად წარადგენს წინადადებებს არჩეული დეპუტატების რწმუნებათა ცნობის შესახებ ან ცალკეული დეპუტატების არჩევნების გაუქმების შესახებ;

ბ) ამზადებს და რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შეაქვს წინადადებანი გასულ დეპუტატთა ნაცვლად საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მოწყობის საკითხებზე;

გ) იძლევა დასკვნებს დეპუტატთა ხელშეუხებლობასთან და ვაჭვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აგრეთვე დეპუტატთა გაცხადებებზე დეპუტატის მოვალეობის შესრულებისაგან მათი განთავისუფლების შესახებ.

**მუხლი 76.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს საგვემო-საბიუჯეტო კომისია

ა) განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ რაიონის მეურნეობის განვითარებისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს და იძლევა მათზე თავის დასკვნებს;

ბ) განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ რაიონის ბიუჯეტს, ანგარიშს მისი შესრულების შესახებ და იძლევა მათზე თავის დასკვნას;

გ) განიხილავს და ათანხმებს საბჭოს სხვა მუდმივ კომისიათაგან შემოსულ შენიშვნებსა და წინადადებებს რაიონის მეურნეობის განვითარებისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების გამო, რაიონის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის შესახებ.

დ) ეწევა მუშაობას შიდასამეურნეო რეზერვებისა და ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლის გამოვლენისა და სახელმწიფო სახსრების ხარჯვისას ეკონომიის რეჟიმის გაძლიერებისათვის;

ე) ახორციელებს კონტროლს რაიონის მეურნეობის განვითარების, სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმებისა და რაიონის ბიუჯეტის შესრულებაზე;

ვ) მონაწილეობას იღებს საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეტანილი სხვა საგვემო და საბიუჯეტო-საფინანსო საკითხების მომზადებაში.

**მუხლი 77.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისია

ა) მონაწილეობას იღებს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შე-

მუშაობასა და განხორციელებაში რაიონის ტერიტორიაზე;

ბ) იძლევა დასკვნებს რაიონული საბჭოს იმ გადაწყვეტილებათა პროექტებზე, რომლებიც ითვალისწინებენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მათი დარღვევისათვის;

გ) მონაწილეობას იღებს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამართველოებში, კოლმეურნოებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში სოციალისტური კანონიერების დაცვის შემოწმებაში, მოქალაქეთა წინადადებების, გაცხადებების, საჩივრების განხილვის და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის საქმეთა მდგომარეობის შემოწმებაში;

დ) დახმარებას უწევს მუშაობაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობით სახალხო რაზმებს და ამხანაგურ სასამართლოებს. მონაწილეობს მოსახლეობას შორის სამართლებრივი პროპაგანდის ორგანიზაციაში.

**მუხლი 78.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისია

ა) ამზადებს და საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეაქვს გადაწყვეტილებათა პროექტები და სხვა წინადადებები ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების, პროფესიული სწავლების, შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის, სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში მისი მონაწილეობის საკითხებზე;

ბ) წინასწარ განიხილავს მისთვის დასკვნისათვის გადაცემულ საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა პროექტებს კომისიის გამგებლობაში მყოფ საკითხებზე და ამზადებს შესაბამის დასკვნებს;

გ) მონაწილეობს კომისიის გამგებლობაში მყოფ საკითხებზე რაიონის მეურნეობის განვითარებისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების, რაიონის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის წინასწარ განხილვაში.

**მუხლი 79.** სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგების მიხედვით შექმნილი მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიები.

ა) მონაწილეობას იღებენ საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეტანილი სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის შესაბამისი დარგების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების მომზადებაში;



ბ) წინასწარ განიხილავენ რაიონული მეურნეობის განვითარებისა და რაიონის სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების, რაიონის ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის შესაბამის განყოფილებებს, შეაქვთ მათთან დაკავშირებით თავიანთი შენიშვნები და წინადადებები;

გ) ეწევიან მუშაობას სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის და კეთილმოწყობის განვითარებისათვის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის დამატებითი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოვლინების მიზნით; ამზადებენ ამ საკითხებზე წინადადებებს და შეაქვთ ისინი საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად;

დ) ამოწმებენ თავიანთი რწმუნებების ფარგლებში საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობას; შემოწმების შედეგების თაობაზე წარადგენენ წინადადებებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა განსახილველად, ხოლო საჭირო შემთხვევაში შეაქვთ წინადადებები საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად.

**მუხლი 80.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს მუდმივ კომისიებს მათი გამგებლობისათვის განკუთვნილ საკითხებზე უფლება აქვთ თავიანთ სხდომებზე მოისმინონ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებები და განცხადებები და მისცენ მათ რეკომენდაციები.

მუდმივი კომისიის რეკომენდაციების განხილვა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, აგრეთვე რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ სავალდებულოა. განხილვის შედეგების ან მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს მუდმივ კომისიას არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა ან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში.

მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ საჭირო შემთხვევებში რაიონული საბჭოს აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მოსთხოვონ შესაბამისი მასალები და საბუთები.

**მუხლი 81.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს შეუძლია შექმნას დროებითი კომისიები, დროებითი კომისიების ამოცანებს მათი შექმნისთანავე განსაზღვრავს რაიონული საბჭო.

**4. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი**

**მუხლი 82.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის დღიდან და მთავრდება ახალი მოწვევის რაიონული საბჭოს არჩევნების დღეს.

**მუხლი 83.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს რაიონული საბჭოს მუშაობაში, შეასრულოს მისი დავალებანი, მუდმივი კავშირი იქონიოს ამომრჩევლებთან, ინფორმაცია მიაწოდოს მათ საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესახებ; მიაღწიოს იმას, რომ განხორციელდეს ამომრჩეველთა განაწესები და წინადადებები; აწარმოოს მოქალაქეთა მიღება და დახმარება აღმოუჩინოს მათ წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების გადაწყვეტაში; განუმარტოს მოსახლეობას კანონები.

**მუხლი 84.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი კომისიების განსახილველად შეიტანოს წინადადებანი დეპუტატის საქმიანობისას გამოჭრილ საკითხებზე.

**მუხლი 85.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის ან მუდმივი კომისიების დავალებით მონაწილეობს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობის შემოწმებაში და შეაქვს თავისი წინადადებები შემოწმების შედეგების თაობაზე.

**მუხლი 86.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატს ან დეპუტატთა ჯგუფს უფლება აქვთ შეკითხვით მიმართონ სესიაზე აღმასრულებელ კომიტეტს, მის განყოფილებებისა და სამმართველოების, რაიონ-



ნის ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელების ნებისმიერ საკითხზე, რომელიც განეკუთვნება რაიონული საბჭოს კომპეტენციას.

რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებსაც ეხებათ დეპუტატის შეკითხვა, ვალდებული არიან პასუხი გასცენ შეკითხვას საბჭოს სესიაზე, ხოლო თუ უფრო მეტი დროა საჭირო პასუხის მოსამზადებლად — იმ ვადაში, რომელიც რაიონულმა საბჭომ დაადგინა, ამასთან აუცილებლად უნდა გაკეთდეს განცხადება ამის შესახებ სესიაზე. დეპუტატის შეკითხვაზე გაცემული პასუხის მიხედვით რაიონული საბჭო იღებს გადაწყვეტილებას.

**მუხლი 87.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატს შეუძლია დეპუტატობის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართოს აღმასკომის განყოფილებებისა და სამმართველოების, აგრეთვე რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებიც ვალდებული არიან პასუხი გასცენ დეპუტატის მიმართვას არა უგვიანეს ათი დღის ვადისა, და ხელი შეუწყონ მას სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებაში.

**მუხლი 88.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის, აფხაზეთის და აჭარის ასსრ კონსტიტუციების შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს ამომრჩევლებს თავისი მუშაობისა და რაიონული საბჭოს მუშაობის შესახებ.

რაიონული საბჭოს დეპუტატის მიერ ანგარიშის ჩაბარება ხდება წელიწადში ორჯერ მაინც. ამომრჩეველთა მოთხოვნით დეპუტატის მიერ ანგარიშის ჩაბარება შეიძლება მოეწყოს ნებისმიერ დროს.

**მუხლი 89.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი სესიის, აღმასრულებელი კომიტეტისა და იმ მუდმივი კომისიის სხდომის დროს, რომლის შემადგენლობაშიცაა იგი არჩეული, თავისუფლდება თავისი საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობისაგან, ამასთან ენახება საშუალო გამომუშავება (ხელფასი) მუდმივ სამუშაო ადგილზე.

5. საბჭოთა სამართალი № 6.

**მუხლი 90.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატს დეპუტატის მოვალეობის შესრულებისას უფლება აქვს რაიონის ფარგლებში უფასოდ იმგზავროს საერთო სარგებლობის ყველა სახეობის ადგილობრივი ტრანსპორტით.

**მუხლი 91.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება ადმინისტრაციის ინიციატივით დაითხოვონ საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან ან გარიცხონ კოლმეურნეობიდან, აგრეთვე რაიონის ტერიტორიაზე მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან დააპატიმრონ იგი, თუ ამაზე არ იქნა რაიონული საბჭოს, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — მისი აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობა.

**მუხლი 92.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატს ეძლევა დადგენილი ნიშნის მოწმობა.

**მუხლი 93.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი, რომელიც ვერ გაამართლებს მისთვის გამოცხადებულ ნდობას, შეიძლება ნებისმიერ დროს ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით გაიწვიონ კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 94.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი იმ შემთხვევაში, თუ მას მუდმივად საცხოვრებლად რაიონის ფარგლებს გარეთ უხდება გასვლა ან სხვა მიზეზების გამო არ შეუძლია შეასრულოს დეპუტატის მოვალეობანი თავის საარჩევნო ოლქში, განცხადებით მიმართავს რაიონულ საბჭოს იმის შესახებ, რომ იხსნის დეპუტატის რწმუნებებს. რაიონული საბჭო მორიგ სესიაზე განიხილავს დეპუტატის განცხადებას და მიიღებს გადაწყვეტილებას, რასაც აუწყებს ამ ოლქის ამომრჩევლებს.

**მუხლი 95.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატის რწმუნებანი ვადადმე წყდება იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლები დეპუტატს გაწვევენ, აგრეთვე საბჭოს გადაწყვეტილებით დეპუტატის რწმუნებების მოხსნის შესახებ.

**მუხლი 96.** იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატი ვავიდა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს შემადგენლობიდან, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, არა უგვიანეს ორი თვის ვადისა დეპუტატის საბჭოს შემადგენლობიდან გასვლის შემდეგ, შესაბამის საარჩევნო ოლქში ნიშნავს ახალი დეპუტატის არჩევნებს.

### 5. მოსახლეობის მონაწილეობა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს მუშაობაში

**მუხლი 97.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო უზრუნველყოფს მოქალაქეთა ფართო მონაწილეობას ადგილობრივი და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში.

**მუხლი 98.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას თავისი საქმიანობის, მუდმივი კომისიების, აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაობის შესახებ მშრომელთა წინაშე საბჭოს დეპუტატების, აღმასრულებელი კომიტეტის, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების

მუშაკთა რეგულარული გამოსვლების აგრეთვე პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით.

რაიონის სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხები რაიონულ საბჭოს გააქვს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მშრომელთა კრებების, აგრეთვე მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილებზე გამართული კრებების განსახილველად.

**მუხლი 99.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო წარმართავს რაიონის ნებაყოფლობითი საზოგადოებების საქმიანობას და ხელმძღვანელობს მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. კოწავნიძე**  
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამბაძე**

თბილისი, 1971 წლის 9 დეკემბერი.

## პროფ. ბ. ზ. ფურცხვანიძე 70 წლისა



იმ დღეს თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში თავი მოიყარეს საქართველოს თითქმის ყოველი კუთხიდან ჩამოსულმა იურისტებმა, რათა დასწრებოდნენ საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სისხლის სამართლისა და პროცესის კათედრის გამგის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ბორის ზაქარიას ძე ფურცხვანიძის დაბადების 70 და პრაქტიკულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოს. სტუმართა შორის იყვნენ მეცნიერები რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან...

საიუბილეო საღამო გახსნა უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფ. ს. ჯორბენაძემ.

— „პროფესორ ბორის ფურცხვანიძეს დიდი ამაგი მიუძღვის ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში, ქართული საბჭოთა იურიდიული მეცნიერების განვითარებასა და იურიდიული კადრების აღზრდის საქმეში. იგი თბი-

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე 30-იან წლებში მოვიდა, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა იურისპრუდენცია საქართველოში ის-ის იყო ფეხს იკადებდა და სოციალისტური კანონიერების, სოციალიზმის პრინციპების საწყისებზე ვითარდებოდა... იმ დროიდან დაწყებული პროფ. ბ. ფურცხვანიძე დღემდე უმწიკვლოდ ემსახურება ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას იურიდიული მეცნიერების განვითარების უაღრესად პასუხსაგებ და კეთილშობილურ ფრონტზე“, — აღნიშნა იუბილარის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენებით გამოსულმა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა დოც. გ. ლორიამ.

მაღლიერებისა და გულისხმიერებით აღსავსე სიტყვებით მიესალმნენ პროფ. ბ. ზ. ფურცხვანიძეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ს. ქაჯაია, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი გ. მაისურაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. იოსავა, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე ვ. ედიშერაშვილი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. თოდრია, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი გ. ჟვანია, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ნ. დავითაია, საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური ორგანიზაციის გამგეობის პრეზიდიუმის სახელით პროფ. პ. ჟღენტი, „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაციის სახელით აკადემიკოსი ვ. მამასახლისოვი, ფილოლოგიის ფაკულტეტის სახელით პროფ. ა. ურუშაძე, პროფ. ა. ფალიაშვილი, იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი შ. კვარაცხელია. პროფ. ბორის ფურცხვანიძის ჭაბუკურა



წლებზე ილაპარაკეს აკად. გ. ახვლედიან-მა. პროფ. დ. ლორთქიფანიძემ, ადვოკატ-მა შ. ლეკვეიშვილმა, პროფ ნ. ტყეშელა-შვილმა.

ჩამოსულ სტუმართაგან უბილარს მიე-სალმნენ: საბჭოთა კანონმდებლობის კო-დიფიკაციის ინსტიტუტის სახელით პროფ. ა. სახაროვი, აზერბაიჯანის უნივერ-სიტეტის სისხლის სამართლის პროცესის კათედრის გამგე პროფ. ჯ. მოვსუმივი, ჩრდილო-ოსეთის უნივერსიტეტის იური-დიული ფაკულტეტის კათედრის გამგე დოც. კ. კარაცევი, ქუთაისის პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ჟდენტი, სიღნაღის რაიონის პროკურორი გ. ჟორჟოლაძე, ქალაქ ზუგდიდის პრო-კურორი კ. ნარმანია, მახარაძის რაიონის სახალხო მოსამართლე ვ. სალუქვაძე.

საიუბილეო სხდომაზე გამოაცხადეს რომ პროფ. ბ. ფურცხვანიძე დაჯილდოვდა სა-ქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-დიუმის საპატიო სიგელით, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განა-თლების სამინისტროს სიგელით, უნივერ-სიტეტის რექტორის ბრძანებით ივ. ჯაფა-ხიშვილის სახელობის მედლით, საქართვე-ლოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით მას მიენიჭა „საპატიო მილი-ციელის“ წოდება.

ზინც ჩამოსვლა ვერ მოახერხა დეპეშით ამცნეს იუბილარს თავიანთი კეთილი სურ-ვილები და პატივისცემა. მათ შორის იყვ-ნენ: სსრ კავშირის გენერალური პროკურო-რი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართ-ლოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიე-რებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სა-მართლის ინსტიტუტის დირექტორი და სხვ.

70 წლის იუბილარმა ჭაბუკური სიმხნე-ვითა და უშრეტე იუმორით წარმოთქვა სა-მადლობელი სიტყვა.

იმ დღეს პირადად შეგხვდი ბატონ ბო-რისს და ბუნებრივია საუბარი მის შემოქ-მედებით გეგმებზე დავიწყეთ:

— ყოველდღიურ საღებავს და კვლე-ვითი მუშაობის პარალელურად ვამზადებ

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში ახალ სახელმძღვანელოს. სახელმძღვანელო ამ საგანში 1963 წელს გამოვიდა. მას შე-მდეგ საპროცესო კანონმდებლობამ დიდი ცვლილებანი განიცადა და საჭირო გახდა ახალი სახელმძღვანელოს შედგენა. მით უმეტეს რომ იგი ძალზე მცირე ტირაჟით (1.000) გამოვიდა და ამჟამად ბიბლიო-გრაფიულ იმეოთობას წარმოადგენს.

გარდა ამისა ავტორთა კოლექტივთან ერთად ვმონაწილეობ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტა-რების შედგენაში. კომენტარებს გამოცემს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტ-რო 1972 წელს.

შზაღდება გამოსაცემად სახელმძღვანე-ლო — „საბჭოთა სამართლის საფუძვლე-ბი“ უმაღლესი (არა იურიდიული) სასწავ-ლებლებსათვის. ამ სახელმძღვანელოს ერთ თავზე — საბჭოთა სისხლის სამართ-ლის მოქმედი კანონმდებლობა — მე ვმუ-შაობ.

— ამ ბოლო დროს გამოცემულ ქართ-ველ მემცნიერ-იურისტთა შრომებთან რე-მელი მიზანმიმართული საინტერესო?

— პირველ რიგში აღვნიშნავდი პროფ. ა. ფალიაშვილის სახელმძღვანელოს „სა-პროკურორორულ უფლებამოსილება სსრ კავშირ-ში“, პროფ. ე. ნეიძის სახელმძღვანელოს „შრომის სამართალი“. მშობლიურ ფაზაზე დაწერილი სახელმძღვანელოები დიდად უწყობს ხელს მაღალკვალიფიციური იური-სტების მომზადებას.

— რას ურჩევდით ახალგაზრდა მემ-ცნიერებს?

— შრომას, შრომას და კიდევ შრომას... საერთო კულტურის, აგრეთვე იურიდიული კულტურის დონის ამაღლებას. მხოლოდ ამით მოუტანენ ისინი სარგებლობას ხალხ-სა და საბჭოთა მეცნიერებას.

— ვინ მიზანმიმართული მ. შ. „მოთავის მკო-ნელ“ ახალგაზრდა ქართველ მემცნიერთა შორის?

— ასეთები ბევრი არიან. მათგან ვინმეს გამოყოფა უხერხული და უსარგებლო იქ-ნებოდა.

— რა თვისებები უნდა გააჩნდეს პრაქტიკოს იურისტს?

— პრაქტიკოსი იურისტი პირველ რიგში ხალხის უანგარო მსახური უნდა იყოს, მტკიცე და პრინციპული — საქმის გადაწყვეტისას, კანონს უნდა სცემდეს უდიდეს პატივს და თავისი საქციელით მაგალითის მიმცემი იყოს გარშემომყოფთათვის.

დიდი ადგილი დაუთმოს საუბარში პროფ. ბ. ფურცხვანიძემ სოციალისტური მართლშეგნების მნიშვნელობას სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და დამნაშაეობის პროფილაქტიკის საქმეში.

სადავო არ უნდა იყოს ის გარემოება, — აღნიშნა ბატონმა ბორისმა, — რომ რამდენადაც მაღალია მშრომელთა სამართლებრივი კულტურა, იმდენად მეტი და მტკიცე პირობა იქმნება სოციალისტური კანონიერების განუზრვლად დაცვისათვის.

ამიტომ იყო, რომ ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საბჭოთა ადამიანების სოციალისტური მართლშეგნების ჩამოყალიბებას, მათი სამართლებრივი კულ-

ტურის ამაღლებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მშრომელთა მასების მიერ კანონიერების უსუსტად დაცვის საქმეში ქმედითი მეთვალყურეობის განხორციელებას, დანაშაულობასთან ბრძოლაში მათ აქტიურ მონაწილეობას.

— რას აფასებთ ადამიანში ყველაზე მმტად?

— თავდაბლობასა და შრომისმოყვარეობას.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— შრომა პრაქტიკისათვის, ცხოვრებისათვის რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემის გამოსაკვლევად. მუშაობისაგან თავისუფალ დროს კი პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის ახლად გამოცემული ნიმუშების გაცნობა.

ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდება. რედაქციის თანამშრომლებისა და რედაქციის სახელით ახალ მიღწევებს, მწერელობასა და ასე მხნედ, ხალისიანად ყოფნას ვუსურვებ ამავდარ ადამიანს.

ლ. ისაბაძე

# ერთი ძველბერძნული იურიდიული კლასიკური ქართულ ნასყიდობის დოკუმენტები

## 3. ნაღარევიშვილი

ყველას, ვისაც კი ჩვენამდე მოღწეული გვი-  
ანი შუა საუკუნეების ქართული ნასყიდობის  
წიგნები გადაუთვალეობია, შემჩნეული ექნე-  
ბა, რომ ძალიან ხშირად, შეიძლება ითქვას —  
თითქმის ყოველთვის, ნასყიდობის დოკუმენ-  
ტებში ყიდვა-გაყიდვის ობიექტის ფასი საერ-  
თოდ არ არის ნაჩვენები. გამყიდველი უბრა-  
ლოდ მიუთითებს: ავიღეთ ფასი სრული და  
უკლებელი, რითაც ჩემი გული შეჯერდებო-  
დაო<sup>1</sup>. როგორც, ჩანს ეს იყო სპეციალური  
იურიდიული კლასიკული.

საკითხავია: იყო თუ არა ცნობილი ანლო-  
გიური სამართლებრივი კლასიკული ძველი აღ-  
მოსავლეთის ქვეყნებში, ანტიურ საბერძნეთსა  
და რომში ან შუა საუკუნეების ბიზანტიაში?  
და თუ იყო, რა იყო მისი წარმოშობის მიზეზი?

ზემოხსენებული იურიდიული ფორმულა  
უცნობია ძველი რომაული და შემდეგ კი ბი-  
ზანტიური სამართლისთვის. რომაული სა-  
მართლის მიხედვით ნასყიდობის კონტრაქტში  
ფასი განსაზღვრული უნდა ყოფილიყო ფულა-  
დი სახით<sup>2</sup>.

ძველ რომში ნასყიდობის ხელშეკრულების

არსებითი ელემენტები იყო ნასყიდობის საგა-  
ნი, ობიექტი და მისი ფასი (pretium).  
ფასი უნდა განსაზღვრულიყო ფულადი სახით.  
იუსტინიანეს ინსტიტუციებში პირდაპირ არის  
ნათქვამი, რომ ნასყიდობის ფასი უნდა გამოსა-  
ხულ იქნას ფულადი თანხით (pecunia nume-  
rata).

ნასყიდობის დოკუმენტებში ფასი უნდა გა-  
მოსახულიყო ფულადი ფორმით იმ შემთხვევა-  
შიც კი, თუ ადგილი ექნებოდა თუნდაც პი-  
რობით ნასყიდობას.

ფასი აუცილებლად აღინიშნებოდა სპარსულ  
ნასყიდობის წიგნებშიც. შუა საუკუნეების სპარ-  
სული ნასყიდობის წიგნები, ნასყიდობის ფასს  
გარკვევით და მტკიცედ მიუთითებენ, გამოსა-  
ხვენ რა მას სათანადო ფულადი ფორმით.

როგორც წესი, ძველი ეგვიპტურ ნასყიდობის  
წიგნებშიც ფასის ოდენობაზე გარკვევით არის  
ლაპარაკი. ძველ ეგვიპტურ იურიდიულ დო-  
კუმენტებში, რომელიც პროფ. ი. მ. ლურიემ  
გამოაქვეყნა, ყველგანაა ნაჩვენები ნასყიდობის  
ობიექტის ფასი<sup>3</sup>.

გარკვეულ გამოჩაკის წარმოადგენენ ე. წ.  
დემოტიკურ ენაზე დაწერილი კონტრაქტები.

<sup>1</sup> იხ. საქართველოს სიძველენი, ტომი II, ე. თაყაიშვილის რედ. თბილისი, 1908. დოკ. №№ 181, 211, 257, 268, 285, 359, 392 და სხვ.

დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX სს.) წიგნი I, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილმა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამ., თბილისი, 1962, დოკ. №№ 8, 13, 17, 20, 23, 24, 25, 27, 31, 33, 34, 43, 50, 52, 55, 69, 82 და სხვ.

დ. გ. უჩანეთიშვილი. დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, თბილისი, 1967, გვ. 29, 43, 45, 49, 52, 69, 76, 80, 91 და სხვ.

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, ნ. ბერძენიშვილის რედ. თბილისი, 1940, დოკ. №№ 4, 15, 16, 29, 41, 43, 47, 53, 55, 62, 64, 66, 68.

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. II, ნ. ბერძენიშვილის რედ. თბილისი, 1953, დოკ. №№ 14, 20, 25, 32, 34, 35 და სხვ.

<sup>2</sup> И. Покровский, История Римского права. СПб, 1913, стр. 441, Римское частное право, М., 1948, стр. 453.

<sup>3</sup> И. М. Лурье. Юридические документы по социально-экономической истории Египта в период нового царства, ВДИ № 1, 1952, см. док. №№ 1, 2, 3, 6, И. М. Лурье, Очерки древнеегипетского права XVI—X веков до н. э. Памятники и исследования. Издательство Государственного Эрмитажа. Ленинград, 1960, стр. 171, 172, 173 и др.

ამასთან დაკავშირებით ბერძნულ-ეგვიპტურ საპართოს ცნობილი მკვლევარი ბ. ფრეზე წერდა: «*Демотиические контракты своеобразны в том отношении, что в них одна из сторон апострофирует другую, так напр.: X говорит Y «Ты дал мне деньги — моя душа удовлетворена»<sup>4</sup>, ადრეელინისტური ეპოქის დემოტიკურ ბაბირუსებში ანალოგიურ კლავშულას ვგულისობთ: «*ты мне полностью уплатил. Ты удовлетворил мое сердце ценой серебра за мое поле*»<sup>5</sup>. კონტრაქტიდან ჩანს, რომ ფასი სრულად გადაიხადეს ვერცხლით, მაგრამ რამდენი გადაიხადეს ამაზე არაფერია ნათქვამი. ერთ-ერთ დემოტიკურ დოკუმენტში ვკითხულობთ: „მე მოგიდე ის (მიწა) ვერცხლის საფასურად, შენ მომეცი მისი ფასი ვერცხლით. შე ის შენი ხელიდან მივიდე სრულად. ჩემი გული შეჭერებულა“<sup>6</sup>.*

როგორც ვხედავთ, ე. წ. დემოტიკურ კონტრაქტებში ნასყიდობის ფასის ფულადი ოდენობის ნაცვლად უბრალოდაა ნათქვამი: „შენ მომეცი მე ფული, ჩემი გული (სული) დაკმაყოფილებულა“.

ქართულ ნასყიდობის წიგნებში და საერთოდ ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში შემორჩენილ არქაულ იურიდიულ ფორმულის — „ავიდე ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩემი გული შეჭერდებოდა“<sup>7</sup> — შესატყვისი და შეიძლება ითქვას, სიტყვა-სიტყვათა შესატყვისი კლავშულა გვხვდება ძველი აღმოსავლეთის კერძო სამართლებრივი ხასიხის დოკუმენტების ნაწილში. აქ შეიძლება ის გარემოებაც ვაღიხსნათ, რომ ორიენტალისტთა საფუძვლიანი მოსაზრებით, ქართული მუშაკი და სომხური მუშაკი, როგორც თავისი მნიშვნელობით ასევე ზიტყვა-ნასესხობის თვალსაზრისით სამურაბის კოდექსის (ძვ. წ. XVIII ს.) მუშკენუმს („*Muskenum*“) უკავშირდება. ქართულმა ენამ, ჩვენი ისტორიის ამ უძველესმა მოწმემ, ჩვენამდე მოიტანა ძველ ბაბილონთან საქართველოს ახლო ურთიერთობის დამამტკიცებელი საბუთი. რიგი მონაცემების მიხედვით ქართული ნასყიდობის წიგნებში ფიქსირებულ შემოსხნებულ იურიდიულ კლავშულას წინაპარი ეძებნება 3700—4000 წლის წინათ შედგენილ კერძო დოკუმენტებში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს

ძველი ბაბილონის ნასყიდობის დოკუმენტების ნაწილის სათანადო ადგილები.

იხილავდა რა ძველბაბილონურ კერძო სხმართლებრივ დოკუმენტებს, ა. კ. რიფტინი წერდა: «*Во всех документах пометается размер цены, кроме купчих из Сиппара, в которых в период до Hammurabi цена не указывается*». «*За клаузулой об уплате следует в старых документах из Северной Вавилонии до Hammurabi; включительно клаузула о передаче жезла (акад. «bucannum») покупателя и пометка, сердце его (продавца) удовлетворено, — подчеркивающих завершение сделки*». სიპარაში შედგენილ ნასყიდობის დოკუმენტებში კი გვხვდება ასეთი კლავშულა „ეს საქმე დამთავრებულია. მისი „გამყიდველის“ გული შეჭერებულია“.

„ავიდე ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეჭერდებოდა“ — ქართული ნასყიდობის წიგნების ეს ფორმულა, როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჭავს ჩრდილო ბაბილონის ის უძველესი დოკუმენტების კლავშულას, სადაც ფასის ფულადი ოდენობით გამოსახვის ნაცვლად გამყიდველის „გულის შეჭერებაზე“, მის დაკმაყოფილებაზეა ლაპარაკი.

ძველი ბაბილონისა და ფეოდალური საქართველოს ნასყიდობის წიგნების იურიდიული კლავშულების ამ გასაოცარ მსგავსებას შემდგომი კვლევა და დაკვირვება სჭირდება. ერთი შეხედვით იგი თითქოს უნდა მანიშნებელი იყოს იმისა, რომ უძველეს წარსულში (ქრისტეანობამდე ეპოქაში) ძველ აღმოსავლურ სამართალს, ნასყიდობის ძველ-აღმოსავლურ ინსტიტუტს გზკვეული გავლენა მოუხდენია საქართველოზე. მაგრამ თუ გავლენას ვიგულისხმებთ, მაშინ უნდა მოინახოს რაიმე დამაკავშირებელი ძაფი ძველ აღმოსავლურ ნასყიდობის დოკუმენტებსა და ქართულ ნასყიდობის წიგნებს შორის. ეს კი ძნელი საქმეა თუნდაც იმიტომ, რომ შემოსხნებული იურიდიული კლავშულის შემცველი დოკუმენტები ბაბილონიდანაც კი სამურაბის ეპოქაზე უფრო გვიანდება არ ჩანს. ასე რომ ამ კავშირის შესახებ მასალა გვაკლია მთელი ორი ათასწუთასი და მეტი წლის მანძილზე. შესაძლოა ეს შემაკავშირებელი ძაფი ყოფილიყო ხეთების ან უფრო მეტად ურარტუს სახელმ-

<sup>4</sup> Б. Фрезе, Очерки греко-египетского права. Ярославль, 1912, стр. 66.

<sup>5</sup> А. И. Павловская. Землевладение и земледелие на царских землях Египта. Вестник Древней истории № 1, 1953, стр. 44. R. Hauswaldt. Die demotischen Papyri Hauswaldt Leipzig.

<sup>6</sup> ბაბირუსი № 1 და № 2, გერმანული თარგმანი ჰუსვალდტის გამოცემით.

<sup>7</sup> А. К. Рифтин. Старо-Вавилонские документы, М.-Л., 1937, стр. 44.



წიფო, რომელთა ნამსხვრევებზე შემდგომ კვლავ ახალი სახელმწიფოები წარმოიშვნენ. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ გაბედული ჰიპოთეზაა.

როგორც ვარაუდობენ, ძველ კოლხეთსა და იბერიაში სახელმწიფოებრიობა VI—IV საუკუნეებში უნდა წარმოშობილიყო. არ არის გამოცხადებული, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის ინსტიტუტი საქართველოში დაახლოებით ამ დროს იყოს წარმოშობილი. ვენახიანი და ხეხილის ბაღიანი მიწა-ადგილის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა სავანთა ლოგიკის და სხვა ხალხების ისტორიის გამოცდილების მიხედვით ძალიან ადრე იწყება. საქართველო ხომ მაშინაც მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეყანა იყო და ნასყიდობის ინსტიტუტის განვითარებისათვის იმათივე ნოყიერი ნიადაგი არსებობდა.

თუ კი შესაძლებელი გახდება იმის დამტკიცება, რომ ქართული ნასყიდობის წიგნების იურიდიული კლასიკა უნდა იყოს სრული, რითაც ჩვენი გული შეჭრადობდა<sup>8</sup>—ო ძველადმოსავლური წარმოშობისაა, მაშინ დამტკიცდებოდა მისი არქაულობაც. მაგრამ ამისაგან დამოუკიდებლადაც შესაძლებელია თავისი წარმოშობით და შინაარსით მეტად არქაული ამ კლასიკის ამოხსნა.

ესებოდა რა ქართული ნასყიდობის დოკუმენტების შემოსვენებულ იურიდიულ კლასიკულას, აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „როგორც ეტყობა, უკვე ის გარემოება, რომ ნასყიდობაში ფასი სრულად იყო გადახდილი და აღებული დე ეს გარემოება წერილობით დადასტურებული იყო, კანონის თვალსაზრისით სრულებით საქმარისად ითვლებოდა, რადგან ამით უკვე

მხარეთა კმაყოფილება მტკიცდებოდა და როგორც გამყიდველისა, ისე მსყიდველისაგან საფასურის გამო ყოველგვარი ჩივილი შეუძლებელი იქმნებოდა და, რომ ატენხილიყო კიდევ, რასაკვირველია, უსაფუძვლოდ უნდა ყოფილიყო ცნობილი“<sup>9</sup>.

რა უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ ნასყიდობის დოკუმენტებში კონკრეტულად ფასის რაოდენობა, მისი ფულადი გამოსტუმლება არ იყო ნაჩვენები?

ვფიქრობ, რომ ქართული ნასყიდობის წიგნების იურიდიული კლასიკა უნდა იყოს სრული და უკლებელი, რითაც ჩემი გული შეჭრადობდა, **თავისი წარმოშობით** უნდა უკავშირდებოდეს მიწის უკუშავისეულობის უფლებებს და მიმართული უნდა იყოს სწორედ ხსენებული უფლების წინააღმდეგ.

ბ. ფრეზე, ა. კ. რიბტინი და ი. მ. ლურიე, ისევე როგორც ი. მ. დიაკონოვი, როდესაც იხილავენ ძველ აღმოსავლურ დოკუმენტებს, ნასყიდობის წიგნებში ფასის დაუხსნელობის მიზეზის შესახებ არაფერს ამბობენ. ქართულ დოკუმენტებში ამ მოვლენის არსებობის მიზეზზე არაფერს გვუხსნება არც აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ჩვენს კერძო სამართლებრივ დოკუმენტებს კარგად იცნობდა. დღემდეც, ჭერჭერობით არავის უცდია შედარებით — ისტორიული მეთოდით შეესწავლა ქართულ და ძველ აღმოსავლურ ნასყიდობის დოკუმენტებში ერთნაირი იურიდიული კლასიკის არსებობის მიზეზები. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით კვლევა არ იქნება უნაყოფო.

ხსენებულ ფაქტებთან კავშირში შესწავლილ

<sup>8</sup> აკად. ნ. მარის აზრით კავკასია კულტურული ქვეყანა იყო უკვე ძველ აღმოსავლურ ებოქაში. ასე რომ მისთვის ძველი წელთაღრიცხვის ბირველი ათასეულის კავკასია კულტურულ, ცივილიზებულ ქვეყნად იგულისხმება. ამასთანავე იგი უქადრესობებისგანაც ვეფობილდება: ამასთან დაკავშირებით 1918 წელს ნ. მარის წერდა: «Сейчас в научных кругах сомнений о бывшей культуре Кавказа как будто и нет, но рамки ее и значение ее или недооценены, или переоценены. Все по-старине, давно прогнившей, господствуют два взгляда, один специальный, кавказский — все с Кавказа и все от Кавказа; другой... западноевропейский, по которому Кавказ не причем, это в лучшем случае мост или проход с случайно застрявшими в нем курьезами, иногда любопытными редкостями, обломками». (См. Н. Марр, Культурное наследие народов Кавказа в их современной общественности). Архив Марра, рук. 1—461, л. 48, об. **К. В. Тревер.** Кавказ и античная культура в свете работ Н. Я. Марра. Известия Академии наук СССР. Серия истории и философии, т. VII, № 2 (1950), стр. 136.

<sup>9</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი, 1929, გვ. 434.



უნდა იქნას სახლიაკცთა<sup>10</sup> უფლება გაყიდული მიწის უკუგამოსყიდვის შესახებ.

ძველ აღმოსავლურ დოკუმენტებში მიწის ნასყიდობის შესახებ, რომლებიც შედგენილი არიან ძველი წელთაღრიცხვით XXVI—XXIV საუკუნეებში, ე. ი. დაახლოებით 4500—4400 წლის წინათ, დიდ როლს თამაშობენ გამყიდველის სახლიაკცები, მისი ახლო ნათესავები, ე. ი. დიდი ოჯახის წევრები. ისინი მოწმეებად გამოდიან გარიგების დოკუმენტში. ჩვეულებრივ ეს გამყიდველის სახლიაკცი-მოწმეები მყიდველისაგან დებულობენ „საჩუქრებს“. როგორც ჩანს, თუ მყიდველი სახლიაკცებს „საჩუქრებს“ არ მიართმევდა და ამ გზით მათგან არ მიიღებდა ნებართვას ნასყიდობის გასაფორმებლად, ნასყიდობა მტკიცე ვერ იქნებოდა. გამყიდველის სახლიაკცი ნასყიდობის დოკუმენტების გაფორმებაში თავისი მონაწილეობით თითქოს უარს ამბობდა მომავალში რაიმე პრეტენზიებზე ნასყიდობის მოსაშლელად ან ნასყიდობის უკუგამოსყიდვად. ხშირად დოკუმენტს ხელს აწერდა 14-15 ქმედუნარიანი პირი, დიდი ოჯახის — საოჯახო თემის ანუ სახლის წევრები. დიდი ოჯახი წარმოადგენდა კოლექტივს, რომელთა წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ მამის მხრივ საერთო წარმოშობით, საერთო სამეურნეო საქმიანობით და საერთო მიწისმფლობელობით. ხსენებული დიდი ოჯახი ანუ საოჯახო თემი აუცილებლად შედგებოდა ერთზე მეტი საოჯახო-საქორწინო უჯრედისგან.

განვითარების ადრეკლასობრივ სტადიაზე ეს ოჯახი — როგორც კოლექტივი, წარმოადგენდა სამართლის სუბიექტს. თანდათან, ოჯახის უფლებამოსილება, მაგრამ სანამ ეს ახალი სამართლებრივი მოვლენა მტკიცედ არ დამკვიდრებულია ცხოვრებაში, მიწის ნაკვეთის გასხვისების, მისი გაყიდვის დროს გარიგების ნამდვი-

ლობისა და სამტკიცისათვის საჭიროა საოჯახო კოლექტივის ყველა სრულწლოვანი წევრის, განსაკუთრებით კი მამაკაცების თანხმობა.

ქართული ნასყიდობის წიგნებიდან არ ჩანს მოწმე-სახლიაკცები იღებდნენ თუ არა რაიმეს საჩუქრის, ფასის წანამატის ან დამატებითი ფასის სახით. მაგრამ დოკუმენტებში გამყიდველ მხარედ მოხსენებული პირების გული რომ „შეჭერებულია“ ეს სათანადოდ იყო აღნიშნული.

ძველბაბილონური და ქართული ნასყიდობის წიგნების იურიდიული კლასიკული „ავიღებ ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩვენი გული შეჭერდებოდა“, სახლიაკცთა მხრით გასაყიდი მიწის უპირატესი შესყიდვის უფლების და უკვე გაყიდულის უკუგამოსყიდვის უფლების საწინააღმდეგოდ უნდა იყოს მოგონილი.

აქ დროული იქნება გავისხენოთ ერთი ძველადმოსავლური კანონის ფრაგმენტი, შედგენილი ზამთრების კანონებზე უფრო ადრე. ამ საკანონმდებლო ძეგლის მიხედვით ადგილ-მამულის მეპატრონის ძმას უფლება აქვს იყიდოს ნახშიმარ შპსში გასაყიდად გამიზნული მიწა. მაშასადამე, უძრავი ქონების მეპატრონის ოჯახის წევრს უფლება აქვს ნახევარ ფასში იყიდოს ის მიწა-ალაგი, რაშიც არაოჯახის წევრმა, არასახლიაკცმა უნდა გადაიხადოს სრული ფასი. ამასთან ერთად, როგორც ჩანს, სამართლის ნორმაში ჩამარხული პრინციპის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ რაც უფრო შორსაა მყიდველი გამყიდველისაგან სისხლის ნათესაობის თვალსაზრისით, მით უფრო მეტი ფასი უნდა გადაიხადოს მან ნასყიდობის ობიექტისათვის. გასაყიდ მიწას იმის მიხედვით თუ ვინ იქნებოდა მყიდველი, ემატებოდა ან აკლდებოდა ფასი. მეპატრონის ძმა, მჭაღლითად, მას ნახევარ ფასად შეიძენდა. ხოლო პირი, ვინც არ იყო გამყიდველის სისხლით ნათესავი, მიწის,

<sup>10</sup> ნ. მარი ფიქრობდა, რომ ძველბაბილონური „ასლს“, შინამსახურის მნიშვნელობით რომ იმარებოდა, შეესატყვისებოდა ქართულ „სახლ“-ს გვარის, ოჯახის, სახლის ან კომლის მნიშვნელობით. ამასთანავე იგი ზემოხსენებულ ტერმინებს უკავშირებდა ძველ სემიტურ „აჰლ“-ს, სადაც იგი კარბეს, სახლს, ან ოჯახს ნიშნავდა (Н. Я. Марр. Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка, Спб, стр. 6). უფრო სწორი უნდა იყოს მოსაზრება იმ მკვლევარებისა, რომლებიც ხსენებულ ქართულ და სომხურ ტერმინებს უკავშირებენ ურარტულ „აღლს“-ს, სადაც იგი გვარსაც ნიშნავდა და ხალხსაც; ძველბაბილონური „ასლიხინა“, „აღლიხინ“ — მონა მხეცლის მნიშვნელობით შესაძლოა ურარტულ „აღლსის“ უკავშირდებოდეს.



ფასის გარდა იხდიდა დამატებით ფასსაც.<sup>11</sup> ასე, რომ, მიწის ფასი მერყევი იყო კერძო სამართლის განვითარების შორეული, მეტად პრიმიტიული განვითარების საფეხურზე. თანდათან კი როდესაც ოჯახის, როგორც ახლო ნათესავთა კოლექტივის ნაცვლად სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში შემოვიდა კერძო პიროვნება, როდესაც გამოიკვეთა ახლო ნათესავთა კოლექტიური საკუთრების ნანგრევებზე ინდივიდუალური, კერძო საკუთრება, რელატიური გარიგების მეორე მხარის სუბიექტთან მისადაგებული ღირებულების ნაცვლად წარმოიშვა აბსოლუტური ღირებულება.

სამართალგანვითარებაც საკუთრების ევოლუციის შესაბამისად ხდებოდა. მაგრამ გარდასულ თაობათა ტრადიციის დაძლევას საუკუნეები სჭირდებოდა. სახლიკაცთა ძველი უფლებების სსოვნაც დიდხანს იყო ხალხის შეგნებაში. ნასყიდობა და მიწის გაცვლილობა რომ

არავის არ მოეშალა და მტკიცე ყოფილიყო, დოკუმენტში სწორად ისეთი დათქმაც შექონდათ, რომელიც მიგვანიშნებს, თუ ვისი მხრიდან ემინოდოთ კონტრაგენტებს. მაგალითად მიწის გასხვისების ერთ დოკუმენტში (XV—XVI სს.), როდესაც მყიდველ მხარედ მონასტერი იყო, გამყიდველი ამბობს: „აწ გიბედნიეროს ღმერთმან თქვენ მონასტერის კრებულთა, რომელი აწ ხართ და შემდგომად მომავალი ხართ. ვერავინ შეგიცვალოს, ვერ პატრონმა და ვერც ჩემის გვარის კაცმა, ამაღ რომე მეც ნასყიდის მქონდა“<sup>12</sup>.

სხვა დოკუმენტებიც წყევლა-კრულვას უთვლიან „გუარის კაცს“, რომელიც ხელჰყოფს გარიგებას „შლად“<sup>13</sup>.

მამულის გაცვლილობის XVII საუკუნის ერთი წიგნი პირდაპირ მიუთითებს: „ვინც შეშლა მოინდომოს, შესამშლელო გაიღოს“<sup>14</sup>.

როგორც ჩანს, მამულის გაცვლილობის მოშ-

<sup>11</sup> ჩვენამდე მოაღწია ერთმა საინტერესო კონტრაქტმა ქალაქ ლაგაშიდან ორ პიროვნებას შორის, რომელნიც სხვა დოკუმენტების მიხედვითაც არიან ჩვენთვის ცნობილი და რომელნიც ქალაქის წარჩინებულ ფენას ეკუთვნიან. დოკუმენტი შედგენილია დაახლოებით ოთხი ათას ხუთასი წლის წინათ (ძვ. წ. XXV ს.). ნასყიდობის ობიექტია სახლი. მყიდველი სახლის ფასის დიდ ნაწილს ნატურით იხდის (ქერის სახით). სახლის ძველი მემპატრონე გარდა ამისა მყიდველისაგან იღებს სართალ საბანს, რამდენიმე პურს, ღორის ქონს და დოქით ლუდს. ყველა მოწმე საჩუქრად იღებს ოთხ-ოთხ ცალ პურს; სახლის ყოფილი მემპატრონის ქალიშვილი კი იღებს რვა პურს. კონტრაქტის ტექსტში ფასის ამ წანამატს ეწოდება „ნიგბა“.

ძველი წელთაღრიცხვის XXVI საუკუნეში შედგენილი კონტრაქტი შურუპაკიდან, ასე წლით უფრო ძველი ლაგაშის შემოსენებულ დოკუმენტზე, ადასტურებს, რომ მყიდველი იხდის ნასყიდობის ობიექტის ფასს, პლუს დამატებით ფასს და ბოლოს საჩუქრებით აჯილდოვებს გამყიდველის სახლიკაცებსაც. თუ ვიანგარიშებთ, დამატებით ფასს მიმატებული საჩუქრების ფასი ყოველთვის მეტია ნასყიდობის ობიექტის ფასზე და ზოგჯერ რამდენიმეჯერ მეტით.

ერთი თიხის ტაბულის (ფირფიტის) მიხედვით მყიდველმა მიწა იყიდა 12 ზომა სპილენძის ფასად. ეს ძირითადი ფასია. დამატებითი ფასის სახით გადაიხდა 14 ზომა სპილენძი და საჩუქრების სახით 13 ზომა სპილენძი, 3 ზომა სპილენძის ფასი შალის ქსოვილები, ღორის ქონი, რამდენიმე პური და დიდი ოდენობით ხილი. იხ. ანრი დე სენ ბლანკე. კანონის სათავეებთან, პარიზი, 1969.

სხენებულთან დაკავშირებით ერთი მკვლევარი წერს: «В одном кодексе, проявившемся до законов Хаммураби, указывается, что брат владельца может приобрести поле за полцены. Таким образом, семья владельца имеет права на недвижимое имущество, права определяемые половиной принятой цены. Чем дальше новый владелец отстоит от старого по родственным связям, тем больше он должен платить. А так как эквивалент в зерне и металле не изменяется, то увеличивается дополнительная плата. Подобная картина наблюдается в шуруппакских контрактах. Лагашские же выражают более развитую концепцию. Дополнительная плата отсутствует, есть лишь подарки, ценность которых, по-видимому, мизерна: как если бы они относились к числу формальностей, без которых контракт не считается действительным». იხ. За рубежом № 1, 1969.

<sup>12</sup> ყანჩაეთის ტყავის სახარება და მისი მინაწერები. იხ. ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალები, წიგნი I, ტფილისი, 1913, გვ. 63.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 65.

<sup>14</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. II, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XIX სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1953, დოკ. № 13, გვ. 10.

ლის შემთხვევებს იზიარებდა გამოწვევის სახით მაინც ადგილი უნდა ჰქონოდა და „შესამზღელოც“ ამის შედეგად ან ანალოგიური შემთხვევების განმეორების საწინააღმდეგო ღონისძიება უნდა ყოფილიყო.

ცნობილია, რომ სახლიკაცებს „სახლის“ მიწა-ალაგის, ადგილ-მამულის უპირატესი შესყიდვის უფლება ჰქონდათ და ზოგ ხალხებში ნახევარ ფასადაც კი არც თუ ისე იზიარებდა, სახლიკაცები გაყიდული უძრავი ქონების უკუგამოსყიდვის პრეტენზიასაც აცხადებდნენ. და ეს პრეტენზია ხშირად მოგვიანებითაც, უკვე სხვა თაობის ადამიანთა სიცოცხლეში შეიძლება მომხდარიყო. სწორედ ამიტომ, ნასყიდობის წიგნებში განგებ არ იხსენიებდნენ ნასყიდი მიწის კონკრეტულ ფასს ფულადი ან ნატურალური ღირებულებით და მხოლოდ „გულის შეჭერებაზე“ ღაპარაკობდნენ. ამით, ნასყიდის უკუგამოსყიდვას ზღუდე ედებოდა. დოკუმენტალურად ფიქსირებული ფასი ნასყიდობისა ცნობილი არ იყო. ნასყიდობის მოშლისათვის მისი ახალი მებატრონის „გულის შეჭერება“ იყო საჭირო, რაც ძნელი იქნებოდა. ამით ძველი ფასის უკან, დაბრუნებით მიწის უკუგამოსყიდვა შეუძლებელი ხდებოდა.

იურიდიული კლავშულა „ავიდეთ ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შეჭერდებოდა“, საფიქრებელია, რომ როგორც ძველი აღმოსავლეთის სინამდვილეში, ასევე ფეოდალურ საზოგადოებაშიც მიმართული იყო ე. წ. საგვარეულო ქონების უკუგამოსყიდვის ინსტიტუტის წინააღმდეგ და ამ უკანასკნელთან ბრძოლის ერთ-ერთ ღელადურ საშუალებას წარმოადგენდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც საგვარეულო ქონების გამოსყიდვის ტენდენცია თანდათან დაძლიებულ იქნა, შემოხსენებული კლავშულა გაქვავებული სახით კვლავ შემორჩა ქართული ნასყიდობის წიგნებს<sup>15</sup>. ძველი ახალში ყოველთვის ტოვებს აშკარა ან ყრუ ნაკვალევს. ვახტანგ VI სამართლის წიგნი უკვე ნასყიდობის მოუშლელობის პოზიციაზე დგას. თუნდაც რომ კაცმა გაჭირვებულობის მიზეზით იაფად გაყიდოს ადგილ-მამული, თუ კი ის „კაის მიწით, წიგნით და ბეჭდით“ იქნება

გაყიდული, არ მოიშლება. კანონმდებლის სიტყვით „იქნების, დაჭირებული იყოს და იაფად მოწყიდოს, იქნების მსყიდველს უნდოდეს და ძვირად ჩაირთვოს, მაგრამ რა წიგნი დაიწერეს და ხელი ჩაირთვოს, რა გინდ ფასი მოუმატონ და ან მსყიდველს აღარ უნდოდეს, ვერა მოშლიან“ (მუხლი 161).

ნასყიდობა მოუშლელია და ამიტომაც ნასყიდობის წიგნები არ ახსენებენ „შესამზღელოც“, როგორც ამას მამულის გაცვლილობის წიგნებში ვხვდებით. ნასყიდობა გაცვლილობაზე უფრო მოუღვეარი გარიგება იყო.

რა თქმა უნდა, ზოგჯერ ნასყიდობის წიგნებში უძრავი ქონების — ნასყიდობის ობიექტის ფასიც არის აღნიშნული. ეს მაშინ, თუ არ იყო გულგება, რომ უკუგამოსყიდვას ან სხვა რაიმე ინტერესს შეიძლებოდა საფრთხე შეექმნა ნასყიდობისათვის.

კორიდეთის სახარებაზე არის ქართული მინაწერი, გიორგი ხუცესის მიერ შესრულებული, სადაც ნათქვამია: „მე გიორგი დავას ვენახი... სახანგერო... ნახევრისა ფასი ავიღე დასაჭრებელი დრამა ათასი“<sup>16</sup>. გიორგი ხუცესმა უშენ მიწაზე ვენახი გააშენა სახანგეროდ, ხოლო შემდეგ ეს მისი კუთვნილი ნახევარი ვენახი გაყიდა „ი ათას“ დრამად. აქ გიორგი თავის საგვარეულო მიწას არ ყიდდა, არ იყო საშორიობა, რომ გამყიდველის სახლიკაცები მოინდომებდნენ მის მოშლას და ამიტომაც ნასყიდობის ფასის ზუსტი ფიქსირებაც მოხდა. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ დოკუმენტში ნასყიდობის ნამდვილ ფასს წინ უძღვის მსაზღვრელი „დასაჭრებელი ფასი“, რაც ისევე „გულის შეჭერების“ იურიდიულ კლავშულას უკავშირდება.

ნასყიდობის ინსტიტუტის რაობის გასარკვევად საინტერესოა ერთი განჩინების წიგნი მეფე ბაქარისა, შედგენილი დაახლოებით 1719 წელს. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ზურაბს და მის შვილებს, ვინმე პაპუას ძმებს, ძმები ჯანაშვილებისათვის ორ ადგილას მიწები მიუყიდათ. ამ უკანასკნელებს ეს ნასყიდი მიწები „კარგა ხანი სჭეროდა, ეხნა, ღალა ასანასთვის

<sup>15</sup> აკად. გ. მელიქიშვილმა, რომელიც გაცნო წინამდებარე წერილის რუსულ ვარიანტს, გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა, ძველი აღმოსავლური იურიდიული კლავშულა ქართულ ნასყიდობის წიგნებში საერთოდ გაქვავებული იურიდიული ფორმულა იყო და არა ცოცხალი შინაარსის გამომხატველი. შემოხსენებული კლავშულა თავდაპირველად საგვარეულო ქონების უკუგამოსყიდვის ინსტიტუტის წინააღმდეგ რომ უნდა ყოფილიყო მიმართული, ამ აზრს გ. მელიქიშვილიც იზიარებს.

<sup>16</sup> Известия Академии наук, 1911, стр. 236—237. Статья Н. Марра Грузинские приписки греческого евангелия из Коридети.



ქძლია, დღესამდინ ასრე ყოფილიყვენენ. აწ პაპუაშვილები სკიდებოდნენ, ეგ მიწები ჩემის ყმისგან რომ ვიყიდნაო, აყრილი ყოფილაო და მერმე მამა ჩვენს ფასიც შემოუყრაო და მიწები უსამართლოდ გიჰირავსო. ამისი ჭანაშვილმა აშორო უთხრა, ეს მიწები რომ ვიყიდეთო, გიორგი მეფის უამშიაც გვეყიდოს. ის შენი კაცი არც აყრილი ყოფილიყოსო და არც მამა შენს ამისი ფასი ჩვენთვის შემოებრუნებინოსო. ჩვენ ეს გაუჩინეთ, თუ წაღვენე ჭანაშვილები ორნიც ძმანი და ასრე იფიცონ, პაპუაშვილები არას ემართლებიან და დალასკი აიღებენ ხოლმე, და თუ ვერ იფიცონ, მიწა პაპუაშვილებს დაანებონ, თუ იფიცა, პაპუას კაცის თავის გატენამ ჩაიაროს, და თუ ვერ იფიცა, მოსაქმემ თავის გასამტენლო მიაცემინოს“<sup>17</sup>.

დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ ყმაც ყიდდა მიწებს, მაგრამ აყრილ ყმას ამისი უფლება არ ჰქონდა. აყრილი ყმის მიწა ბატონისად ითვლებოდა. ფეოდალს შეეძლო ყმის ნასყიდობის გაუქმება, ყოველ შემთხვევაში, ყოფილა შემთხვევები, რომ ბატონი ყმის მიერ გაყიდულ მიწას უკან იბრუნებდა. მიწის მყიდველს კი დახარჯულ ფასს დაუბრუნებდა.

მართალია მიწა იყიდებოდა, მაგრამ მიწის მყიდველი ბატონის სასარგებლოდ დალას მანც იხდიდა. იმ შემთხვევაში, როდესაც ყმა ბატონს მიყიდდა თავის კუთვნილ ვენახს და გაყიდულისთვის სათანადო გასამარჯელოს მიიღებდა — ყმა მესაუკთრება, ხოლო ვენახი საკუთრება<sup>18</sup>. ბატონს არ ჰქონდა შიში, რომ ყმას შეეძლო ისევ წაერთმია ბატონისთვის უკუგამოსყიდვის გზით ვენახი და ამიტომაც დოკუმენტში ვენახის ფასიც იყო ნაჩვენები.

მიწის უკუგამოსყიდვის ამბებს უკავშირდება აგრეთვე ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის 55-ე მუხლი, სადაც წერია, რომ „კაცი კაცისა მამულის გამოთხოვნას არას ემართლების, არცა სასყიდლად, არცა სასაკარგოდ პატრონისაგან. თუ იყიდოს, ოდესცა და მემამულემან მოიკითხოს, მიწა დაუღდას უმიზეზოდ და ფასი ამღებელს სთხოვოსო“. ასე რომ ნასყიდობის დოკუმენტიც შეიძლებოდა სადავო გამხდარიყო „თუ ის არ იყო შედგენილი „მემამულის“ თანხმობით. „მემამულეს“ შეეძლო მოეკითხა: „უკანონოდ გაყიდული მიწა და მიედლო კიდევაც. დაზარალებულს კი ფასი უკა-

ნონოდ გამყიდველისათვის უნდა გამოერთმია უკან.

ჩვენამდე მოღწეულია ნასყიდობის წიგნი 1721 წლისა<sup>19</sup>, სადაც როგორც მყიდველი ისე გამყიდველი ერთი გვარის ხალხია-სააკაძეები. სსენებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ნები-თა და შეწვენითა მდთისათა, ესე ამიერთგან უამთა და ხანთა უკუნისამდე გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი წიგნი, ყოვლის კაცის უცილებელი და უმიზეზო ნასყიდობის წიგნი მოგვცით ჩვენ, სააკაძემ ზურაბ და შვილმა ჩემმა გიორგიმ და ზაზამ თქვენ, ბახუტას სააკაძეს, შვილს. თქვენს დემეტრეს და გარსევანს, ასრე რომე დაგვირდა და მოგვიდეთ ზობნაკს მოკე-ლიძის პაპუნას წილი ვენახი თქვენე სასახლის გვერდით, ზეით თავის განაყოფი ბერუას სამძღვრამდი, რაც ბერუას სამძღვარი გამოიტანს. შენდა მოგვიყიდნია. მოგვიდეთ და ავიდეთ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა, და რომ არა დარჩომილა რა ჩვენი თქვენზედ. გქონდეს და გიბედნიეროს დმერთმან. თუ ვინმე შემოგეცილოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ“. შემდეგ დოკუმენტში მითითებულია მოწმეები, დამწერი და დასმულია თარიღი.

ზურაბ სააკაძემ და მისმა შვილებმა, როგორც ვენახთ, მიყიდეს ბახუტა სააკაძეს და მისი შვილებს ალბათ, თავისი გლეხის მოკედიის წილი ვენახი და აიღეს „ფასი სრული“, რითაც მათი „გული შეგჯერდებოდა“, კონკრეტულად კი ნასყიდობის ობიექტის ფასი არაა დასახელებული. მაგრამ თუ ვინმე მყიდველს ნასყიდს შემოეცილება „პირისა და პასუხის გამცემი“ გამყიდველები უნდა იყვნენ. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ნასყიდობის ობიექტი მყიდველის სასახლის გვერდით მდებარეობდა. შესაძლოა ისინი (მყიდველები და გამყიდველები) განაყოფებიც კი იყვნენ. ასეთ შემთხვევაში გამყიდველების სახლიკაცებიდან შეცილება მოულოდნელი არ იქნებოდა. შესაძლოა, რომ ამიტომაც არ იყო დოკუმენტში ნასყიდობის კონკრეტული ფასი ნაჩვენები, რომ გამყიდველის შთამომავალს მყიდველის შთამომავლისათვის ფასი უკან არ „შემოეყარა“.

ქართულ კერძო სამართლებრივი დოკუმენტების, ყოველ შემთხვევაში იმ დოკუმენტების მიხედვით, რომელთაც არქაული თვალსაზრისი

<sup>17</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფილისი, 1909, ე. თაყაიშვილის რედაქციით, დოკ. № 256, გვ. 310.

<sup>18</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, დოკ. № 68, გვ. 47, იხ. აგრ. დოკ. 69.

<sup>19</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. II, დოკ. № 257, გვ. 310.



შემოგვიწინებს უძრავი ქონების გასხვისების საკითხებზე, მოუდევარია მხოლოდ მიწის ნაკვეთის ისეთი ნასყიდობა, რომელიც კერძო პირის მიერ შეძენილია გარეშე პირებისაგან და არა სახლიკაცებისაგან. მაგრამ ეს ადრეული ამბავია სტადიალურად. სააკძებების ნასყიდობის წიგნში ეს თვალსაზრისი არ ჩანს.

შემოთ მოტანილი ნასყიდობის წიგნი დაახლოებით ტიპური და სხვა ჩვენამდე მოღწეული ნასყიდობის დოკუმენტების ანალოგიურია.

ქართული ნასყიდობის დოკუმენტები აგებულია, როგორც განცხადება ერთ-ერთი კონტრაგენტისა. სახელდობრ, როგორც ნასყიდობის ობიექტის გამსხვისებლის განცხადება გარიგების შესახებ, ამ უკანასკნელის არსის და ძირითადი შინაარსის გადმოცემით<sup>20</sup>.

ქართული ნასყიდობის დოკუმენტები, როგორც ვანხეთ, შეიცავენ ფორმულას, რომელშიც უნდა დაიცვას მყიდველი: 1) ევიქციისაგან და 2) სავინდიკაციო სარჩელით ნასყიდობის ობიექტის დაკარგვისაგან. პირველისაგან მყიდველი უნდა იხსნას „გულის შეჯერების“ ფორმულამ. მეორისაგან სპეციალურმა დათქმამ, რომ თუ ვინმე ნასყიდობის ობიექტის მოცილე გამოჩნდება, „პირი და პასუხი“ უნდა გასცეს გამყიდველმა.

რუსული სამართალი გვიანფეოდალური პერიოდისაა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა უკვე ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოც, საგვარეულო „ვოტჩინების“ გამოსყიდვას აშკარად უწყობდა ხელს. მაგალითად 1550 წ. სამართლის წიგნის 85-ე მუხლის მიხედვით ზუსტად არის განსაზღვრული იმ პირთა წრე, ვისაც აქვს საგვარეულო „ვოტჩინის“ გამოსყიდვის უფლება. გვარს უფლება აქვს 40 წლის განმავლობაში გამოისყიდოს გაყიდული, გაცვლილი და დაგირავებული საგვარეულო უძრავი ქონება. გაყიდული „ვოტჩინის“ უკუგამოსყიდვა შეიძლებოდა ნასყიდობის წიგნში ფიქსირებული ფულადი ექვივალენტის უკან დაბრუნებით.

გაყიდული „ვოტჩინის“ გამოსყიდვა შეეძლო გვერდითი შტოს იმ ნათესავსაც, რომელიც ნასყიდობის წიგნში მოწმედ არ იყო დასახელებული.

ძველი ებრაული სამართლის (ტყვეობის შემდეგდროინდელის) კონცეპციით ევიქციის შემთხვევაში მყიდველს აქვს უფლება გამყიდველს გადახდევინოს როგორც ნასყიდობის ობიექტის ფასი ასევე იმ სახსრების ფასიც, რაც მიწის მელიორაციაზე დაიხარჯებოდა (რავას კონცეპცია). რაბი შამუელის აზრით კი ასეთ შემთხვევაში გამყიდველმა უნდა გადაიხადოს მხოლოდ ნასყიდობის ობიექტის ფასი.

ქართული კერძო-სამართლებრივი დოკუმენტებისა და სხვა მასალების მიხედვით, ევიქციის შემთხვევაში, საფიქრებელია, მხოლოდ ნასყიდობის ობიექტის ფასი დაუბრუნდებოდა დაზარალებულ მყიდველს. ამისკენ მიგვანიშნებს ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, აგრეთვე ვახტანგ VI სამართლის წიგნის 168-ე მუხლი.

აქვე გავისხენოთ სომხური სამართლის პრაქტიკაც. მოუდევარი უძრავი ქონების გაყიდვის შემთხვევაში მყიდველის ხელში გადადიოდა საკუთრების უფლება გარიგების დადების წელს.

გამონაკლისს საერთო წესიდან შეადგენენ სიღარიბის მიზეზით გასხვისებული საგვარეულო ადგილ-მამულები. ასეთ შემთხვევაში გამყიდველს ან მის სახლიკაცებს აქვთ უფლება გამოისყიდონ (უკუგამოსყიდონ) შეიდი წლის განმავლობაში ის მამული, რომელიც მათ სიღარიბის მიზეზით გაყიდეს (მხითარ გოში. სამართლის წიგნი, ნაწილი მეორე, მ. 52). თუ ანალოგიური მიზეზით იყიდებოდა წისკვილი ან სახლი ქალაქის ფარგლებში, მაშინ გამოსყიდვის ვადა მხოლოდ ერთი წელი იყო, სოფლის ფარგლებში (გაყიდული სახლების მიმართ გამოსყიდვის ვადა ხელშეკრულებით უნდა ყოფი-

<sup>20</sup> დაახლოებით ასეთივე კონცეპციით იყო შედგენილი ბერძნულ-ელენისტური და ებრაული დოკუმენტები. ამასთანავე ძველ ბერძნულ სამართალს არ ახასიათებდა დოკუმენტების სტერეოტიპული სიტყვების და ფორმულების მკაცრ ჩარჩოში მოთავსება. ფორმულირების ევოლუცია ბერძნული ეპოქიდან ელინისტურ-რომაულ ეპოქამდე კარგად არ არის ცნობილი. იხ. R. Yaron. Introduction to the Law of the Aramic Papyri. Oxford. 1961. pp. 7(26); I. Mitteis. Reichsrecht und volksrecht in den östlichen Provinzen des Römischen Kaiserreichs. Hildesheim. 1963. S. 465.

И. Ш. Шифман. Царские и полисные земли в эллинистическо-римской Сирии. Палестинский сборник, вып. 15 (78). М.-Л., 1966, гл. 104—105.

ლიყო გათვალისწინებული (მხითარ გოშის სამართალი, ნაწილი II, მუხლი 53-54 და სხვ.)<sup>21</sup>.

ძველი ებრაული სამართალი მიწას „ღვთის მფლობელობად“ თვლიდა და ამიტომ არ შეიძლებოდა მისი გაყიდვა „სამუდამოდ“ (ლევიტელთა XXV, 23). „გამოსვლათას“ მიხედვით (XXI, I—II; XXV, 25—33) გაყიდული მიწის უკუგამოსყიდვის უფლებაზე ხანდაწმულობაც არ ვრცელდებოდა. რაც შეეხება სპეციალურად „საიუბილეო“ წლებს (შვიდი წელი, ორმოცდაათი წელი), ამ დროს ნაყიდ მიწებს უკან უბრუნებდნენ გამყიდველებს, აპატიებდნენ ვალეებს დებიტორებს, ათავისუფლებდნენ მონებს და ა. შ.

უფრო ზუსტად: მიწას ამუშავებდნენ 6 წლის განმავლობაში, მეშვიდე წელს მიწას ასვენებ-

დნენ. მონებს ამ მეშვიდე წელს ათავისუფლებდნენ, შეუძლო მოვალეს ვალს აპატიებდნენ. ხოლო 49 წელი რომ გავიღოდა მიწის ნასყიდობიდან და 50-ე წელი დადგებოდა, მაშინ მიწის გამყიდველს ან მის შთამომავალს, შეუძლო მიწის ფასი დაებრუნებინა მყიდველისათვის და ამრიგად გამოესყიდა მიწა (გამოსვლათა, XXI, 2, 3; XXIII, 10-11; ლევიტელთა XXV, 8—15; მეორე სჯულისა XV, 1—3).

როგორც ვხედავთ, საქართველოში ნასყიდობის ინსტიტუტი უფრო ძლიერი იყო და მოუშუღელი ვიდრე მეზობელ სომხეთში. ხოლო ნასყიდობის ინსტიტუტის ის სტადია, რაც მოხეს სჯულმა შემოგვინახა, ქართული იურიდიული პრაქტიკის მასალებით არ ჩანს.

<sup>21</sup> А. Г. Сукиасян, Общественно-политический строй и право Армении в эпоху раннего феодализма (III—IX вв. н. э.). Ереван, 1963, стр. 453—457.

Б. М. Арутюнян, Социально-экономическое положение крестьян в Армении XII в. по судебнику Мхитара Гоша. Вопросы истории № 8, 1952, стр. 53, Армянский судебник Мхитара Гоша. Ереван, 1954, стр. 174, 175.

# გამოჩენილი რევოლუციონერი



1971 წლის 17 თებერვს გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, პროფესიული რევოლუციონერი, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, სკკპ წევრი 1903 წლიდან სერგო ივანესძე ქავთარაძე.

სერგო ქავთარაძემ ბოლშევიკური პარტიის რიგებში განვლო დიდი და ძნელი გზა. იგი ყოველთვის იყო გაბედული და პრინციპული, დიდი ვაჟანებისა და ბრწყინვალე ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული მუსიკაი.

ს. ი. ქავთარაძე დაიბადა 1885 წლის 17 აგვისტოს ზესტაფონის რაიონის სოფელ ზოგრეთში. ნიკო ნიკოლაძის ოჯახში. არსებულ კერძო პანსიონში მომზადების შემდეგ სასწავლებლად გადაჰყავთ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც 1900-1901 წლებში მოსწავლეთა არალეგალური წრეების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ხელმძღვანელი ხდება. იგი დაუფალავად მუშაობს ცოდნის ვასაღრმავებლად, კითხულობს აკრძალულ ლიტერატურას, ეცნობა ქართველი და რუსი კლასიკოსების ნაწარმოებებს, ღრმად ეწყაფება ფილოსოფიურ ლიტერატურას.

ამ პერიოდში ს. ქავთარაძე უახლოვდება მ. ცხაკაიას და ალ. წულუკიძეს. მათი დახმარებით იღებს

სხვადასხვა პოლიტიკურ ლიტერატურას, სწავლობს მარქსის „კაპიტალს“, „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“ და მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა სხვა ნაწარმოებებს. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებმა: „რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ ომობენ ისინი სოციალდემოკრატების წინააღმდეგ“, „ნაროდნიკების ცონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“ და სხვ.

1903 წელს 18 წლის სერგო ქავთარაძე შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში. ამის შემდეგ იგი უფრო მეტი ენერგიით შეუდგა არალეგალურ-პარტიულ მუშაობას. მალე ხდება ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი და ხელმძღვანელი.

აი, რას წერს თავის მოგონებებში ცნობილი მწერალი ფუცუ დგებუაძე-ფულარია, რომელიც მაშინ ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში სწავლობდა, ჩაბმული იყო არალეგალური წრეების მუშაობაში და ახლო ნაცნობობა ჰქონდა სერგო ქავთარაძესთან.

„ჩვენს ახალგაზრდულ ბუნებაში ორი ვრძნობა იბრძოდა ამხ. სერიოჟას! მიმართ: პატივს ვცემდით მას რევოლუციური თვისებებისათვის და, ამავე დროს, ოდნავ გვშურდა ის პატივი, რომელიც 17-18 წლის, ჩვენს ტოლ ვაჟს უკვე მოეხვეჭა პარტიაში. სერიოჟა იმ დროს გარკვეული ბოლშევიკი იყო. კობას და ალ. წულუკიძის ნიჭიერი მოწაფე ხშირად გამოდიოდა ბოლშევიკების ახლად გახსნილ კლუბში და სხვა პარტიულ ამხანაგებთან ერთად იღებდა მონაწილეობას ფრაქციულ კამათში“.

ს. ქავთარაძე მონაწილეობდა 1903 წ. გამართულ ამიერკავკასიის მოსწავლეთა ორგანიზაციების ყრილობის მუშაობაში, რომელიც სასტიკი კონსპირაციის დაცვით მიმდინარეობდა მ. ორახელაშვილის ბინაზე. იგი ხელმძღვანელობდა 1904 წელს ქუთაისში მოწყობილ მოსწავლეთა დემონსტრაციას, რომელიც მიმართული იყო არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, რისთვისაც გარიცხულ იქნა გიმნაზიიდან. ამის შემდეგ კიდევ უფრო მჭიდროდ დაუახლოვდა იგი ქუთაისის პარტიულ ორგანიზაციას. 1904 წელს ს. ქავთარაძე შეიყვანეს რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის შემადგენლობაში. მუშაობის რთულსა და ძნელ პირობებში თავის შებრძოლ ამხანაგებთან ერთად ს. ქავთარაძემ არ იცოდა რა იყო დაღლა. ამ დიდმა ნდობამ კიდევ უფრო გაზარდა ახალგაზრდა ბოლშევიკის მებრძოლი სულსიკვეთება.

1. სეროჟა — სერგო ქავთარაძე



1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ს. ქავთარაძე, როგორც იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრი, ენერგიულად მუშაობს დასავლეთ საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებში. წერს პროკლამაციებს, მონაწილეობს სხვადასხვა სადისკუსიო კრებების მოწყობაში, გამოდის როგორც პროპაგანდისტი. იგი ი. სტალინთან, მ. ცხაკაიასთან, ა. წულუკიძესთან, ა. ჯაფარიძესთან, მ. დავითაშვილთან და სხვა გამოჩენილ ბოლშევიკებთან ერთად სასტიკად ამათრახებს მენშევიკების არასწორ პოლიტიკას პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებში; განუმარტავს ხალხის მასებს სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხებს, რევოლუციურ პროპაგანდას ქვეყა და მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს ავრცელებს დასავლეთ საქართველოში განლაგებულ ჯარის ნაწილებში.

ხელმძღვანელობს კურინსკისა და ფოთის პოლკებში მოწყობილ კონსპირაციულ წრეებს, აწყობს არალეგალურ კრებებს, ამხედრებს ჯარისკაცებს თვითმპყრობლობის წინააღმდეგ, მოუწოდებს არ დაღვარონ თავიანთი ძმების სისხლი და იარაღით ხელში იბრძოლონ მეფის მთავრობის დასამხობად.

იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის დავალებით სერგო ქავთარაძე თანამშრომლობდა პარტიის ცენტრალურ ორგანოში გაზ. „პროლეტარში“. იგი აწარმოებდა მიმოწერას ლენინთან და ნ. კრუსკაიასთან. მიანაწილეობდა რსდმპ კავკასიის კავშირის 1905 წლის ნოემბრის კონფერენციის მუშაობაში.

1906 წლის თებერვალში სერგო ქავთარაძე იარაღის შესაძენად გაიგზავნა საზღვარგარეთ — იარაღი უნდა შეეკვიათ ბელგიის ქალაქ ლიეჟში. ჰელსინკიფორსში მან პირადად გაიცნო ვ. ი. ლენინი და საუბარი ჰქონდა მასთან. ლენინთან შეხვედრამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა სერგო ქავთარაძესზე.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ სერგო ქავთარაძე არალეგალურ-პარტიულ მუშაობას ეწევა ბათუმის, ქუთაისის, თბილისის, პეტერბურგისა და ბაქოს პარტიულ ორგანიზაციებში. 1909 წელს მეფის ოხრანკამ იგი დააპატიმრა და აუკრძალა ამიერკავკასიაში ცხოვრება. 1912-1914 წლებში ს. ქავთარაძე მუშაობს გაზეთ „პრავდის“ რედაქციაში, ხელმძღვანელობს პეტერბურგის სტუდენტ-ახალგაზრდობის არალეგალურ წრეებს, ქმნის რედაქციას და აარსებს სტუდენტ-ბოლშევიკთა გაზეთ „იღლის ცხოვრებას“, რომელიც მალე დარბეულ იქნა პოლიციის მიერ.

პეტერბურგში მუშაობის პერიოდში ს. ქავთარაძეს პეტერბურგის ყანდარმთა სამმართველო იცნობდა, როგორც ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აქტიურ წევრს. პოლიცია კვალდაკვალ დასდევდა მას და ეძებდა ხელსაყრელ მომენტს მის დასაპატიმრებლად. რამდენიმეჯერ მოაწყვეს მისი ბანის ჩხრეკა. 1914 წლის 14 იანვარს იგი დააპატიმრეს. გაჩხრეკის დროს აღმოუჩინეს

პროკლამაციები და აკრძალული ლიტერატურა. ბოლშევიკი ამხანაგების დანმარებით მალე ს. ქავთარაძემ მოახერხა ციხიდან გაქცევა და სასწრაფოდ დატოვა პეტერბურგი.

1914 წლის დეკემბერში ს. ქავთარაძე ჩამოდის საქართველოში და სათავეში უდგება თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციას.

1916 წლის 18 აგვისტოს თბილისის პარტიული ორგანიზაციის ჩავარდნის დროს სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად დააპატიმრეს სერგო ქავთარაძეც. კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსის გადაწყვეტილებით მას მიესაჯა გადასახლება ციმბირში, ირკუტსკის გუბერნიაში და ცხოვრება პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ; მაგრამ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამო პოლიციამ ვეღარ შეძლო მისი სისრულეში მოყვანა.

1917 წლიდან სერგო ქავთარაძე, როგორც ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ერთერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი, სხვებთან ერთად სათავეში ედგა მშრომელთა გამორულ ბრძოლებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ს. ქავთარაძის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია 1917 წელს. 1917 წლის 11 მარტს გამოვიდა ბოლშევიკური გაზეთის „კავკასკი რაბოჩის“ პირველი ნომერი. გაზეთის დაარსების ინიციატორი და რედაქტორი იყო ს. ქავთარაძე; გაზეთი მალე გახდა რსდმპ (ბ) თბილისისა და კავკასიის სამხარეთო კომიტეტის ორგანო.

ს. ქავთარაძე დაძაბულად მუშაობდა, ახერხებდა დიდი სიძნელეების გადალახვას და უზრუნველყოფდა გაზეთის ყოველდღიურ გამოშვებას. თავის სტატიებში: „კონტრრევოლუციასთან ბრძოლა“, „კოალიციური სამინისტრო და მენშევიკები“, „სასიკვდილო განაჩენი“, „შხადება შეტყვისათვის“, „რევოლუციის ახალი სტადია“ და სხვ. იგი დაუნდობლად აკრიტიკებდა და ამხედრდა დროებითი მთავრობის ბურჟუაზიულ ხასიათს, მის კონტრრევოლუციურ ბუნებას, აასკარავებდა შემთანხმებულური და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მოღალატურ ტაქტიკას, ეწეოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის ლენინური იდეის ფართო პროპაგანდას.

ს. ქავთარაძემ მ. ცხაკაიასთან, ფ. მახარაძესთან და სხვებთან ერთად დიდი პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღა ლენინის აპრილის თვისებისა და ბოლშევიკების აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ხალხის ფართო მასებისათვის გასაცნობად. განუმარტავდა მათ ომის იმპერიალისტურ ხასიათს, ბოლშევიკების ტაქტიკურ ხაზს, ლენინური ლოზუნგების მნიშვნელობას. ს. ქავთარაძე ესწრებოდა 1917 წლის აპრილ-მაისში გამართულ კავკასიის არმიის პირველ ყრილობას, რომელიც თავისი შემადგენლობით ესერულ-მენშევიკური იყო. იგი გამოვიდა ბოლშევიკური პლატფორმით და მოითხოვა იქ



დამსწრე კონტრრევოლუციონერი გენერლების -- იუდენიჩისა და სხვების დაპატიმრება.

ს. ქავთარაძე, როგორც თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის წარგზავნილი მონაწილეობდა რსდმპ (ბ) VI ყრილობის მუშაობაში. ყრილობაზე მან წარმოთქვა სიტყვა და ყურადღება გაამახვილა თბილისის ორგანიზაციის მუშაობაზე კავკასიის ფრონტის ჯარის ნაწილებში. ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ იგი გამოდის მოხსენებებით მიმდინარე მომენტისა და VI ყრილობის შედეგების შესახებ თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის აქტივზე და ქლაქის რაიონულ ორგანიზაციებში.

პარტიის VI ყრილობის შედეგები გაცნო ს. ქავთარაძემ კავკასიის პარტიული ორგანიზაციის ბირველ ყრილობას (1917 წ. 2 ოქტომბერი), რომელმაც იგი მ. ცხაკაიასთან, ა. ჯაფარიძესთან, ს. შაუმიათან, ფ. მახარაძესთან და სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად აირჩია სამხარეო კომიტეტის წევრად.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სერგო ქავთარაძემ სხვა ბოლშევიკებთან ერთად ბრძოლა გააჩაღა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერთა ბლოკისა და შემდეგ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. იგი მონაწილეობდა კავკასიის არმიის მეორე სამხარეო ყრილობის მუშაობაში — 1917 წლის 10-23 დეკემბერს, რომელიც ბოლშევიზმის გამარჯვების ნიშნით ჩატარდა. მან სამარტსვინო ბოძზე გააკრა კავკასიის არმიის სამხარეო ცენტრი და მისი თავმჯდომარე დონსკოი, რომელიც იარაღს აწვდიდა ჩრდილოეთ კავკასიის კონტრრევოლუციურ გენერლებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

სერგო ქავთარაძე სხვა ხელმძღვანელი პარტიული ამხანაგების მხარდამხარ ენერგიულად იბრძოდა კონტრრევოლუციური დაჯგუფებების წინააღმდეგ, ასორციელებდა მრავალ გაბეჯულ დონსკოიებს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში.

1918 წლის 10 თებერვალს თბილისში მოწვეულ იქნა კონტრრევოლუციური ნაციონალისტური ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო — ამიერკავკასიის სეიმი. იგი ამოცანად ისახავდა გაეძლიერებინა ბრძოლა ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ და იურიდიულად გაეფორმებინა ამიერკავკასიის მოწყვეტა საბჭოთა რუსეთისაგან.

ამიერკავკასიის კომისარიატმა გაითვალისწინა, რომ ბოლშევიკები სეიმისა და კონტრრევოლუციურ ბლოკის სუბპარტიული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ამიტომ გადაწყვიტა რეპრესიებით (სამხედრო წესების შემოღებით, დაპატიმრებებით, ბოლშევიკური ორგანოების რედაქციებისა და სტამბების დაბრუნებით, მიტინგებისა და დემოსტრაციების აკრძალვით) დაეცვა თავი და ამით გადაერჩინა თავისი ნაშვირი სეიმი.

„კავკასსკი რაბოჩის“ რედაქცია 8 თებერვალს დაარბიეს, მაგრამ 9 თებერვალს ს. ქავთარაძის ხელმძღვანელობით კვლავ არალეგალურად გამოვიდა „კავკასსკაია პრავდა“.

ბოლშევიკური გაზეთების დახურვითა და დაპატიმრებებით აღშოფოტებულმა მუშებმა გადაწყვიტეს გამოეცხადებინათ საპროტესტო გაფიცვა. 10 თებერვალს ალექსანდრეს სახელობის ბაღში მოეწყო გრანდიოზული მშვიდობიანი მიტინგი. მიტინგს ხელმძღვანელობდა სერგო ქავთარაძე. მიტინგს, რომელსაც 3000-ზე მეტი მუშა და ჯარისკაცი დაესწრო, მენშევიკებმა სროლა აუტყვეს. ამის შემდეგ სერგო ქავთარაძე სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად გადადის არალეგალურ მუშაობაზე. 1918 წლის ივლისში პარტიული მუშაობის ცენტრი გადატანილ იქნა ვლადიკავკავში.

ს. ქავთარაძე არჩეულ იქნა ვლადიკავკავის დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. იგი კვლავ დაუცხრომლად მუშაობს „კავკასსკაია პრავდის“ შეუფერხებლად გამოცემისათვის.

ს. ქავთარაძე, როგორც პოლიტიკური კომისარი, აქტიურ მონაწილეობასღებულობდა დუშეთის გლეხთა 1918 წლის ივნისის აჯანყებაში.

დენიკინელთა მიერ ვლადიკავკავის ადების შემდეგ 1919 წ. თებერვალში სერგო ქავთარაძე ჩამოდის თბილისში. აქ იგი მენშევიკების მთავრობამ დააპატიმრა და 15 თვე ამყოფა მეტეხის ციხეში, საიდანაც განთავისუფლდა 1920 წლის 7 მაისს, როდესაც დაიდო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის. მენშევიკებმა ვალდებულება იკისრეს მოესხდინათ ბოლშევიკური ორგანიზაციების ლიკლივიზაცია.

ს. ქავთარაძე საპყრობილედან გამოსვლისთანავე დაუბრუნდა აქტიურ პარტიულ მუშაობას. საბჭოთა მთავრობამ იგი დანიშნა საქართველოში რსფს რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩის ს. მ. კიროვის მრჩევლად.

1921 წლის თებერვალში მენშევიკურმა მთავრობამ, რომელიც გრძობდა თავისი აღსასრულის მოახლოებას, სხვა ბოლშევიკებთან ერთად დააპატიმრა ს. ქავთარაძეც. იგი ჰყავდათ ჯერ ქუთაისის, შემდეგ კი ბათუმის ციხეში, საიდანაც განთავისუფლდა 1921 წლის 17 მარტს.

ციხიდან გამოსულმა კომუნისტებმა უპირველესად დაიკავეს მენშევიკების გენერალ-გუბერნატორის ცარიელი სასახლე და ფართო პარტიულ კრებაზე ჩამოაყალიბეს ქ. ბათუმისა და ბათუმის ოლქის რევოლუციური კომიტეტი. რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს სერგო ქავთარაძე.

აჭარის რევოლუციონერმა კომიტეტმა გააკეთა ყველაფერი, რათა აჭარა გადაერჩინა საქართველოსაგან მოწყვეტას. მან შეძლო მოეპოვებინა აჭარელი ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერა. წითელი არმიის შემოსვლამდე რეკომმა მენშევიკების რეგულარული

ჯარის ნაწილების გამოყენებით შეძლო აჭარის გაწმენდა თურქი დამპყრობლებისაგან. 1921 წლის 18 მარტს გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ სრულიად ახალი პერიოდი დაიწყო სერგო ქავთარაძის ცხოვრებაში. დამთავრდა მისი მოღვაწეობის ერთი ეტაპი, რომელიც 1901 წლიდან 1921 წლამდე გრძელდებოდა, და დაიწყო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის დიდი გზა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით სერგო ქავთარაძე იგზავნება სხვადასხვა საბასუსისმგებლო სამუშაოზე. მან თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა სახელმწიფო მოღვაწემ, სოციალისტური სამშობლოს დაუცხრომელმა მშენებელმა. სერგო ქავთარაძე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე აქტიურად ჩაება ყველა იმ პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიურ ღონისძიებებში, რასაც საქართველოს კომუნისტური პარტია ატარებდა ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებების საფუძველზე. იგი ენერგიულად მუშაობდა პროლეტარული დიქტატურის ორგანოების შექმნასა და სხვა ღონისძიებების გატარებაში. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში ძველი, ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის მსხვერვასა და ახალი სოციალისტური სახელმწიფო ხელისუფლების შექმნაში.

აღსანიშნავია, რომ ს. ქავთარაძის უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავებულ იქნა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის, პროკურატურისა და ადვოკატურის პროექტები, რომლებიც დაამტკიცა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-

რულებელი კომიტეტის მე-4 სესიამ — 1922 წლის 30 სექტემბერს.

სხვადასხვა დროს სერგო ქავთარაძე იყო საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ჯერ შუა აღმოსავლეთის განყოფილების გამგე, შემდეგ კი, მინისტრის მოადგილე. დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომ წლებში სერგო ქავთარაძე მონაწილეობდა მოსკოვის, იალტის, პოტსდამისა და პარიზის საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში. შვიდი წელიწადი იყო სსრ კავშირის სრულუფლებიანი ელჩი რუმინეთში, სადაც დააჯილდოვეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი ხარისხის ოქროს ვარსკვლავის ორდენით.

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის იგი დაჯილდოებული იყო ლენინის სამი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენითა და სხვადასხვა მედლებით. 1965 წელს ზეიმით გადაუხადეს დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. 1968 წელს გამოვიდა მისი ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი ბიოგრაფიული ნარკვევი.

მადლიერმა საბჭოთა ხალხმა მშრომელთა ვათავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერა სერგო ივანეს-ძე ქავთარაძის სახელი. მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა ხომ ბრწყინვალე მაგალითია ყველა კომუნისტისათვის, ყველასათვის, ვინც თავისი შრომით ემსახურება ხალხის ბედნიერი მომავლის საქმეს.

გ. ასათიანი



## ნესიეჩი კასი

ამ საქმეში ყველაზე უფრო საინტერესო არა იურიდიული, არამედ მორალური, ადამიანური მხარე...

სამი წლის წინათ, 1968 წლის 12 აპრილს, ყაზახეთის სსრ ქალაქ გურიევის სასამართლომ დიმიტრი იასონის ძე მანჯავიძეს მიუსაჯა ხუთი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

მანჯავიძეს ბრალად ედებოდა თაღლითური გზით მტაცებლობა, კერძო მწარმოებლური საქმიანობა და ყალბი საბუთების გამოყენება კბილის სატექნიკო სკოლის დამთავრების შესახებ. საკასაციო ინსტანცია — გურიევის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა ზოგიერთი ბრალდება, მტაცებლობა თაღლითური გზით და კერძო მწარმოებლური საქმიანობა არ ცნო დადასტურებულად და სასჯელი შეუშვირა ორ წლამდე. სასამართლო კოლეგიის განჩინების წინააღმდეგ გამოვიდა საოლქო გაზეთი „კომუნისტიკ ენბეკ“, რომელმაც განმარტა, რომ მანჯავიძე, უდავოდ ქურდია, თაღლითი და კერძო მეწარმეა, ხოლო სასამართლო კოლეგიის წევრებმა: ტრუშოვმა, ჟაკიევმა და კაბადიევმა გაუგებარი ლიბერალიზმი გამოიჩინეს, შეუშუსუბუქეს დამნაშავეს ბრალი. საოლქო სასამართლოს მოვალეობაა, რაც შეიძლება ჩქარა გამოასწოროს ეს შეცდომა.

პროკურორის პროტესტის საფუძველზე საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა „ლიბერალური“ გადაწყვეტილება, საქმე გადასცა საკასაციო წესით ხელახლა განსახილველად მოსამართლეთა ახალ შემადგენლობას და ამჯერად ქალაქის სასამართლოს მკაცრი განაჩენი — ხუთი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა — ძალაში დარჩა.

პრეზიდიუმის სხდომას და კოლეგიის ახალ შემადგენლობას თავმჯდომარეობდა გურიევის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე აბულაის შილმანის ძე შილმანოვი.

მანვე შეატყობინა საოლქო გაზეთს, რომ ზომები სტატიის გამო მიღებულია, დამნაშავეს მიეზლო დამსახურებისამებრ და ეს წერილი, რა თქმა უნდა, გაზეთმა ყოფილებით გამოაქვეყნა. საკითხი თითქოსდა ამოიწურა, მართლმსაჯულებამ გაიმარჯვა. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ მოსკოვიდან გურიევიში ჩამოფრინდა ადვოკატი ლ. ი. ლეონოვი. მან შეისწავლა საქმე და სამუშაო დღის ბოლოს მივიდა კაბინეტში შილმანოვთან.

აბულაის შილმანის ძეგ, — უთხრა ადვოკატმა, — მე წინასწარ ვიცი, რასაც თქვენ მეტყვიით. განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ზედამხედველობის წესით, მაგრამ საქმის მასალების გაცნობისას მე დავრწმუნდი, რომ საოლქო სასამართლომ შეცდომა დაუშვა. დანაშაული დამტკიცებული არ არის, სამართალში მიცემული უნდა გაემართლებინათ. ნუთუ სასამართლოს ეს შეცდომა არ გადელევბთ თქვენ როგორც იურისტს, დაბოლოს, უბრალოდ, როგორც სამართლიან ადამიანს?

ლ. ი. ლეონოვი, ელოდა კიდევ, ლაპარაკი რომ ამით დამთავრდებოდა ადვოკატები ყოველთვის ამტკიცებენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფნი დამნაშავენი არ არიან და მოითხოვენ ადამიანურ სამართლიანობას. ამ შემთხვევაში, კ

უკვე იყო საერთო სირთულის ოთხი სასამართლო სხდომა, მკაცრი გამოსვლა საოლქო გაზეთისა და თვით შილმანოვის ხელის მოწერა მანჯავიძის უდავოდ გამამტყუნებელ ორ დოკუმენტზე.

მაგრამ შილმანოვმა თქვა:

— ჩვენ შევცდით? რა გაეწყობა, დაამტკიცეთ. ისინი ჩაუჯდნენ საქმეს — ორი იურისტი, ორი ადამიანი, ორი კომუნისტი და ჩვენება — ჩვენებაზე, ოქმი — ოქმზე, მტკიცება — მტკიცებაზე განიხილეს და შეისწავლეს.

გულის სიღრმეში ადვოკატს მიაჩნდა, რომ საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს სურდა, კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო, რომ მის მიერ დამტკიცებული განაჩენი დასაბუთებულია, ლოგიკურია, გამაგრებულია ყველა საჭირო მასალით, და საზედამხედველო ინსტანცია მას ძალაში დატოვებს, გურიევის სასამართლოსათვის პროფესიულ „წუნში“ ჩაუთვლელად.

მაგრამ საქმის შესწავლიდან რამდენიმე საათის შემდეგ შილმანოვმა თქვა:

— რა გაეწყობა, ამხანაგო ადვოკატო, იძულებული ვარ ვადიარო: თქვენ მართალი ხართ. ეს საქმე მეტად რთულია, ბევრ რამეში წინააღმდეგობრივია. მაგრამ, ვფიქრობ, მანჯავიძის ბრალი მართლაც რომ არ არის დამტკიცებული.

— მაშასადამე, გავასაჩივრო? — შეეკითხა ადვოკატი.

— არ არის საჭირო, — თქვა მოსამართლემ. — მე თვით შევალ წარდგინებით რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში, შევედავები ჩემსავე საკუთარ განჩინებას.

უნდა გამოგტყდეს, რომ არც თუ ხშირად მქონია შემთხვევა წამეკითხოს ამდაგვარი დოკუმენტი: „ყაზახეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს... სასამართლოს განაჩენი და აგრეთვე გურიევის საოლქო სასამართლოს პრეზიდენტის დადგენილება... მიმჩნია არასწორად და ისინი ექვემდებარებიან გაუქმებას... გურიევის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე“.

დოკუმენტში ჩამოთვლილია მოსაზრებები, რომლის გამოც თავის დროზე დასჯილი იქნა ადამიანი და განმარტებულია თუ რატომ უნდა იქნეს ბოლოს და ბოლოს უარყოფილი ეს მოსაზრებანი.

რასაკვირველია, ასეთ დასკვნამდე მოსამართლე შილმანოვი მარტო ადვოკატის დაჟინებითმა მოთხოვნამ არ მიიყვანა. ჯერ კიდევ ადრე შილმანოვის კოლეგები, საოლქო სასამართლოს წევრები ტრუმოვი, ჟაკიევი და კაბდევევი ეჭვის ქვეშ აყენებდნენ მანჯავიძის მიმართ წაყენებული ბრალდებების უმეტეს ნაწილს. მაშინ შილმანოვი კოლეგებს არ დაეთანხმა. ახლა კი, ხელახლა შეისწავლა რა საქმე, დარწმუნდა, რომ მათი მოსაზრებანი ბრალდებულის სასარგებლოდაა... მერე რა არის ამაში საკვირველი? სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი რთული საქმეები, სადაც ჭეშმარიტება მეტად ძნელად ირკვევა.

ბოლოს და ბოლოს უფრო საშიშია არა სასამართლოს შეცდომა, არამედ მიუტევებელი ჯიუტობა, რითაც ცდილობენ ეს შეცდომა დაიცვან და მუდმივყონ.

...განიხილა რა შილმანოვის წარდგინება ყაზახეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია ნაწილობრივ დაეთანხმა მას. მტაცებლობა თაღლითობის გზით მანჯავიძეს კვლავ მოეხსნა. მაგრამ მისი კერძო მწარმოებლური საქმიანობა და ყალბი დოკუმენტის შექმნა ჩაითვალა დამტკიცებულად.

ასეთ კომპრომისულ დასკვნას უნდა დაეკმაყოფილებინა შილმანოვის პროფესიული თავმოყვარეობა: ერთის მხრივ ზემდგომმა ინსტანციამ საკმაოდ დასაბუთებულად ჩათვალა მისი წარდგინება, მეორეს მხრივ კი ბევრ რამეში დაადასტურა მის მიერ წინათ გამოტანილი განაჩენი.

ვინ უსაყვედურებდა შილმანოვს, რომ მას ბოლოს და ბოლოს, დავიწყებოდა მანჯავიძის საქმე და დამშვიდებულიყო? მაგრამ შილმანოვს აწუხებდა ცოცხალი ადა-

მიანის ბედი, მისი თვალსაზრისით საკმაოდ დაუსაბუთებელი მსჯავრდებულისა, აღლევებდა სამართლიანობის გრძნობა.

იგი მიმართავს სსრკ უმაღლეს სასამართლოს და ითხოვს გადასინჯონ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს განჩინება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ გ. ა. ანაშკინმა მისი მოსაზრებანი საყურადღებოდ მიიჩნია და მიწერა ყაზახეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს მოადგილეს ა. გ. პუშენიკოვს: „გთხოვთ იმსჯელოთ ყაზახეთის სსრ უმაღლეს სასამართლოში პროტესტით შესვლის საკითხზე“.

პროტესტი შეტანილ იქნა. პრეზიდიუმში აუქმებს ყველა წინათ გამოტანილ განაჩენებს, განჩინებებს, დადგენილებებს და საქმეს აბრუნებს ხელახალი გამოძიების ჩასატარებლად. მისი დამთავრების შემდეგ საქმე კვლავ გურიევის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მაგიდაზე (შილმანოვი, ბუნებრივია, ამჯერად სხდომის მონაწილე არ არის). კოლეგიამ მანჯავიძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

ყაზახეთის უმაღლესი სასამართლო გამამართლებელ განაჩენს სტოვებს უცვლელად, იგი შედის კანონიერ ძალაში.

იურიდიული ისტორია ამით მთავრდება, ხოლო მორალური კი მხოლოდ ახლა შედის ყველაზე გადამწყვეტსა და დაძაბულ ფაზაში.

გახსოვთ ზემოთ ვთქვი, მანჯავიძეს რომ ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. შილმანოვმა ამის შესახებ შეატყობინა საოლქო გაზეთს, რომელმაც დაბეჭდა მისი წერილი რუბრიკით „ჩვენი გამოსვლების კვალდაკვალ“.

ახლა როდესაც ადამიანი გამართლებულია, შილმანოვი კვლავ მიმართავს გაზეთს. იგი სთხოვს საჯაროდ გამოაქვეყნონ, რომ თავის დროზე მანჯავიძე სრულიად და-

უმსახურებლად იქნა გალანძღული და სახელგატყენილი, რომ თითონ, მოსამართლე შილმანოვი, მაშინ ცდებოდა, ხოლო მისი კოლეგები, საოლქო სასამართლოს წევრები ტრუმოვი, ჟაკიევი და კაბდიევი, პირიქით, სამართლიანად მოიქცნენ, არავითარი საშიში „ლიბერალიზმი“ დამნაშავისადმი არ გამოუვლინებიათ. გაზეთი ვალდებულია ეს გააკეთოს, რადგან სხვანაირად დარღვეული იქნება საბჭოთა კანონი, რომელიც იცავს საბჭოთა მოქალაქის პატივსა და ღირსებას საჯარო შელახვისაგან (რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი).

ვერ გამოვიტანოთ რაგონი გამოიყენეს ჩემმა კოლეგებმა ეს წერილი მაღალი ზნეობრივი საუბრისათვის, სამართლის სიყვარულზე, პატიოსნებაზე, მოქალაქეობრივ ვაჟკაცობაზე.

მაგრამ რედაქციამ არ გამოიყენა ეს წერილი.

უფრო მეტიც, გურიევის ჟურნალისტებზე მეტად განაწყენებულია მ. ვოროტინოვა, იმ სტატიის ავტორი, რომელის სტატია გამოქვეყნებული იყო ამ ისტორიასთან დაკავშირებით „ყაზახისტანის“ პრაგდაში“. მ. ვოროტინოვა უგუნური ბიჭუნასავით უსაყვედურებს მოსამართლე შილმანოვს. ეს რა გამოდის? — კითხულობს იგი. თავიდან თვით მონაწილეობდა მანჯავიძისათვის გამამტყუნებელ განაჩენის გამოტანაში, ახლა მოითხოვს საოლქო გაზეთებიდან უარყოფის გამოქვეყნებას და ამასთანავე მიუთითებს კიდევ საბჭოთა კანონზე. „შანტაჟს წააგავს!“ — საშიშ დასკვნას აკეთებს მ. ვოროტინოვა.

მისი სტატია „მორალის თემაზე“ დაქვესათაურებული.

და მე არ მეჭვჭვება, რომ ავტორს კეთილი განზრახვა ამოძრავებდა, მაგრამ დახვთ, ბოლოს რა გამოდის. შეცდი, უსამართლოდ აწყენინე ადამიანი? არაფერია. გაჯიუტდი, დაიჟინე შენი, დაიცავი მუნდირის ღირსება...

მე მესმის კიდევ, მ. ვოროტინოვას ძვე-

ლი თარიღით რომ წარედგინა ყოფილ სამართალში მიცემული მანჯავიძისათვის მორალური ანგარიშები და ვთქვა: სასამართლომ გაგამართლათ, მაგრამ თქვენ მაინც მოიხდგეთ უკან, დაუფიქრდით, ანგელოზისებრ წმინდა იყო თქვენი ცხოვრება... სასამართლო გამართლება არც თუ ყოველთვის არის მორალური გამართლება.

მაგრამ სტატიის ავტორს, როგორც ხჩანს, გაცილებით უფრო მეტად აწუხებს არა გუშინდელი სამართალში მიცემული, არამედ მისი გუშინდელი მოსამართლენი. „საოლქო სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი“, — საყვედურობს იგი, — „მაგრამ რამდენად დასაბუთებულად?

ხოლო იმაზედ კი, რომ ამ გამამართლებელ განაჩენს წინ უძღოდა საქმის შესწავლა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში; განხილვა რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში, რომ განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში, ამაზე სტატიაში არაფერი არ არის ნათქვამი, გადაკრულადაც კი.

არც ის არის ნახსენები, რომ როდესაც გურიევის საოლქო პროკურორმა ამხ. ნაზირთოვა, როგორც ხჩანს „ინერციით“, წინადადება მისცა ქალაქის ჯანგანს გაეთავისუფლებია სამუშაოდან სასამართლოს მიერ გამართლებული მოქალაქე, — საქმეში ჩაერია რესპუბლიკის პროკურორი სეიტოვი და აიძულა თავისი ფიცხი კოლეგა „მიეღო ზომები მანჯავიძის დარღვეული უფლებების აღსადგენად“.

ჩვეულებრივად ასეა: მორალური სიყრუე ამჟღავნებს, უპატივცემლობას კანონისადმი, სამართლისადმი და ასევე ელემენტარული მართლშეგნების უქონლობას.

თუმცა ეს ზედმიწევნით დიდი თემა არის, დამოუკიდებელი თემა, მისი გაშლისათვის აქ არ არის ადგილი.

მე მხოლოდ მსურს, რომ სახალხოდ მოვიხადო ქუდი პატიოსანი კაცის — გურიევის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის — აბულაის შილმანის ძე შილმანოვის წინაშე.

თარგმანი ალ. ალავიძისა.



# ქიქვი და ბიჭოჭი

## დახმარე სახელმწიფო

ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობამ 1970 წელს გამოსცა პროფ. გ. ი. პეტროვის დახმარე სახელმძღვანელო „საბჭოთა ადმინისტრაციული სამართალი (ზოგადი ნაწილი)“. წიგნის ზოგიერთი პარაგრაფი დაწერილია ვ. დ. სოროკინის, ა. პ. კორენევის, ნ. პ. პობორჩაისა და ე. ა. ჩეკანოვის მიერ.

აღნიშნული დახმარე სახელმძღვანელოს თავისებურება, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ აქ წინა პლანზეა წამოწეული ადმინისტრაციული სამართლის დღევანდელი მეცნიერების აქტუალური პრობლემები. მართალია შრომას დახმარე სახელმძღვანელოს ხასიათი აქვს, მაგრამ იგი შეეხება ადმინისტრაციული სამართლის პროგრამის ზოგადი ნაწილის თითქმის ყველა საკითხს.

შრომა შესდგება 5 განყოფილებისა და 17 თავისაგან. პირველი განყოფილება შეეხება საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მმართველობის ცნებას, რომელიც საბჭოთა ადმინისტრაციული სამართალში პროფ. გ. პეტროვმა შემოიღო. დღევანდელ პირობებში, როცა დღით-დღე იზრდება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანოების როლი საქმაოდ დიდ ადვილს იკავებს მმართველობის ის ფორმა, რომელსაც ისინი ახორციელებენ. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ახორციელებენ რა სახელმწიფოს ფუნქციებს, უშუალო მონაწილეობას ღებულობენ სახალხო მეურნეობისა და სოციალ-კულტურული მშენებლობის საქმეში. ამასთან პროკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა შეეხება საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის თითქმის ყველა დარგს, ხოლო სხვა ორგანიზაციების მოქმედების სფერო შემოიფარგლება რომელიმე კონკრეტული დარგით (მაგ. „დოსაფის“ საქმიანობის არეა სამხედრო-თავდაცვითი მუშაობა). სახელმწიფო ორგანოთა ზოგიერთი ფუნქცია, რომელსაც ადრე მმართველობის ორგანოები ახორციელებდნენ, დღეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქვთ გადაცემული და საზოგადოებრივ საწყისებზე ხორციელდება. ყოველივე ამის გამო, საცხებით სამართლიანია სახელმწიფო მმართველობასთან ერთად საზოგადოებრივი

მმართველობის შესახებ საკითხის დაყენება. დასახელებულ წიგნში არა მარტო დაყენებულია ეს საკითხი, არამედ განხილულია კიდევ მისი დამახასიათებელი ნიშნები.

დამახასიათებელია საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის პეტროვისეული ვაგება. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ავტორი უმართებულოდ მიაკუთვნებს გ. ი. პეტროვს ს. ს. სტუდენიკინის აზრის მოზიარედ სახელმწიფო მმართველობის ცნების საკითხში!

როგორც დასახელებულ დახმარე სახელმძღვანელოსა და გ. ი. პეტროვის სხვა შრომებშია ხაზგასმული, სახელმწიფო მმართველობის ცნება იხმარება როგორც ფართე, ისე ვიწრო გაგებით. სახელმწიფო მმართველობის ვიწრო ცნება, ე. ი. საბჭოთა სახელმწიფოს აღმასრულებელ-განმარგვლებელი, ადმინისტრაციული საქმიანობა გ. ი. პეტროვს ესმის არა როგორც სახელმწიფოს ყველა ორგანოს ორგანიზაციული საქმიანობა, არამედ მხოლოდ მმართველობის ორგანოთა, მოსამსახურეთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ორგანიზაციული მოღვაწეობის ფორმა. ამასთან მმართველობისათვის დამახასიათებელი ორგანიზაციული საქმიანობა, მისი გაგებით გულისხმობს სახელმწიფოს ფუნქციების კონკრეტული განხორციელების პრაქტიკულ ორგანიზაციას. მართლაც, სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების პრაქტიკული ორგანიზაცია მმართველობის ორგანოებს ახასიათებს და არა ხელისუფლების, მართლმსაჯულების თუ პროკურატურის ორგანოებს. აქედან ცხადია, რომ წინამდებარე შრომის ავტორი არ იზიარებს ს. ს. სტუდენიკინისა და სხვათა გაფართოებულ შეხედულებას საბჭოთა სახელმწიფო მმართველობაზე.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა წიგნის ავტორის შეხედულება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსზე. სუბიექტების უფლებებისა და მოვალეობის თანაფარდობის მიხედვით გ. ი. პეტროვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებს ყოფს ურთიერთდაკავშირებარებისა და არადაკავშირებარების ურთიერთობებად, ანუ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ურთიერთობებად.

<sup>1</sup> იხ. Советское административное право (общая ч.), под ред. Ю. М. Козлова, М., 1962, стр. 54.

ვერტიკალური ურთიერთობები წარმოიშვება ზემდგომ და ქვემდგომ მმართველობის ორგანოებს შორის, მათ და ქვემდებარე საწარმოთა და დაწესებულებათა შორის, მმართველობის რგოლის შემადგენელ ნაწილებს, ზემდგომ და ქვემდგომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, ამ ორგანოებსა და ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის. რაც შეეხება ჰორიზონტალურ ურთიერთობებს, იგი, გ. ი. პეტროვის გაგებით, წარმოიშვება არაურთიერთდაქვემდებარებულ მმართველობის ორგანოებს, დაწესებულებებს, საწარმოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, აგრეთვე მოქალაქეებს შორის.

გ. ი. პეტროვის სწორი განმარტებით, სახელმწიფო მმართველობაში მხოლოდ ურთიერთდაქვემდებარების აღიარება ეწინააღმდეგება მმართველობის დემოკრატიულ პრინციპებს, იმას, რომ აქ ძირითადია დარწმუნება, აღზრდა, მაგალითის მიცემა და არა იძულება. განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობები მოქალაქეებსა და მმართველობის ორგანოებს შორის თვალნათლივ ცხადყოფენ, რომ აქ სუბიექტები ერთმანეთს არ ექვემდებარებიან, პირიქით, სამართლის ნორმა ავალდებულებს მმართველობის ორგანოებს შეასრულონ გარკვეული მოქმედება მოქალაქეების სასარგებლოდ, რომელთათვისაც, ეს ნორმა აღმკურველი ნორმაა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს შორის ჰორიზონტალური ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია მათი უფლება-მოვალეობების თანასწორობა. როგორც ერთ, ისე მეორე მხარეზეა უფლებებიც და მოვალეობებიც, რის გამოც ისინი ერთმანეთს არ ემორჩილებიან. საკითხის ასეთნაირი დაყენება ხელს უწყობს ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობის მთელი რიგი საკითხების სწორად გადაჭრას, ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის სწორად გაგებას ადმინისტრაციული სამართლის რიგ საკითხებში.

საკითხის ახლებურად დაყენების სხვა შემთხვევებს შორის აღსანიშნავია მმართველობის პრინციპების ავტორისეული განხილვა. ამ პრინციპებს შორის სიახლეს წარმოადგენს მმართველობაში მეცნიერული საწყისი. მეცნიერული კვლევის შედეგების გამოყენება სახელმწიფო მმართველობაში დღევანდელ პირობებში აუცილებელია. ეს პრინციპი, გ. პეტროვის გაგებით, გულისხმობს მმართველობის საკითხების მეცნიერულ გადაწყვეტას, მმართველობის აქტებისა და თანამდებობის პირთა მოქმედების ობიექტურ დასაბუთებულობას,

ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის აკრძალვას. საზოგადოების განვითარების დღევანდელი დონე მოითხოვს, რომ თანამდებობის პირი იყოს თავისი საქმის კარგი მცოდნე, შეგნებული, განათლებული და კულტურული ადამიანი. სამეურნეო და სოციალ-კულტურული მშენებლობის ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას საჭიროა მოქმედი კანონმდებლობის კარგი ცოდნა, გამოცდილება და დაკვირვება. მაგრამ მეცნიერული ხელმძღვანელობის პრინციპი, ჩვენი აზრით, მარტო სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას როდი გულისხმობს. აქ მთავარია ამა თუ იმ დარგის ხელმძღვანელი მუშაკი იყოს ამ დარგის სპეციალისტიც, რათა ერკვეოდეს იმ დარგის ტექნოლოგიაში თუ წარმოების პროცესებში, რომლის ხელმძღვანელობასაც იგი ეწევა.

წიგნში საინტერესოდ არის გადმოცემული საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერების განვითარების ისტორია. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერების განვითარებას საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის შრომები, აგრეთვე პარტიული დოკუმენტები. ავტორი თანმიმდევრულად განიხილავს ადმინისტრაციული მეცნიერების განვითარების ეტაპებს ჩვენს ქვეყანაში, ვიჩვენებს ცალკეული ავტორების შრომების მნიშვნელობას ამ მხრივ და ახსიათებს თანამედროვე ადმინისტრაციულ მეცნიერების მდგომარეობას, ახალ ადმინისტრაციულ ლიტერატურას და იმ პრობლემებს, რომლებიც დგას საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის წინაშე.

რამდენადაც აღნიშნულ სახელმძღვანელოში ადმინისტრაციული სამართლის აქტუალური პრობლემები წინა პლანზეა წამოწეული, ბუნებრივია, იგი იწვევს დავას მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არაა გადაჭრილი ადმინისტრაციულ სამართალში. ჩვენ არ შევეუდგებით ამ კრიტიკის განხილვას, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ყველგან თანმიმდევრულად არ არის სადავო საკითხები დაყენებული. კერძოდ, 224-ე გვერდზე, იმ პარაგრაფში, რომელიც ა. პ. კორენევის განეკუთვნება, არაა მითითებული, რომ არსებობს ადმინისტრაციული გადაცდომის სხვა ცნება, რომ ზოგ ავტორს არასწორად მიაჩნია ადმინისტრაციული გადაცდომის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათად მიჩნევა. ამის აღნიშვნა მით უფრო აუცილებელი იყო, რომ გ. ი. პეტროვის 1960 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში ეს საკითხი სრულიად სხვა პოზიციებიდან არის განხილული. რაც შეეხება მე-10 თავის მე-5 პარაგრაფს, იგი სრულებით არადაამკმაყოფილებლადაა გაუშუქებული ნ. პ. პობორჩაის მიერ.



ავტორი არ განიხილავს თანამდებობის პირთა და მოხამსახურეთა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან ერთად. ავტორი ბუნდოვნად განიხილავს განსხვავებას დანაშაულსა და თანამდებობრივ გადაცდომას შორის. გაუგებარია, თუ რას ნიშნავს „მიყენებული ზიანის ხარისხი“, როცა განსხვავებით ამ ორ ცნებას, რომელი საკანონმდებლო აქტითაა ვანსაზღვრული ერთ-თვისანი ხანდაზმულობის ვადა სახდელის დასაკისრებლად სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისას.

კარგია, რომ წინამდებარე სახელმძღვანელოში სპეციალური ბოლო თავი აქვს დათმობილი ადმინისტრაციულ პროცესს (ავტორი ვ. დ. სოროკინი). მაგრამ იმის გამო, რომ

ეს საკითხი ჯერ კიდევ დიდი კვლევისა და დისკუსიის საგანს წარმოადგენს, ბუნებრივია, მრავალ კრიტიკულ შენიშვნებსაც იმსახურებს. ეს განსაკუთრებით შეეხება ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, რომელთა შორისაც ავტორი, ჩვენის აზრით, უმართებულოდ ასახელებს ნორმატიული აქტების მიღებას და ორგანიზაციულ საქმიანობას სახელმწიფო აპარატში. ასეთ შემთხვევაში იშლება ზღვარი სახელმწიფო მმართველობასა და ადმინისტრაციულ პროცესს შორის.

ასეთია გ. ი. პეტროვის დამხმარე სახელმძღვანელო. იგი საბჭოთა იურიდიული ლიტერატურის კარგი შენაძენია.

დოც. ვ. ლორია

## რეცენზიები კომპ. ივანე სურგულაძის ნაშრომზე სიკრიულ და ბულგარულ შერჩალებში

იურისტმა მილოშ ტასიმ სერბიულ ენაზე გადათარგმნა პროფ. ივ. სურგულაძის ნაშრომი — „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“ (რუსულ ენაზე), რომელიც 1968 წელს გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. თარგმანი გამოიცა 1971 წელს.

ბელგრადის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 1971 წლის იანვარ-აპრილის ჟურნალ „ანალგში“ გამოქვეყნდა დოქტორ ობრად სტანოვიჩის რეცენზია ამ წიგნზე.

რეცენზიაში აღნიშნულია ის დიდი შრომა, რომელიც გასწია მთარგმნელმა „იურისტმა და მწერალმა“, რომელმაც ეს გააკეთა დიდი „სიყვარულით. მეცნიერებისადმი“.

რეცენზენტი დაწვრილებით გადმოსცემს პროფ. ივ. სურგულაძის ნაშრომის შინაარსს.

რეცენზიის ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ქართველი ხალხის ისტორია ბოთქარი და მშფოთვარება. ორი კონტინენტის საზღვარზე მყოფი საქართველო ხშირად ებრძოდა სპარსელ, ბერძენ, რომაულ, ბიზანტიულ და სხვა დამპყრობლებს. ავტორი აღნიშნავს, რომ სარეცენზიო წიგნის პირველ ნაწილში საინტერესო მონაცემებია სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ.

რეცენზიაში აღნიშნულია, რომ წიგნში საოჯახო სამართლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით „ფრიად ძვირფასი მონაცემებია“ გვაროვნული წყობილების იმ გადმონათის შესახებ, რომლის მიხედვით, მატრიარქიდან პატრიარქატში გადასვლის დროს, ქალი ქმრის გვარში გადადიოდა, ხოლო ბავშვები ქალის გვარში იზრდებოდნენ. აქედან წარ-

მოიშვა ათალიგობა, რომელიც დამახასიათებელია მრავალი ხალხისათვის.

რეცენზიის ავტორი აღნიშნავს, რომ პროფ. ი. სურგულაძის წიგნში დახასიათებულია ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილება, სისხლისა და სამოქალაქო სამართალი, ნაჩვენებია ფეოდალური სეპარატიზმის უარყოფითი მნიშვნელობა გარეშე მტრებთან, კერძოდ ოსმალებთან ბრძოლის საქმეში; ნაშრომში ნაჩვენებია რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეტაპები.

რეცენზენტი ნაშრომის მიხედვით ეხება ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულს და აღარებს მას სერბიულ კანონთა კრებულს სტეფანე დუშანის მიერ შედგენილს.

რეცენზია ასე მთავრდება: „წიგნი წარმოადგენს შენაძენს ჩვენი სამართლის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ფონდში. წიგნი ჩვენ გვაცნობს იმ ხალხის ისტორიას, რომელიც არა მარტო ფიზიკურად იყო ახლო ჩვენს ხალხთან, არამედ მისი ისტორია შეიცავს ჩვენი ხალხებისათვის დამახასიათებელ გლემენტებსაც: „პატარა ქვეყანა ქვეყნებს შორის“, ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ძლიერ მოწინააღმდეგეებთან, ბიზანტიის კულტურა და სარწმუნოება, ბრძოლა ისლამის წინააღმდეგ და სოციალისტურ რევოლუციაში შესვლა წარსულის წამორჩენილი ტვირთით“.

პროფ. ი. სურგულაძის წიგნზე რეცენზია გამოქვეყნდა აგრეთვე ბულგარეთის ჟურნალ „საერთაშორისო პოლიტიკაში“. აქ ნათქვამია:

„ამ შრომის ავტორი თბილისის სახელმწიფო



## საქვეყნო-პრაქტიკულ კონფერენციას

15-17 ნოემბერს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძეგლისკის სახელობის კულტურის სახლში ჩატარდა სრულიად საქვეყნო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიწვიეს. კონფერენცია მიეძღვნა თემას „დამანაშავების პროფილაქტიკის სამართლებრივი და ორგანიზაციულ-ტაქტიკური პრობლემები“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების, სამხარეო და საოლქო აღმასკომების შინაგან საქმეთა სამმართველოების, მილიციის სატრანსპორტო განყოფილებათა ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლებისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, აგრეთვე სხვა იმ სამინისტროების და უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ დამანაშავების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემების გადასაჭრელად, პროკურატურის, იუსტიციის ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები, შინაგან საქმეთა ორგანოების პრაქტიკოსი მუშაკები.


კონფერენციის პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე მ. ა. გვასალია, საქართველოს სსრ პროკურორი ა. ე. ტაყიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ს. ი. ქაჯაია, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. ი. მაისურაძე, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების პასუხისმგებელი მუშაკები, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავში-

რული ორგანიზაციების, ადმინისტრაციული ორგანოების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტმა ბ. ა. ვიქტოროვმა. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ აღნიშნული კონფერენციის გამართვა თბილისში გამოწვეული იყო იმით, რომ სწორედ საქართველოში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პირველად ჩვენს ქვეყანაში შეიმუშავეს და მიმდინარე წლის ივლისში მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება.

მოხსენებით — „დამანაშავების პროფილაქტიკის შემდგომი სრულყოფის თანამედროვე პრობლემები სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ — გამოვიდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, შინაგან სამსახურის მე-3 რანგის გენერალი ე. ა. შვეგარდნაძე.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე მოხსენებანი: სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საორგანიზაციო-საინსპექტორო სამმართველოს უფროსის მოადგილის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ა. გ. ლეკარისა „დამანაშავების პროფილაქტიკის სამართლებრივი და საორგანიზაციო-ტაქტიკური პრობლემები“, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ვ. სოლომანოვისა „რეციდივული დამანაშავების თავიდან აცილების სამართლებრივი და ორგანიზაციული ასპექტები“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქიატრიის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ა. ზურაბაშვილისა „პიროვნება და დენტოლოგიური ფსიქოპროფილაქტიკა“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ვ. ნ. ქვაჩიასის „კონკრეტულ-სოციოლოგიურ გამოკვლევათა ზოგიერთი შედეგები და ამოცანები და სამართლებრივად პროფილაქტიკა“, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტუ-



რი საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსის **პ. თ. პერევეზნიკისა** „სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი აპარატების როლი სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში“, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის ადმინისტრაციული სამსახურის სამმართველოს უფროსის მოადგილის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის **მ. ეროპკინისა** „მილიციის ადმინისტრაციული სამსახურის აპარატების როლი დანაშაულთა პროფილაქტიკაში“, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის პრორექტორის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ი. გ. ანთელავას** „საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის როლი სამართალდარღვევის პროფილაქტიკაში“ და სხვ.

კონფერენციაზე სამეცნიერო ინფორმაციებით გამოვიდნენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი **ი. რ. ხვედელიანი** „გასაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობა საწარმოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების პერსპექტიული გეგმების შემადგენელი ნაწილია“, მოსკოვის საოლქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის **ა. გ. ეკიმიანი** „მოსკოვის ოლქის შინაგან საქმეთა ორგანოების გასაფრთხილებელ-პროფილაქტიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და ამ საქმეში საზოგადოებრიობის ჩაბმის შესახებ“, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **კ. ე. კეთილაძე** „მეცნიერული კრიტერიუმებისა და საერთო პროფილაქტიკის სამუშაოს ფორმებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების ეფექტურობის შესახებ“, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საორგანიზაციო-საინსპექტორო ორგანიზაციის სამმართველოს საორგანიზაციო-სამეცნიერო განყოფილების უფროსი **ს. ე. ვიცინი** „დამნაშავეობის

ანალიზი — პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციის საფუძველია“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **ა. ი. ფალიაშვილი** „სავამოქიებო მოქმედებათა წარმოებისა სპეციალისტის უფლება-მოვალეობანი და მათი მნიშვნელობა სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის“, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე **თ. გ. შავგულიძე** „განზრახ მკვლელობის არიდების საკითხები“, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამმართველოს სამმართველოს განყოფილების უფროსი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ნ. ი. ვეტიროვი** „უხედაშხედველობის პროფილაქტიკის სამართლებრივი და ორგანიზაციული საკითხები და სამართალდარღვევა არასრულწლოვანთა შორის“, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სრულიად საქავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **კ. ქ. გორიანიოვი** „სახელმწიფო და საზოგადო ქონების წვრილმანი გატაცების არიდება“ და სხვ.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილე **ვლკო ვლკოვი** და კუბის რესპუბლიკის ლას ვილიასის პროვინციის შინაგან საქმეთა საოლქო სამმართველოს დანაშაულთა თავიდან აცილების განყოფილების უფროსი **როლანდო მარტინე მაჩადო**.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტმა **ბ. ა. ვიქტოროვმა**.

17 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. პ. მუჟანაძემ** მიიღო კონფერენციის მონაწილეთა ჯგუფი.

## მინისტრების სამართლის პრინციპებს

თბილისში, ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში, საქართველოს სსრ იუსტიციის, უმაღლესმა სასამართლომ, პროკურატურამ და რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობამ მოაწყვეს რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია სამართლის პრინციპების, მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის სრულყოფისა და

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საკითხებზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პროკურატურის, სასამართლოს, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, სამინისტროთა და უწყებათა იურიდიული სამსახურის, სახალხო განათლების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ დ. ვ. გოგოხიამ.

მოსხენება „იუსტიციის ორგანოთა ამოცანებში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის გაუმჯობესების, მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის შემდგომი სრულყოფისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების საქმეში“ გააკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ვ. ი. მაისურაძემ. მომხსენებელმა, კერძოდ აღნიშნა, რომ სკკპ XXIV ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობამ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი მიმართულებად დასახეს გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობა. ამ მითითებებს თავიანთ საქმიანობაში მტკიცედ იცავენ რესპუბლიკის იუსტიციის, პროკურატურის, სასამართლოს, შინაგან საქმეთა ორგანოები. ამის შედეგად უკანასკნელ დროს საქართველოში საერთოდ შეიმჩნევა დამნაშავეობის გარკვეული შემცირება. ამასთან ჯერ კიდევ ხდება განსაკუთრებით საშიში დანაშაულობანი. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ აზრს, სამართლებრივ პროპაგანდას.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა რესპუბლიკის მშრომელთა შორის სამართლებრივი პროპაგანდის ორგანიზაციაზე, მისი სხვადასხვა ფორმისა და მეთოდის კიდევ უფრო უნარიან გამოყენებაზე, იმაზე, რომ ამ დიდმნიშვნელოვან მუშაობაში უნდა ჩაებან არა მარტო აღმინისტრაციული ორგანოები, არამედ აგრეთვე ფართო საზოგადოებრიობა, მეცნიერების, კულტურის მოღვაწენი. მოსახლეობას კიდევ უფრო სრულად ეცნობა საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლები, რაც სამართალდარღვევათა წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის საწინდარია. კანონიერებისა და მართლწესრიგის დამრღვევთა მიმართ შეუირიგებლობის ატმოსფეროს შექმნა, ბრძოლის გაძლიერება ხელიგნობის, მუქათახობის, ლოთობის, იარაღის უკანონოდ შენახვისა და ტარების, საყოფაცხოვრებო კონფლიქტების წინააღმდეგ, რომლებიც ზოგჯერ შიშვე დანაშაულის მიზეზია, — საზოგადოებრივი ორგანოებისა და საზოგადოებრიობის მიერ ერთობლივად გაწეული საქმიანობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი გზაა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კონფერენციაზე გამოვიდნენ: საქართველოს პროფხაბჭოს მდივანი ნ. შ. ვასაძე, საქართველონ სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

მარე ს. ი. ქაჯაია, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ბ. ზ. ფურცხვანიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე კ. კ. გარდაფხაძე, რესპუბლიკის განათლების მინისტრის პირველი მოადგილე უ. პ. ობოლაძე, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ზ. ი. ფორაქიშვილი, რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ი. ტ. თოდუა, საქართველოს სსრ პროკურორი ა. ე. ტაყიძე, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ი. შადური, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე გ. კ. ცეციშვილი. მათ აღნიშნეს, თუ რა როლს ასრულებენ პროკურატურა, შინაგან საქმეთა, სასამართლოს ორგანოები, პროფკავშირები, სამართლებრივ პროპაგანდაში, ხოლო რადიო და ტელევიზია — სამართლებრივ აღზრდაში, თუ რა მნიშვნელობა აქვს მართლშეგნებას სამართალდარღვევათა პროფილაქტიკასა და თავიდან აცილებაში, ილაპარაკეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის, უმაღლესი სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში საბჭოთა სამართლის საფუძვლების შესწავლის მდგომარეობისა და გაუმჯობესების, სახალხო მეურნეობის განვითარებაში იურიდიული სამსახურის მნიშვნელობის და სხვა საკითხებზე.

კონფერენციაზე გამოვიდნენ ყურნალ „ჩელოვეკი ი ზაკონის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე პ. ი. სკომოროხოვი, აფხაზეთის ასრ იუსტიციის მინისტრი შ. ვ. კოლოკავა და ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის სახალხო მოსამართლე ვ. გ. ყვანია. მათ შეკრებილთ გაუზიარეს სამართლებრივი პროპაგანდის, მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ორგანიზაციისა და გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციის დარგში შექმნილი მუშაობის გამოცდილება.

კონფერენციის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. მ. ლელაშვილმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგის მოადგილე მ. ა. ვასალია.

(საქედისი).

## სამართლის სფეროს პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდისთვის

რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეიქმნა საუწყებო-სამართლის საკონსულტაციო ორგანო — სამართლის პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო-მეთოდური საბჭო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ამ საბჭოს შექმნა.

საბჭოს ამოცანაა დაენმაროს რესპუბლიკის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სამართლებრივი პროპაგანდის იდეურ-პოლიტიკური და თეორიული დონის ამაღლების, მის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საქმეში, შეიმუშაოს რეკომენდაციები სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდამი შესაბამისი უწყებების, დაწესებულებების და ორგანიზაციების საქმიანობის მეთოდური ხელმძღვანელობისა და კოორდინაციისათვის, განზოგადოს და გაავრცელოს სამართლებრივი პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის დადებითი გამოცდილება.

საკოორდინაციო-მეთოდური საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დ. აბულაძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **შ. ბერაიანიძე**, ვაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე **თ. ბიბილური**, საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე **გ. ბიჭვინთაძე**, საქართველოს სსრ ყურანლისტთა კავშირის გამგეობის მდივანი **ზ. გემაზაშვილი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დეპუტატთა სააგენტოს დირექტორის მოადგილე **ვ. გელაშვილი**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი **პ. გუგუშვილი**, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე **ა. დვალისხელი**, ყურანალ „საქართველოს აგიტატორის“ რედაქტორის მოადგილე **კ. დოლიძე**, საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მდივანი **ნ. ვასაძე**, ვაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე **ბ. თათარაშვილი**, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე **ი. თოდუა**, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გ. ინჭვირველი**, ყურანალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქტორი **ო. კაციტაძე**, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **კ. კეთილაძე**, საქართველოს სსრ იუს-

ტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი კონსულტანტი **მ. კუხალაშვილი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ჯ. ლომაშვილი**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი **ვ. ლორია**, ვაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის მოადგილე **გ. მუხრანელი**, ყურანალ „ნიანგის“ რედაქტორის მოადგილე **გ. ნიშნიანიძე**, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე **უ. ობოლაძე**, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი **შ. პაპიძე**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე **დ. ყვანია**, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე **ს. რატიანი**, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე **ზ. ფორაქიშვილი**, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ნ. ფოფხაძე**, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ბ. ფურცხვანიძე**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **თ. შავგულიძე**, ვაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორის მოადგილე **ვ. შავგულიძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **პ. შამათავა**, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **ნ. წერეთელი**, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **ს. კილაია**, ყურანალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე **ა. ჩავლიშვილი**, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს კონსულტანტი **ნ. ლომიძე**.

საბჭოს წევრები მონაწილეობენ საბჭოს საშუალო გეგმების, სამართლებრივი პროპაგანდის გაუმჯობესებისაკენ მიმართული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში, ხელს უწყობენ მათს განხორციელებას. აწვდიან ინფორმაციას შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს საბჭოს მუშაობისა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარე — საბჭოს წევრების

შეხვედლებების გათვალისწინებით განსაზღვრავს სხდომაზე განსახილველ საკითხებს, საბჭოს რეკომენდაციების დამუშავებისა და განხორციელების წესს, ხელმძღვანელობს საბჭოს სხდომებს: აცნობს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და სხვა დაინტერესებულ უწყებათა ხელმძღვანელებებს საბჭოს რეკომენდაციებსა და დადგენილებებს, ავრთვევ აცნობს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულია საბჭოს რეკომენდაციით სამინისტროებისა და უწყებების მიერ.

საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი უზრუნველყოფს მუშაობის ორგანიზაციას, ამუშავებს მისი სამუშაო გეგმის პროექტებს და ახორციელებს კონტროლს საბჭოს რეკომენდაციებისა და დადგენილებების შესრულების მიმდინარეობაზე, ამზადებს საბჭოს სხდომისათვის საჭირო დოკუმენტაციას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, ვაზეთების და ჟურნალების რედაქციებს დაავალა ყოველწლიურად შეუწყონ ხელი იმ ამოცანების განხორციელებას, რომლებიც ეკისრება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ საკოორდინაციო მეთოდურ საბჭოს.

საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა 13 სექტემბერს. სხდომა გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა **ვ. მაისურაძემ**.

საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე **ჟ. რატანი**, თავმჯდომარის მოადგილედ რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი **შ. პაპიძე**, პასუხისმგებელ მდივანდ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს კონსულტანტი **ნ. ლომიძე**.

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ პროკურატურის, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების, კულტურის სამინისტროს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, ბეჭდვითი სიტყვის, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის, საქედისის, რესპუბლიკური საზოგადოება „კოდნის“, ვაზეთების „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“, „სოფლის ცხოვრების“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდიოჟ გრუზიის“ და ჟურნალების რედაქციები, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე **გ. ბედინიშვილი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე **მ. გვასალია**, განყოფილების ინსტრუქტორი **ვ. აბულაძე** და განყოფილების შტატგარეშე ინსტრუქტორი, ტელევიზიის „საბჭოთა მშენებლობის“ რედაქციის რედაქტორ-კომენტატორი **ვ. ხმალაძე**.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი **ვ. მაისურაძე** გამოვიდა ინფორმაციით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის 17 ნოემბრის და 1971 წლის 27 ივლისის დადგენილებების: „მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის გაძლიერებისათვის საზოგადოებრიობის დაზარდვის ღონისძიებათა შესახებ“ და „სკკპ XXIV ყრილობის მოზოვნათა მიხედვით სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და პროფლაქტიკური მუშაობის გაძლიერების შესახებ“. მომხსენებელმა ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რომელიც დასახულია ყრილობის დოკუმენტებით, ხაზი გაუსვა, რომ სამართალდარღვევის თავიდან აცილებაში გამაწყვეტი როლი ეკუთვნის მშრომელთა მართლშეგნებას, მათ აღზრდას მაღალი იდეურობისა და მოქალაქეობრივი შეგნების სულისკვეთებით.

ამხ. ვ. მაისურაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ მეთოდური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და მოსახლეობაში კანონმდებლობის განმტკიცებისათვის.

სსდომის მონაწილეებმა განიხილეს საბჭოს დებულების პროექტი, დაამტკიცეს საბჭოს სამუშაო გეგმა.

სსდომაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ჯ. ლომაშვილი**, საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე **გ. ბი-**



წაძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ნ. ვასაძე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივანი ზ. გემაზაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ვ. ლორია, რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის

მოადგილე ი. თოდუა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე გ. ბედიანიშვილი.

დ. ნანოგაშვილი

**შპრნალ — „სოციალისტიჩესკაია ზაკონოსტის“ კომისიებთა  
ქონწარენსთა**

გამართა ჟურნალ „სოციალისტიჩესკაია ზაკონოსტის“ მკითხველთა კონფერენცია. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სხდომათა დარბაზში თავი მოიყარეს რესპუბლიკის პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს, უმაღლესი სასამართლოს მუშაკებმა, ადვოკატებმა.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატიანმა. ინფორმაციით ჟურნალის საქმიანობის შესახებ გამოვიდა ჟურნალის მთავარი რედაქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. კონდრაშკოვი. ჟურნალის საქმიანობაზე ილაპარაკეს თავიანთ გამოცვლებში: ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ რ. ცინცაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ა. ფალიაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს წევრებმა მ. ხუციშვილმა, თ. გერსამიამ, რესპუბლიკის პროკურატურის

განყოფილების პროკურორებმა ა. ბაქრაძემ, შ. მგელაძემ, ქ. თბილისის კიროვის რაიონის ადვოკატთა კოლეგიის წევრმა ე. ვირკერმა. მათ აღნიშნეს, რომ ბოლო დროს ჟურნალი უფრო საინტერესო გახდა, ამაღლდა გამოქვეყნებული მასალების დონე. ჟურნალი დიდ დახმარებას უწევს პრაქტიკულ მუშაკებს კონკრეტული საკითხების გადაჭრაში.

კონფერენციაზე გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები და წინადადებანი, რომელთა გაფხვლისწინება ხელს შეუწყობს ჟურნალის საქმიანობის გაუმჯობესებას.

ჟურნალ „სოციალისტიჩესკაია ზაკონოსტის“ მთავარმა რედაქტორმა ნ. კონდრაშკოვმა გაიზიარა კონფერენციაზე გამოთქმული მთელი რიგი შენიშვნები და აღუთქვა კონფერენციის მონაწილეებს, რომ სარედაქციო კოლეგია გაიზიარებს მათ მომავალ მუშაობაში.

მ. ზითაზა



69/55



3360 50 333.

ИНДЕКС 76185

# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 6

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Министерства Юстиции Грузии ССР